პარტნიორობა ევროკავშირთან A2 | ენერგეტიკა A8 | გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 6 ნოემბერი, 2004 წელი. №264 (813) — ფასი 50 თეთრი

*პოლიტიკა*

2005 - წინსვლის წელიწადი



"დავიწყეთ დისციპლინის დამყარება, დავალიანებების გასტუმრება, ჯარის აღმშენებლობა... შემდეგი წელიწადი ეკონომიკური გარღვევის, ეკონომიკური აღმავლობის წელიწადი იქნება."

A2

*უცხოეთი*



ახალი მსოფლიო, ნაკლები წესრიგი

გთავაზობთ მიხაილ გორბაჩოვის მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა შეიცვალა ამ წლების მანძილზე და რა საფრთხის წინაშე დგას დღევანდელი მსოფლიო.

A5

*საზოგადოება*

შეეწიეთ და ღმერთი შეგეწევათ

A6

*სამართალი*

უშიშროების სამინისტრო სატელეფონო ტერორისტებს იჭერს

სატელეფონო ხულიგნების რაოდენობა, ჯერჯერობით, არ კლებულობს. პირიქით, მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

B6-B7

*ამინდი*

| | 6/11 | 7/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | 17 |
| ქუთაისი | 19 | 22 |
| ბათუმი | 20 | 24 |
| სოხუმი | 19 | 21 |
| ფოთი | 21 | 24 |
| თელავი | 10 | 14 |
| ზუგდიდი | 21 | 23 |
| გორი | 10 | 14 |
| ახმეტა | 11 | 15 |
| ჭიათურა | 16 | 19 |
| გაგრა | 18 | 19 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8100 |
| ევრო | 2.3275 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3288 |
| რუბლი | 0.0631 |

# "შესაძლოა, სიტუაცია უკონტროლო გახდეს"



*ვითარება კონფლიქტის ზონაში კვლავ დაძაბულია - გუშინ ცხინვალი-ჯავის გზა ორივე მხრიდან გადაიკეტა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის უკიდურესად დაძაბვა სამი დღის წინ, სოფელ კეხვის მკვიდრის, 22 წლის გიორგი კახნიაშვილის გატაცებამ გამოიწვია. გიორგი კახნიაშვილი, რომლის მდგომარეობისა და ადგილ-სამყოფელის შესახებ ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ არაფერი იცის, ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ პოზიციებზე დისლოცირებულმა ფორმიანებმა გაიტაცეს. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ გამტაცებლებმა კახნიაშვილი იმ ტერიტორიაზე გადაიყვანეს, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება.

გაგრძელება A7 გვერდზე

## მოლაპარაკებები დასრულდა

დასრულდება ქართულ სოფლებზე თავდასხმები?

სოფო ბუკია

*20 ნოემბრამდე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა იქ მყოფმა ყველა სახის შეიარაღებულმა ფორმირებამ უნდა დატოვოს, გარდა სამმხრივი სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებისა, - ეს ის ერთადერთი შეთანხმებაა, რაც პრემიერ-მინისტრ ჟვანიასა და სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის სოჭში გამართულ შეხვედრაზე იქნა მიღწეული.*

გუშინდელ შეხვედრაზე, რომლის შედეგიანობასაც თბილისში იმთავითვე ეჭვქვეშ აყენებდნენ, არ მოხდა ქართული მხარის მთავარი მოთხოვნის განხილვაც კი: პირველი რასაც ქართული მხარე ყველა დონის მოლაპარაკებებზე ითხოვს, როკის გვირაბის გაკონტროლების უფლებაა. **"ამ საკითხზე საუბარი მათ საერთოდ არ უნდათ,"** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, რომელიც გუშინ სოჭში ჟვანიასთან ერთად ჩავიდა.

რუსი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში კოკოითი აცხადებს, რომ მოლაპარაკებებისას ქართულმა მხარემ **"ზაფხულში სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა აიღო."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ომი და მშვიდობა დიდი ლიახვის ხეობაში



A3

## ეუთო-ს შემაჯამებელი კონფერენციის მიმოხილვა: რუსეთ-საქართველოს საკითხები

ვლადიმირ სოკორი
*ჯეიმსთაუნის ფონდი*

ვენაში, ეუთო-ს სათავო ოფისში ინტენსიური განხილვები მიმდინარეობს იმ დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების თაობაზე, რაც ამ ორგანიზაციამ წლიურ შემაჯამებელ კონფერენციაზე უნდა წარმოადგინოს. მოსკოვმა საბოლოო დოკუმენტიდან, პოლიტიკური დეკლარაციიდან, წარმატებით მოახერხა 1999 წლის სტამბულში აღებული ვალდებულებების ამოღება, რაც საქართველოსა და მოლდოვიდან სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანას ეხება. რუსები ასევე წინააღმდეგი არიან ყველაფერი იმისა, რაც დაკავშირებულია "რეგიონულ განცხადებებთან", რასაც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია წლიურ შემაჯამებელ კონფერენციაზე ჩვეულებრივ იღებს. გასულ წელს მაასტრიხტში რუსეთმა ამ განცხადებებს ბოლო მომენტში დაადო ვეტო, უმთავრესად იმის გამო, რომ სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანის ვალდებულება ახსენეს. ამგვარად, ეუთო-ს ორგანიზაციის ეფექტურობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან ერთი საფეხურით დაბლაა. გაერო ასევე უძლურია, აიძულოს საკუთარი რეზოლუციების შესრულება, წლიდან წლამდე, მთელი რიტუალების დაცვით ახდენს ციტირებას და ქმნის ყველასათვის მისაღებ სამუშაო პრინციპებს. ეუთო-ს კი რუსეთის ნებართვის გარეშე აღარ შეუძლია საკუთარი მნიშვნელოვანი რეზოლუციების ციტირებაც კი და იგი აღარ მოუწოდებს ვალდებულებების შესრულებისაკენ იმ ქვეყნებში, რომლებიც მოსკოვს მიზანში ჰყავს ამოღებული.

გაგრძელება A5 გვერდზე

## პატიაშვილი "შემოვლითი გზით", გორიდან ბრუნდება

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტში "გეგმიური როტაცია" მიმდინარეობს. აღმასრულებელ ხელისუფლებაში გიორგი ბარამიძის, გია გეწაძის, ირაკლი ოქრუაშვილისა და დავით მუმლაძის გადასვლის გამო, დიდუბისა და კრწანისის, აგრეთვე გორის და ზესტაფონის რაიონების ამომრჩევლებს საკანონმდებლო ორგანოში ახალი "ლობისტები" ეყოლებათ. დეპუტატის მანდატის მისაღებად თემურ ჭეიშვილს, გიორგი ასანიძეს, ჯუმბერ პატიაშვილსა და თემურ ცერცვაძეს რამდენიმე ფორმალური პროცედურის გავლალა სჭირდებათ.

პირველი ბარიერი მათ უკვე გადალახეს: ოთხივე მათგანმა პარლამენტში წარადგინა ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ "ნარკომანიისთვის დამახასიათებელი ნიშნები არ აღენიშნებათ და ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არ იმყოფებიან". ამ "ინფორმაციის" გათვალისწინებით, საპროცედურო საკითხთა და წესების საპარლამენტო კომიტეტმა გუშინ ერთხმად დაუჭირა მხარი თემურ ჭეიშვილის, გიორგი ასანიძის, ჯუმბერ პატიაშვილისა და თემურ ცერცვაძის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობას.

მაჟორიტართა კვარტეტს ახლა მხოლოდ ორი წინაღობა დარჩა დასაძლევი, - მათი "ლეგიტიმურობა" პარლამენტის ბიურომ, შემდეგ კი პლენარულმა სხდომამ უნდა დაადასტუროს.

ამ ოთხეულიდან პოლიტიკური მოღვაწეობის ყველაზე დიდი გამოცდილება ჯუმბერ პატიაშვილს გააჩნია. იგი მომავალ საპარლამენტო საქმიანობაზე მეტად მოზომილად საუბრობს და აცხადებს, რომ აგრარულ საკითხთა კომიტეტში აპირებს გაწევრიანებას. ამასთან, ჯუმბერ პატიაშვილი, სავარაუდოდ, ფრაქცია "მაჟორიტარებში" ან "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებში" შევა.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 რეალიები | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ენერგეტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# მოლაპარაკებები დასრულდა

პირველი გვერდიდან

**"ქართულმა მხარემ ასევე აღიარა ისიც, რომ ზაფხულის პერიოდში ოსური მხარე იძულებული იყო, თავი დაეცვა. ახლა მხოლოდ ისღა რჩება, რომ ქართული მხარის ეს აღიარება ოფიციალურ დოკუმენტებში დავაფიქსიროთ,"** - აცხადებს კოკოითი.

იგი მიიჩნევს, რომ პრემიერ ჟვანიასთან შეხვედრას **"კონსტრუქციული შედეგები მოჰყვება"** და ქართველ ხალხს ისტორიულად მოძმე ერს უწოდებს.

**"ოსური მხარე, პირველ რიგში, რეგიონის დემილიტარიზაციის საკითხს აყენებს და ითხოვს სამხრეთ ოსეთის გათავისუფლებას იქ უკანონოდ განლაგებული ქართული საჯარისო შენაერთებისგან,"** - აცხადებს კოკოითი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი, რომელიც ესწრებოდა გუშინდელ შეხვედრას, ზურაბ ჟვანიას ბრძენ პოლიტიკოსს უწოდებს.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ნიკა ლაღიძე აცხადებს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ აღნიშნული განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც პრემიერმა ჟვანიამ ოსურ მხარეს თხუთმეტი ეკონომიკური პროექტი შესთავაზა. მათ შორისაა გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობა, პენსიების გადახდა, რკინიგზის აღდგენა, მინერალური წყლის ჩამოსხმა და სხვა.

რუსეთის ზღვისპირა ქალაქ სოჭში გუშინ გამართულ მოლაპარაკებებზე, ზურაბ ჟვანიასთან ერთად, სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში გიორგი ხაინდრავა, საქართველოში ეუთო-ს, ევროკავშირისა და რუსეთის ელჩები ჩაფრინდნენ. მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, ასევე, შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი.

საბოლოოდ, სოჭში გამართული კონსულტაციები ერთობლივ დოკუმენტზე ხელმოწერით დასრულდა. ოსურმა მხარემ მთავარ მიზნად პირველად აღიარა კონფლიქტის ზონაში არა უბრალოდ ცეცხლის შეწყვეტა, არამედ კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგება.

# 2005 - წინსვლის წელიწადი

## პრეზიდენტი ისევ კმაყოფილია



"დავიწყეთ დისციპლინის დამყარება, დავალიანებების გასტუმრება, ჯარის აღმშენებლობა... შემდეგი წელიწადი ეკონომიკური გარღვევის, ეკონომიკური აღმავლობის წელიწადი იქნება."

იური ლობოდინის ფოტო

**"ჩვენ ძალიან დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს იმას, რაც ხდება აფხაზეთში. ვფიქრობ, აფხაზმა ხალხმა კარგად დაინახა, ვინ არის მათი მეგობარი და ვინ არის მათი მტერი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. მე ვფიქრობ, რომ მოვლენები იქ ვითარდება სწორი მიმართულებით. რომ გითხრათ, რომ ხვალ და ზეგ იქ რამე მოხდება, არ იქნება მართალი. ეს ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვიქცევით ჩვენ - ჩვენს ეკონომიკურ განვითარებაზე.**

**საქართველოს ძლიერების გზა აფხაზეთზე გადის. იქ დღეს საკმაოდ საინტერესო პროცესები მიმდინარეობს და მე დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს პერიოდში ჩვენ სერიოზულ დიალოგს დავიწყებთ აფხაზეთში. ჩვენ გავუწოდებთ ხელს აფხაზ ერს, როგორც სახელმწიფო, რომელმაც იცის პატარა ერის სატკივარი... ჩვენ თვითონ პატარა ერი ვართ და გვესმის ეს. ეს მოხდება ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში,"** - აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით პირველი კომენტარი პრეზიდენტმა სააკაშვილმა გუშინ საღამოს გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

პრეზიდენტმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მან ხაზი გაუსვა სამხედრო რეფორმის წარმატებით მიმდინარეობას და ისიც აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში საქართველო გაზრდის საკუთარ მონაწილეობას ერაყის სამშვიდობო კამპანიაში.

მისი თქმით, მომავალი წლის პირველ ნახევარში ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობა სამჯერ გაიზრდება. ამის საშუალებას სამხედრო სფეროში რეფორმების გატარება და ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება იძლევა.

პრეზიდენტის განცხადებით, ჯარის გაძლიერებით, ხელისუფლება ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შანსებს ზრდის, რადგან სეპარატისტული რეჟიმები იძულებულები იქნებიან, პრიორიტეტი პოლიტიკურ დიალოგს მიანიჭონ. **"ეს წელიწადი ჩვენი შემობრუნების წელიწადი იყო, 2005 წელი კი ჩვენი წინსვლის წელიწადი იქნება,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან პროფესიონალი ჯარისკაცის მინიმალური ხელფასი 115 ლარამდე გაიზრდება.

ახალ საგადასახადო კოდექსსა და "ფინანსური ამნისტიის" შესახებ კანონპროექტს პრეზიდენტი "საარჩევნო დანაპირების შესრულებას" უწოდებს და ამ კუთხით მთავრობის მუშაობას დადებითად აფასებს. **"ფინანსური ამნისტია არ გულისხმობს იმას, რომ ვინმე დამნაშავე სასჯელს დაუძვრეს... მაგრამ რამდენიმე ადამიანმა, რომლებიც ძველ ხელისუფლებაში მოღვაწეობდნენ, ყველა ბიზნესმენი და მეწარმე პოტენციურ დამნაშავედ აქცია. ამ ბიზნესმენებისა და მეწარმეების დასჯას არ ვაპირებთ, ეს კანონპროექტი მათთვისაა. თუ არის რაიმე ხარვეზები, პარლამენტში, ალბათ, გამოასწორებენ,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

მისი თქმით, 1 იანვრიდან თითოეული პენსიონერი 28 ლარიან პენსიას მიიღებს.

**"დავიწყეთ დისციპლინის დამყარება, დავალიანებების გასტუმრება, ჯარის აღმშენებლობა... შემდეგი წელიწადი ეკონომიკური გარღვევის, ეკონომიკური აღმავლობის წელიწადი იქნება,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებსა და ქართული სოფლებიდან ადამიანთა გახშირებული გატაცების ფაქტებს, სააკაშვილის თქმით, **"ეს ოსი კრიმინალების სტრატეგიაა, რომლებიც ერგნეთის კონტრაბანდული ბაზრობის დახურვის შემდეგ შიმშილით იხოცებიან და საქართველოს ომში ჩათრევა უნდათ. ეს არ მოხდება. დიდი სიბრიყვე იქნება, ჩვენ რომ მათ პროვოკაციას წამოვეგოთ,"** - განაცხადა მან.

პრეზიდენტი გუშინ განათლების მინისტრის გადადგომის მოთხოვნით "მემარჯვენეების" მიერ შეგროვილი ხელმოწერების თემასაც შეეხო: **"ეს არის სისულელე. განათლების სფეროში რეფორმები უნდა გატარდეს და ეს პროფესიონალმა უნდა გააკეთოს. ხელმოწერების შეგროვება კი ჩვეულებრივი პოლიტიკური კამპანიაა,"** - აღნიშნა მან.

როგორც პრეზიდენტმა თქვა, "ვარდების რევოლუციის" წლისთავის აღნიშვნას რევოლუციონერი ხელისუფლება დიდი პომპეზურობით გეგმავს. მისი თქმით, 23 ნოემბერს საქართველო უცხოელ სტუმრებს მიიღებს, თბილისში სხვადასხვა ღონისძიებები მოეწყობა. ასევე დაგეგმილია სამების ტაძრის საზეიმო გახსნა.

*24 საათი*

## მოკლედ

### შუალედური არჩევნების საბოლოო შედეგები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარლამენტის მაჟორიტარული შუალედური არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა:

თბილისის კრწანისის რაიონის მე-4 ოლქში გიორგი ასანიძემ მიიღო 3 608 ხმა, ნოდარ ნათაძემ - 696 ხმა, იოსებ შატბერაშვილმა - 1272 ხმა. კრწანისის რაიონში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 5694.

დიდუბის რაიონის N 8 საარჩევნო ოლქში თეიმურაზ ჭეიშვილმა მიიღო 5166 ხმა, პაატა ჯიბლაძემ - 1581 ხმა, ჯუმბერ თავართქილაძემ - 1995 ხმა. დიდუბის რაიონში სულ 9998 ამომრჩეველია.

გორის N 31-ე საარჩევნო ოლქში ჯუმბერ პატიაშვილმა მიიღო 30 416 ხმა, მისმა კონკურენტმა გიორგი მჭედლიშვილმა კი - 4904 ხმა. ამ საარჩევნო ოლქში სულ 36 027 ამომრჩეველია.

ზესტაფონის N51 საარჩევნო ოლქში უალტერნატივო კანდიდატმა თეიმურაზ ცერცვაძემ მიიღო 14 450 ხმა, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 14 717.

*მედია-ნიუსი*

### ვლადისლავ არძინბამ სოხუმის მერი ლეონიდ ლოლუა თანამდებობიდან გაათავისუფლა

თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის მოქმედმა პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ სოხუმის მერი ლეონიდ ლოლუა, ოპოზიციასთან თანამშრომლობის მოტივით, თანამდებობიდან გაათავისუფლა. მისი განკარგულებით, მერის მოვალეობის შესრულება გულირიფშის რაიონის საკრებულოს თვმჯდომარეს ადგურ ხარაზიას დაევალა.

აფხაზეთის 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული გაერთიანებული ოპოზიცია ლოლუას გათავისუფლებას "ხელისუფლების აგონიად" აფასებს. მათი განცხადებით, ჯანმრთელობაშერყეული ვლადისლავ არძინბას ხელისუფლება მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს ათავისუფლებს, ვისაც ოპოზიციასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ლეონიდ ლაკერბაიას განცხადებით, ლოლუას გათავისუფლების შესახებ არძინბას მიერ ხელმოწერილ განკარგულებაში არაფერია ნათქვამი აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზებზე. "თუ ასე გაგრძელდა, საკუთარ სავარძლებს, შესაძლოა, მალე სხვა, უფრო მაღალი თანამდებობების პირები გამოემშვიდობონ," - აღნიშნა ლაკერბაიამ.

*ინტერ-პრესი*

# ადამიანის უფლებათა დამცველები ამნისტიას მხარს უჭერენ

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა, პირველი მოსმენით, მხარი დაუჭირა პრეზიდენტის ინიციატივით მთავრობის მიერ მომზადებულ კანონპროექტს "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ". ამის მიუხედავად, გარკვეული შენიშვნები და წინადადებები დეპუტატების მხრიდან მაინც გამოითქვა.

**"თუკი მათ არ ეკითხებიან, საიდან აქვთ დაგროვილი ქონება და მათ წინააღმდეგ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, ვინ ან როგორ უნდა გაარკვიოს, ტრეფიკინგით გამდიდრდნენ თუ საწვავის გაყიდვით? საქართველოს ახალი ხელისუფლების წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევას ეხებოდა. ახლა კი ფინანსური ამნისტია ცხადდება. ხომ არ დაიხია ხელისუფლებამ უკან?"** - დაინტერესდნენ დეპუტატები.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის გიორგი ხუროშვილის პასუხი საკმაოდ ბუნდოვანი აღმოჩნდა, თუმცა ჭარბსიტყვიანმა მდივანმა მაინც მოახერხა გვერდი აევლო უხერხული კითხვებისათვის და დეპუტატთა ყურადღება სულ სხვა საკითხებზე გადაიტანა. მისი პასუხები, ძირითადად, პოლიტიკური აქცენტებით იყო გაჯერებული. მაგალითად: უნდა გამოსწორდეს ის ვითარება, რაც წინა, კორუმპირებული ხელისუფლების წყალობით დამკვიდრდა. ფინანსური ამნისტია საშუალებას აძლევს მოხელეებს და მეწარმეებს, ამიერიდან პატიოსნად იცხოვრონ და ა.შ.

იმის თაობაზე, რომ კანონპროექტის მიღებას პოლიტიკური მიზანი აქვს, ხმამაღლა მხოლოდ "მემარჯვენე" კოკა გუნცაძემ განაცხადა, რომლის თქმითაც, სწორედ ამ მეთოდით შესაძლებელია შავი ფულის გათეთრება და ქვეყანაში ახალი ინვესტიციების მოზიდვა. საგულისხმოა, რომ მას არავინ შეწინააღმდეგებია. თვით მთავრობის საპარლამენტო მდივანიც.

*24 საათი*

# პარტნიორობა ევროკავშირთან

სასტუმრო "თბილისი მარიოტში" 5 ნოემბერს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტის "ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" პრეზენტაცია გაიმართა. იგი წარადგინეს სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში თამარ ბერუჩაშვილმა, ევროკომიიის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების ხელმძღვანელმა ადრიანა ლონგონიმ და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ იაკობაშვილმა. აღნიშნულ პროექტზე მუშაობა 1996 წელს დაიწყო, ხოლო ძალაში 1999 წელს შევიდა. ევროპულ კონსორციუმში გაერთიანებულია ოთხი ქვეყანა: ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და საქართველო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა ევროპულ კონსორციუმში ქართული ორგანიზაციის ჩართვისა. "ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" პროექტი ერთწლიანია. მისი ბიუჯეტი 700 000 ევროთი განისაზღვრება. პროექტის მიზანია სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა, რაც საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და კვალიფიციური კადრების მომზადებას ისახავს მიზნად. პროექტის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, იგი მოიცავს სამი სახის საქმიანობას:

- დახმარების გაწევა სახელმწიფო უწყებებისათვის "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" განხორციელების პროცესის კოორდინაციის, მართვისა და მონიტორინგის საქმეში.
- ადამიანური რესურსების განვითარება მოთხოვნებზე მორგებული სასწავლო პროგრამების საშუალებით.
- მთავრობისათვის დახმარების გაწევა საინფორმაციო პოლიტიკის განხორციელებაში.

პროექტის პარტნიორია ევროპული ინტეგრაციის სამთავრობო კომისია, თუმცა, პროექტი იმავდროულად ითანამშრომლებს ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სამსახურთან და ყველა იმ სამინისტროსთან, რომელიც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაში იღებს მონაწილეობას. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია თანამშრომლობა საპარლამენტო კომიტეტებთან, ბიზნესწრეებთან, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გარდა ამისა, ევროპელ და ქართველ ექსპერტთა ჯგუფები განახორციელებენ საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საქმიანობას.

*24 საათი*

# პატიაშვილი, "შემოვლითი გზით", გორიდან ბრუნდება



ახალმა დეპუტატებმა პირველი ბარიერი გადალახეს - მათ ნარკომანობის ნიშნები არ აღმოაჩნდათ.

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

ყოველ შემთხვევაში, გორის რაიონის ახალი მაჟორიტარი ოპოზიციონერობას არ აპირებს და უმრავლესობის რიგებს შეავსებს.

**"არჩევნებამდე და მის შემდეგაც პრეზიდენტის კურსს ვუჭერ მხარს. მიმაჩნია, რომ ქვეყანას სწორედ ეს კურსი გადაარჩენს",** - აცხადებს პატიაშვილი.

**"დაპირისპირება არავისთან მქონია. ჩემგან ვერასდროს გაიგონებდით აუგ სიტყვას. ყველასთან ნორმალური, კონსტრუქციული და კორექტული ურთიერთობები გამაჩნდა",** - "ვარდების რევოლუციის" შემოქმედთა მიმართ წარსულში თავის ნეიტრალიტეტს პატიაშვილი დღეს უკვე ფარად იშველიებს. სახელისუფლებო გუნდის მიმართ ხაზგასმული პატივისცემის მიუხედავად, გორელების რჩეული მასში ათქვეფას არ აპირებს და აღნიშნავს, რომ მისი პოლიტიკური ორგანიზაცია "ერთობა" კვლავაც იარსებებს და კიდევ უფრო გაძლიერდება.

პატიაშვილს, როგორც გორის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, საკანონმდებლო ორგანოს მიღმა ყველაზე მეტი შეხების წერტილი შიდა ქართლის გუბერნატორთან ექნება. ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს მიხეილ ქარელის მისამართით სხვადასხვა ბრალდებები გაისმის, პარლამენტარს ნაკლებად აღელვებს.

**"მასთან ადრეც ვთანამშრომლობდი და მომავალშიც ვითანამშრომლებ. გუბერნატორთან დაპირისპირება საერთო საქმეს არ წაადგება,"** - აცხადებს პატიაშვილი.

რაც შეეხება მის "სამეურნეო" გეგმებს, გორის რაიონის მაჟორიტარი პრიორიტეტულად მიიჩნევს სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვას, მოსახლეობის დასაქმებას, წარმოებების ამუშავებას და **"დაღუპვის პირამდე მისული დარგების რეამინირებას".**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთის რეგიონში რეზერვისტთა პირველი ბატალიონი დაკომპლექტდა. სამცხე-ჯავახეთში რეზერვისტთა გამწვევი შტაბის უფროსის, თენგიზ აღდგომელაძის ინფორმაციით, ოსიაურის საველე-სამხედრო ბანაკებში მომზადების სურვილი 400-მდე მოხალისემ გამოთქვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასტუმრო "მარიოტში" ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის პრეზენტაცია შედგა, რომელიც "ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" განხორციელების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. როგორც ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა განაცხადა, პროექტის უპირველესი მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობების გაზრდას, რაც, თავის მხრივ, უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნის საქართველოში დემოკრატიული და სტრუქტურული რეფორმების გასატარებლად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის "ლილოს" სასწავლო ცენტრში მესაზღვრე ოფიცრების "სწავლების დაგეგმარებისა და სალიდერო მომზადების" კურსდამთავრებულთა მეხუთე გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასტუმრო "სიმპათიაში" მუშაობა დაასრულა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დახმარებების კოორდინაციის საკითხებისადმი მიძღვნილმა რიგით მესამე კონფერენციამ, რომელშიც ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ მხურვალედ მიესალმება საქართველოს გადაწყვეტილებას, განათავსოს დამატებითი სამხედრო ნაწილები ერაყში გაერო-ს პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის რიჩარდ ბაუჩერის განცხადებაში. "ახალი განლაგება გაზრდის ერაყში ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობას 150-დან 850-მდე. ეს არის ერაყელ ხალხთან და მთელ მსოფლიოში მის მეგობრებთან პარტნიორობის საქართველოს ერთგულების დადასტურება, რომელიც მიმართულია ერაყში მშვიდობის, აყვავებისა და დემოკრატიის დამყარებისკენ,"- თქვა ბაუჩერმა. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.



ნესტან ნიჟარაძე იუსტინა მიელნიკიევიჩი

რეპორტაჟები (ფოტო)კომენტარებით

# ომი და მშვიდობა დიდი ლიახვის ხეობაში







ნესტან ნიჟარაძე

*დიდი ლიახვის ხეობის 9 ქართული სოფელი, 12 ათასი მაცხოვრებლით, დღეს ოსური პოზიციებით გარემოცული ცხოვრობს. რეგულარული სროლები და მოახლოებული ზამთარი, რომელიც უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ რეგიონს შიმშილით და სიცივით ემუქრება, ადგილობრივ მოსახლეობას მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრებას აიძულებს.*

სროლა დაბინდებისას იწყება. ისვრიან ყოველ ღამე. ერთ ზოლზე განლაგებული, სამი მხრიდან მთებით გარშემორტყმული დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები მთაში განთავსებული ოსი ბიევიკების ხელსაყრელ სამიზნედ იქცა. სოფლებსა და პოზიციების სიახლოვეს მდებარეობს, შემთხვევით თუ საგანგებოდ ნასროლი ტყვიისგან თავის დაზღვევის მიზნით, საძინებლის ფანჯრებს ქვიშით სავსე ტომრებს აფარებს; ერიდებიან საღამოს შუქის ანთებას და ქუჩაში გასვლას; ველარ დაჰყავთ ნახირი საძოვრებზე; ვერ დადიან ტყეში შეშის დასაჩეხად - ტყე დანაღმულია; უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე ტყეებში ოთხი ადამიანი აფეთქდა; მიცვალებულებს ველარ მარხავენ სასაფლაოზე და ვერც სალოცავებში დადიან - ოსური პოზიციები იქვეა განლაგებული. ზამთარს, ისევევ როგორც რეგიონში მოვლენების შემდგომ განვითარებას, შიშით ელოდებიან.

## "ღამურები"

პოზიციებზე განლაგებული შეიარაღებული ბანდების რაოდენობის განსაზღვრა საკმაოდ რთულია. თუ საკითხის სიმწვავეს და მისი გადაწყვეტის აუცილებლობასაც თუ გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ წლევანდელი გიორგობისთვის ოსი ბოევიკები საგანგებოდ ემზადებიან. რეგიონში გავრცელებული ინფორმაციით, კარსმომდგარი გიორგობა ოსური მხარისთვის ცხინვალის შემოსასვლელს მომდგარ ქართულ ჯართან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ხელისუფლებას ნამდვილად აქვს საბაბი - დევიზი "არც ერთი გიორგობა ახალი გამარჯვების გარეშე!" - თავის სამოქმედო დევიზად გაიხადოს, ვფიქრობთ, ოსი ბოევიკების შეშფოთება ამჯერად ნამდვილად მოკლებულია საფუძველს. თუმცა კი, 23 ნოემბერის მოახლოებას ოსურ მხარეში სერიოზული რეზონანსი და საბრძოლო პოზიციების მნიშვნელოვანი გაძლიერება მოჰყვა.

არც ქართული სოფლების მოსახლეობისთვის და არც ქართველი სავების და, რაც მთავარია, იმედის გარეშე, ზოგიერთი ოჯახი კი ზაფხულის დაბომბვების შედეგად უსახურავოდ დარჩენილი სახლებით ხვდება, ქართული სოფლების ცხოვრება ჭეშმარიტ ჯოჯოხეთად აქცია.

სიტუაცია ზაფხულის ცნობილი მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა. "პირველი კონფლიქტის შემდეგ ამ ზაფხულამდე სიმშვიდე იყო, - ამბობს თამარაშენის მკვიდრი ქალბატონი ქრისტინე, - დრომ ბევრი რამ განკურნა და ახლა ისევ ყველაფერი აირია. ჩვენ ოსებთან გასაყოფი არაფერი გვაქვს, არც იმათ ჰყავთ დასალუპი შვილები და არც ჩვენ." "მოსახლეობას არავინ არაფერს ეკითხება, - ებმება საუბარში თამარაშენში მცხოვრები ოსი ქალბატონი, - თორემ ორივე მთავრობას ვეტყოდით, რომ მხოლოდ მშვიდობა გვინდა."

საღამოს სროლების შემდეგ, დღისით ქართველები და ოსები ერთმანეთს ჩვეულებრივად ხვდებიან, ერთად ვაჭრობენ ცხინვალის ბაზარზე, ურთიერთობენ. სოფელ აჩაბეთში იმასაც კი ჰყვებიან, რომ აგვისტოს მოვლენების დროს ფეხმძიმე ქართველი ქალი ნაადრევად დაწყებული მშობიარობით ცხინვალის საავადმყოფოში ამშობიარეს, სადაც ექიმებიც და სხვა მშობიარე ქალებიც მხოლოდ ოსები იყვნენ. "ჩემ მიმართ ყველა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა, - ამბობს მარიკა, - სამშობიაროდან რომ გამოვედი, ბავშვთან ერთად ოსებმა ესკორტიც კი გამოგვაყოლეს, რომ უსაფრთხოდ გაგვევლო ცხინვალი."

## პოლიტიკური ჩიხიდან - ეკონომიკურ კატასტროფამდე

ჯერ კიდევ 1992 წლის მოვლენების შემდეგ, პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვას რეგიონში ეკონომიკური და, შე-

ის გაყიდვაც გამოზამთრების ერთადერთი შანსი იქნებოდა, სარდაფებში ლპება. წლევანდელი გაზაფხულის სუსხის მიუხედავად, მოსახლეობა მოსავლის სიუხვეს მაინც არ უჩივის, თუმცა არავინ იცის, სად და როგორ გაყიდოს ხილი. "ადრე ჩვენ თვითონ გაგვქონდა ხილი რუსეთში, ახლა კი ამასაც ვერ ვაკეთებთ, - ამბობს აჩაბეთის მკვიდრი, 36 წლის მარიკა, - ცხინვალის ბაზარზე თუ გავალთ სავაჭროდ, მაგრამ იქ დიდი რაოდენობის გაყიდვა შეუძლებელია. იმის გამო, რომ ვერსად გავყიდეთ, შარშან მთელი მოსავალი გაგვიფუჭდა. წელსაც იგივე მოხდება, ასე თუ გაგრძელდა."

ქართული სოფლების მოსახლეობა ისევ ოსების იმედით არის. ოსები კი იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ქართველებს თავისუფლად მიმოსვლის შესაძლებლობა აღარ აქვთ, რეგულარულად ჩამოდიან და რუსეთში გასაყიდად წასაღები ხილის დიდ არამედ თვეში ასიოდე ლარს იღებდა მოგებას; ამის ნაცვლად ისინი 17 ლარიანი პენსიების, ჰუმანიტარული დახმარებით შემოტანილი ფქვილის და ზეთის იმედადღა დარჩნენ.

გზა კი, რომელსაც დღესაც იყენებენ კონტრაბანდის გადასატანად, მაინც არსებობს და იგი ჯავისკენ უმეტესწილად იმ ოსურ სოფლებზე გადის, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარება.

"ჩვენთვის ბაზრობის დახურვა ნამდვილი კატასტროფა აღმოჩნდა, - ამბობს თამარაშენის მკვიდრი, 41 წლის ლამარა, - ჩემი მეუღლე ბენზინს იქ ყიდულობდა და მერე სოფელში ყიდდა. ასე შოულობდა ორ კაპიკს სამი ბავშვის გამოსაკვებად." დღეს აღარც ერგნეთის ბაზრობა არსებობს და აღარც ლამარას მეუღლეა ცოცხალი. იგი 12 აგვისტოს, სახლში მანქანით (რომელიც სოფლის უკანასკნელი სახლია და რამდენიმე ასეული მეტრით არის და-







ციებს შორის არცთუ ისე შორი მანძილი სანგრების და პოზიციებზე გამაგრებული მოხალისეების თუ დაქირავებული მებრძოლების გადაადგილების შეუიარაღებელი თვალით დანახვის შესაძლებლობასაც კი იძლევა. მოსახლეობისთვის, პოლიციისთვის და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებისთვის ოსური პოზიციების განლაგება საიდუმლოს არ წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ ოსურმა სამხედრო შენაერთებმა ის პოზიციები დაიკავეს, რომლებსაც ზაფხულში, კონფლიქტის გამწვავებამდე, ქართული ძალები აკონტროლებდნენ.

1992 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ "გაყინულ კონფლიქტად" კვალიფიცირებული სამაჩაბლოს საკითხი დღეს მოსახლეობასა და პოზიციებზე გამაგრებულ ბოევიკებს შორის ერთმხრივ დაპირისპირებად გადაიქცა. ოსური პოზიციებიდან ისვრიან ქართული სოფლების მიმართულებით - ესვრიან სახლებს, მშვიმცა, ქართველი სამხედროების დაკვირვებების თანახმად, თითოეულ პოზიციაზე 50-60 ადამიანია კონცენტრირებული. ქართული სოფლების უკან კი, მხოლოდ ერთ მხარეს (სოფლები გარშემორტყმულია სამივე მხრიდან!) დაახლოებით 6 ოსური პოზიციაა განლაგებული.

არანაკლებ რთულია პოზიციებზე გამაგრებული მებრძოლების შესაძლო ვინაობის განსაზღვრაც. თუმცა, საუბარია არა ოსური შეიარაღებული ძალების ოფიციალურ წარმომადგენლებზე, არამედ მოხალისეებზე და სხვადასხვა ეროვნების დაქირავებულ მებრძოლებზე, რომელთა შორისაც ვინმე "პატარა ალანას" სახელით ცნობილი მეთაურის შეიარაღებულ დაჯგუფებას - "ღამურებს" - მოიხსენიებენ. ქართველი სამხედროების განმარტებით, "ღამურების" საბრძოლო მომზადების მაღალი დონე, ორგანიზებული ქმედება და შეიარაღება ცხადყოფს, რომ დაჯგუფებმხედროებისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ჯერ გიორგობის დღისთვის და შემდეგ უკვე ზამთრისთვის მზადება ოსმა ბოევიკებმა, უკვე დიდი ხანია, დაიწყეს. თავიანთ პოზიციებზე ოსი მებრძოლები 3-4 მეტრიან სანგრებს თხრიან, სადაც იარაღით დატვირთულ ვაგონებს ათავსებენ. "ვაგონებში "ფეჩებსაც" კი აყენებენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მებრძოლებმაც შეძლონ გამოზამთრება, - განმარტავს ჩვენთან საუბარში ქართული სამხედრო ძალების ერთ-ერთი წარმომადგენელი, - თუმცა, მანამდე ეს ვაგონები მიწით იფარება და უხილავი ხდება. აუცილებლობა რომ შეიქმნას, ამ ტიპის სანგრების განადგურება შეუძლებელიც კი იქნება, რადგან ასეთ სიღრმეზე ჭურვები ვერ აღწევს."

23 ნოემბრისთვის ოსების გაძლიერებულ სამზადისზე დიდი ლიახვის ხეობის ბოლო ქართული სოფლის - სერას - მაცხოვრებლებიც საუბრობპარტიებს ისევ ქართველებისგან ყიდულობენ. შესაბამისად, რეგიონში ბრუნვაში ქართულ ლართან ერთად, რუსული რუბლიც არის. იგივე ქართულ სოფლებში ფასები ჯერ რუსულ ფულზე ცხადდება და შემდეგ უკვე ლარებში. ასე მაგალითად, პური ათი მანეთი ღირს (60 თეთრი), ხოლო სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა მოკლე დისტანციაზე 5 მანეთი (30 თეთრი).

იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობა არაფრით ეხმარება რეგიონის ქართულ მოსახლეობას ხილის რეალიზაციაში, თავად მოსახლეობამ, საკუთარი ინიციატივით, გადაწყვიტა, ვაშლის დიდი პარტიის ჩაბარების წინადადებით გორის წვენების ქარხნისთვის მიემართა. წინადადებას მკაცრი, უაპელაციო უარი მოჰყვა. მთელი წლის შრომა, რომელსაც სოფლის მოსახლეობა კარგი მოსავლის მიღებისთვის არ იშურებს, კვლავ წყალში გადაიყრება და ასობით ტონა ხილი სარდაფებში დალპება. გაუმართლშორებული ოსური პოზიციებიდან) მიმავალი სასიკვდილოდ დაჭრეს. ლამარას მეუღლისგან ტყვიით გახვრეტილი "ვილისი", სამი შვილი (მათგან ერთი პირველი ჯგუფის ინვალიდია) და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მთავრობის დახმარება - 600 ლარი - დარჩა. "ეს ფული რომ დამიმთავრდება, რა მეშველება? ინვალიდ ბავშვზე პენსია 20 ლარი მეკუთვნის და იმასაც ვერ ვიღებ. ძალიან მინდა, მთავრობამ პასუხი გამცეს, როგორ ვიცხოვრო?"

***

შიშით აქ ხვალინდელ დღეზე აღარავინ ფიქრობს. როგორ დამთავრდება გუშინ სოჭში ცხარე დისკუსიით დაწყებული სამთავრობო მოლაპარაკებები, არავინ იცის; როგორ გადაიტანენ მოახლოებულ ზამთარს, როგორ განვითარდება მოვლენები, რა ახალ პრობლემებს მოუტანთ მათ ხვალინდელი დღე? ჩვენთან საუბარში იმას იხსენებენ, რომ სოფელ სერადან ტყეში ასულ ერთ-







დობიან მოსახლეობას, მანქანებს, ნახირს; ისვრიან ჰაერშიც.

ბრძანების თანახმად, რომელიც ქართული მხრიდან მშვიდობიან მოსახლეობაზე და სამხედროებზე ერთნაირად ვრცელდება, სროლას არავინ პასუხობს. "ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ," - აცხადებენ სამხედროები. "ჩვენ კი ნამდვილ ჯოჯოხეთში ვცხოვრობთ, - ამბობენ თამარაშენის მაცხოვრებლები, - ადრე დღისითაც ისროდნენ. ახლა კი სროლა საღამოს ან ღამე იწყება. ტყვიების ზუზუნი ბავშვებისთვის იავნანად იქცა. ჩვენ კი ყურებზე ხელებს ვიფარებთ და ისე ვიძინებთ."

აგვისტოს თვის შემდეგ ქართული სოფლების მოსახლეობის უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ისინი, ვისი საცხოვრებელი სახლებიც ოსური ას სერიოზული დაფინანსების წყარო აქვს. ხოლო დაჯგუფების მეთაურის -"პატარა ალანას" - შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ იგი ორჯონიკიძის სპირტის ქარხნის ყოფილი დირექტორია. თავად მებრძოლების განმასხვავებელი ნიშანი კი მარჯვენა მკლავზე ტატუირებული ღამურაა.

## სამზადისი გიორგობისთვის

გიორგობის დღემ, იქნება ეს 23 ნოემბერი თუ 6 მაისი, თანამედროვე ქართულ ისტორიაში, არსებული რელიგიურის გარდა, პოლიტიკური სიმბოლიკის დატვირთვაც შეიძინა. როგორც ჩანს, არა მხოლოდ ქართველებისთვის. ბოლო ორი გიორგობის მოვლენების გახსენებისას, სამაჩაბლოს ენ. სერას პირველ ოსურ სოფელ ანდისისგან ნახევარი კილომეტრიც არ აშორებს. ანდისის შესასვლელთან კი ოსური პოზიციებია, სადაც განსაკუთრებული მზადება მეზობელი სოფლის ბინადრებმაც შენიშნეს. "სულ რაღაცას ეზიდებიან და სანგრებს თხრიან. 23 ნოემბრისთვის ემზადებიან, - ამბობს სერას ბინადარი დათო, - ჩვენ იქით მხარეს უკვე ნახირიც ვერ აგვყავს. უკონტროლო სიტუაციაა."

## მოჩვენებითი მშვიდობა

უკიდურესმა სიღარიბემ, მუდმივი დაძაბულობის პირობებში ცხოვრებამ და ხვალინდელი დღის შიშმა, ახლა კი უკვე მოახლოებულმა ზამთარმა, რომელსაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ფულის, შეშის, საკსაბამისად, სოციალური მდგომარეობის უკიდურესად გაუარესება მოჰყვა.

რეგიონში არსებული საწარმოები დახურულია. 12 წლის წინ ცხინვალში მომუშავე ქართული სოფლების მოსახლეობამ იძულებით თუ ნებით სამუშაო ადგილები დატოვა. რეგიონის მოსახლეობა უმუშევრობის მძიმე პირობებში ცხოვრობს.

მრავალი წლის განმავლობაში დიდი თუ პატარა ლიახვის ხეობის ქართული და ოსური მოსახლეობისთვის ვაჭრობა შიმშილისგან თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად იქცა. მოსახლეობა საკუთარ ბაღებში მოყვანილი ხილის ჩრდილოეთ ოსეთში თუ რუსეთის სხვა რეგიონებში გაყიდვით ირჩენდა თავს. ამჟამად ამ უკანასკნელი შესაძლებლობის არქონის პირობებში ტონობით ვაშლი, რომლებთ მხოლოდ მათ, ვინც ხილის მიყიდვას ოსებისთვის მაინც მოახერხებს.

## კონტრაბანდა - გადარჩენის ერთადერთი გზა

კონტრაბანდული საქონლის ბრუნვის აღკვეთის მიზნით ერგნეთის ბაზრობის დახურვამ ყველზე მძიმე გავლენა სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილზე იქონია, რომელიც უმძიმეს სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბაზრობის დახურვამ კონტრაბანდის ბრუნვა მართლაც მნიშვნელოვნად შეამცირა, თუმცა დარტყმა მიაყენა მათ, ვინც, მსხვილი კონტრაბანდისტებისგან განსხვავებით, არა მილიონობით ლარს ან რუსულ მანეთს, ერთ გლეხს ოსი ბოევიკები დაცხრილვით დაემუქრნენ და მიაძახეს: "წაეთრიე შენს საქართველოშიო..."

"ეს საქართველო" კი მეზობელი სოფელია.

და მიუხედავად იმისა, რომ "ეს საქართველო" დღეს პოლიტიკური გარიგებების ობიექტი გახდა, მასში ცხოვრება კი, უბრალოდ, გაუსაძლისი, არც ქართული მოსახლეობა და არც ქართულ სოფლებში მცხოვრები ოსური მოსახლეობა ტოვებს საცხოვრებელ ადგილებს. სწორედ ამიტომ ცხოვრობენ იქ, სადაც მშვიდობა ისეთივე შიშის მომგვრელია, როგორც ომი. მითუმეტეს, რომ მკვეთრი ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის აქ უკვე დიდი ხანია, აღარ არსებობს.

*იუსტინა მიელნიკიევიჩის ფოტოები*

მაია ურუშაძის სვეტი

## გახანგრძლივებული პიკის საათი

ქალაქში ყველაფერი აირია. ეს იმიტომ, რომ საღამოს ხუთ საათზე, ანუ იმ დროს, რომელსაც ჩვენ აქამდე "დღის მეორე ნახევარს" ვეძახდით, უკუნი სიბნელეა. ამ დროს "ღამის გართობის დრო" ჯერ არ მოსულა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ბიოლოგიური საათი ჯერ მძიმე სამუშაო დღის დასრულებასაც ვერ გრძნობს. ენერგოკრიზისის პირობებში მოკრძალებულად გაჩახჩახებულ ქალაქში კი საღამოს პიკის საათი ეს-ესაა იწყება.

არადა, საქართველოში საათმა წელს უკან ერთხელ უკვე გადაიწია. ეს მაშინ, როცა მთავრობამ ევროპასთან მიახლოება განიზრახა და ამ ევრომარათონში აზერბაიჯანსა და სომხეთს მთელი ერთსაათიანი ნაბიჯით გადაასწრო, სამაგიეროდ კი დასავლეთ რუსეთს - მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგს წამოეწია. ახლა კი გამოვიდა, რომ შარშანდელ ზამთართან შედარებით, წელს საქართველოში ორი საათით ადრე ღამდება.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამ ნაადრევ დაბნელებას თან ერთი არც-თუ უმნიშვნელო პრობლემაც ახლავს თან. როცა ადრე ღამდება, ენერგეტიკული "პიკის საათიც" ერთი საათით ადრე იწყება. სატელევიზიო პროგრამებისა და "გასართობი ღამეების" განრიგი კი არ შეცვლილა. გამოდის, რომ ქვეყანას ახლა მეტი დენი სჭირდება, რათა ზამთრის ბნელი საღამოები ერთი საათით უფრო დიდხანს გაანათოს. ხალხსაც, შესაბამისად, მეტი დენის ხარჯვა და მეტის გადახდა უწევს (ასევე, კერძო სტრუქტურებსა და ქალაქების გარე განათების სამსახურებს, რომლებიც ბიუჯეტებიდან ფინანსდებიან).

თავის დროზე ზამთრისა და ზაფხულის დროებს შორის ერთსაათიან ცვლილებას ერთი მარტივი მოტივაცია დაედო საფუძვლად. დროის გადაწევა ეკონომისტებმა შემდეგი მოსაზრებებით დაასაბუთეს: თუ სამუშაო დღე ზამთრობით უფრო გვიან დაიწყება და გვიან დამთავრდება, ხალხს სახლებში ნაკლები ბნელი საათების გატარება მოუწევს, დენიც დაიზოგება და სამუშაო დღეებიც გახანგრძლივდებაო...

ჩვენს შემთხვევაში კი, ტრადიციულად, ყველაფერი პირიქით მოხდა. შესაძლოა, ენერგეტიკის ან ეკონომიკის მინისტრისთვის საათის გადაწევის წინ აზრი არავის უკითხავს, შესაძლოა, ჰკითხეს კიდეც. თუ ჰკითხეს, შესაძლოა, მათ ამ საქმეში "დამღუპველი" არაფერი დაუნახავთ, შესაძლოა, დაინახეს, მაგრამ ხათრით გაჩუმდნენ. ბოლოს და ბოლოს, პრობლემამ ხომ მხოლოდ მას შემდეგ იჩინა თავი, რაც "შემთხვევით აღმოჩნდა", რომ დენის ხარჯი საკმაოდ სოლიდურად გაიზარდა.

ერთი სიტყვით, ენერგოკომპანიებს საბითუმო ბაზრისთვის ამიერიდან მეტი დენის მოთხოვნა უწევთ, საბითუმო ბაზარს კი - დამატებითი რესურსების მოძიება, დეფიციტის შესავსებად.

სამაგიეროდ, ახლა თავს კარგად გრძნობენ სატრანსპორტო დისპეტჩერები: ახლო საზღვარგარეთული რეისების დაგეგმვა-შესრულებისას ზედმეტი ანგარიში არ სჭირდებათ. აღარც მოსკოვური ვიზიტების პროტოკოლის შეთანხმება ჭირს. ახლა მოსკოვის დროითაც პიკის საათია.

# ბიზნესის დასასრული

### "მეტრომედია" ბოლო პლაცდარმს ტოვებს

*ამერიკელი მფლობელები ქართული "მაგთიკომისა" და რუსული "პეტერსტარის" კუთვნილ წილებს ყიდიან. ამერიკული ჰოლდინგი "მეტრომედია" (Metromedia International Group) ქართული მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორის "მაგთიკომისა" და რუსული სატელეფონო კომპანია "პიტერსტარის" აქციათა კუთვნილ წილებს ყიდის. ამ საკითხზე მოლაპარაკებების წარმოების დაწყების შესახებ ჰოლდინგის წარმომადგენლებმა უკვე ოფიციალურად განაცხადეს.*

მაია ურუშაძე

ჯერ კიდევ 2004 წლის დასაწყისში საქართველოში ვიზიტად მყოფი "მეტრომედიას" გენერალური დირექტორი "24 საათთან" ჩიოდა, რომ საქართველოში მას **"ფინანსური თვალსაზრისით ძალზე წარმატებული საწარმოებიდან ზოგიერთი წაართვეს ადგილობრივმა ბიზნეს- ან პოლიტიკურმა ინტერესებმა, რის შემდეგაც "მეტრომედია" იძულებული გახდა, დაეტოვებინა ეს კომპანიები და ამგვარად, დაეკარგა ამ კომპანიებში განხორციელებული მთელი ინვესტიციები, ან მათი ნაწილი მაინც."**

ახლა კი "მეტრომედია" ოფიციალურად აცხადებს, რომ "მაგთიკომის" აქციათა 49-პროცენტიან და "პეტერსტარის" 71-პროცენტიან აქტივებს ახალ მფლობელებს 300 მილიონ აშშ დოლარად მიჰყიდის.

"მეტრომედია"-ს წარმომადგენელთა ინფორმაციით, **"2003 წელს "მაგთიკომის" წლიურმა ბრუნვამ 72,1 მილიონი, ხოლო "პიტერსტარისამ" - 65 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქციების გაყიდვიდან მიღებული 300 მილიონი აშშ დოლარიდან, ჰოლდინგი 152 მილიონს კომპანიების დავალიანებების გასტუმრებას მოახმარს, ხოლო დარჩენილ 148 მილიონს აქციონერებს შორის გაანაწილებს."**

ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ ამერიკულმა "მეტრომედიამ", რომელმაც პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ბიზნესი წარმატებულად დაიწყო, ფიასკო განიცადა.

არადა, "მეტრომედია" ამერიკული სატელეკომუნიკაციო კომპანიაა, რომლის საქმიანობამაც, 80-90-იან წლებში პოსტსაბჭოური სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპის საკომუნიკაციო ბაზრის დიდი ნაწილი მოიცვა (საქართველო, უკრაინა, რუსეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსი, მოლდოვა, უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, ყირგიზეთი, ჩინეთი, ყაზახეთი და უზბეკეთი). პრობლემა ის გახდა, რომ კომპანიამ ყველა ქვეყანაში ერთი სცენარი აამოქმედა: ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ან მათი ოჯახის წევრებს დაუახლოვდა, რითაც ადგილობრივი ლიცენზიებისა და ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვება გაიადვილა. შემდეგ, "მეტრომედია" აძლევდა თავისივე კომპანიებს კრედიტს, რომლის ოდენობაც, როგორც წესი, ბევრად აღემატებოდა თავად "მეტრომედია"-სა და მისი ადგილობრივი პარტნიორების ერთობლივ შენატანს საწესდებო კაპიტალში. კრედიტები, სადაც პროცენტი პროცენტს ერიცხებოდა, წლების განმავლობაში იფარებოდა და "მეტრომედიაც" შემოსავალს მანამდე ბევრად უფრო ადრე იღებდა, ვიდრე დივიდენდების განაწილება დაიწყებოდა.

საქართველოში მან 1995 წელს მიიღო ტელესაკომუნიკაციო ბაზრის მაშინდელი დომინანტი - "საქართველოს ტელეკომი" (49 პროცენტი) და "მაგთიკომი" (51 პროცენტი). აგრეთვე, შედარებით უმნიშვნელო აქტივები საკაბელო ტელევიზია "აიეტსა" და რადიო "ფორტუნა"-ში.

თუმცა, 90-იანი წლების მიწურულს კომპანიას პრობლემები შეექმნა. მას აზერბაიჯანში თავისი ადგილობრივი საწარმოს "კასპიან-ამერიკან ტელეკომის" სულ რაღაც 100 ათას დოლარად გაყიდვა მოუწია. ეს მაშინ, როცა ამ საწარმოში "მეტრომედიას" 19 მილიონი დოლარი ჰქონდა ინვესტირებული.

ამ ორი წლის წინ კი, "მეტრომედია", ფაქტობრივად, გაკოტრებული აღმოჩნდა და მის საკუთრებაში მყოფი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მდებარე 50 საწარმოდან თითქმის ყველას გაყიდვა მოუწია.

საბოლოოდ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე ხუთი ოფისიდან, სადაც 200-ზე მეტი კაცი მუშაობდა, კომპანიას მხოლოდ ერთი შემორჩა, რომელიც სულ ოთხ საწარმოს აკონტროლებდა: სამს - საქართველოში, ერთს კი ("პეტერსტარს") - რუსეთში. გასული წლის ბოლოს კი "მეტრომედიამ" რუსულ "სისტემას" 210 მილიონ აშშ დოლარად ღირებული ობლიგაციები მიჰყიდა, წლევანდელი გაზაფხულის მიწურულს კი - "კომსტარის", "კომ-ტი-ვი"-სა და ორი რუსული რადიოსადგურის 58,6 მილიონ დოლარად ღირებული აქტივები.

ამავე დროს, მან "საქართველოს ტელეკომის" 30-პროცენტიანი წილის გაყიდვა სცადა და, სხვა კომპანიებთან ერთად, ამ თემაზე მოლაპარაკებები რუსულ "როსტელკომთან" გამართა. გარიგება საქართველოს მხრიდან პოლიტიკურმა აქტიურობამ ჩაშალა. "მეტრომედიას" კი კრედიტორთა 160 მილიონ დოლარიანი ვალი დარჩა, რომლის წლიური საპროცენტო გადასახადი 16 მილიონი დოლარია, კრედიტის დაფარვის ბოლო ვადა კი 2007 წლის დასაწყისში იწურება.

"მეტრომედიას" აქტივების კლიენტურა, ძირითადად, რუსული სატელეკომუნიკაციო კომპანიებია, რომლებმაც ამ ბოლო დროს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ბაზარზე საკმაოდ ღრმა ფესვები გაიდგეს. რუსული საინფორმაციო წყაროების ინფორმაციით, "მეტრომედიას" უკანასკნელი აქტივებიც, შესაძლოა, ლუქსემბურგში დარეგისტრირებულმა ოფშორულმა კომპანია First National Holding SA-მ შეიძინოს, რომელიც რუსული ჰოლდინგის "ტელეკომინვესტის" აქციათა 85 პროცენტის მფლობელია (თავად "ტელეკომინვესტი" 16 რუსული კომპანიის, მათ შორის, რუსეთის სატელეკომუნიკაციო გიგანტის "მეგაფონის" 31,3 პროცენტისა და "პეტერსტარის" 29 პროცენტის პირდაპირი მფლობელია).

"ვედომოსტის" ცნობით, 1996 წელს First National Holding SA მთლიანად გერმანულ "კომერცბანკს" ეკუთვნოდა, თუმცა, შემდეგ "რაღაც მოხდა" და, მოგვიანებით, გერმანულმა ბანკმა იურისტებს უხმო, რათა როგორმე First National Holding SA-ს "კომერცბანკის" სახელი კომპანიის პარტნიორთა ნუსხიდანაც კი გაექრო.

"ფაინენშალ თაიმსმა" ამოქექა, რომ "კომერცბანკმა" 2001 წელს კომპანიის აქციები გაყიდა, რის შედეგადაც ეს ისინი ბერმუდის კუნძულებზე რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდის ComTel Eastern Ltd-ს საკუთრებაში აღმოჩნდა. რუსული წყაროების ცნობით, ამ ფონდის უკან დასავლელი კერძო ბიზნესმენები დგანან, კერძოდ კი, IPOC International Growth Fund Ltd, რომლის აქტივებსაც ბერმუდის კუნძულებზე რეგისტრირებული ფონდი IPOC Capital Partners მართავს.

## სოფლის მეურნეობის სამინისტრო კაკლის წარმოების პროექტს ახორციელებს

სოფლის მეურნეობის სამინისტროში კაკლოვანი კულტურების განვითარების სტრატეგია მუშავდება.

ამ სტრატეგიის განხორციელების მყარი საფუძველი უკვე არსებობს: როგორც ცნობილია, ხარისხიანი კაკლისა და თხილის პროდუქციის წარმოების ხელშესაწყობად გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO), სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, კაკლისა და თხილის სანერგე მეურნეობის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება 2003 წლის აგვისტოდან დაიწყო.

**"ჩვენს ქვეყანაში კაკლოვანი კულტურების (კაკალი და თხილი) მოყვანისა და სარგავი მასალის მიღების დღემდე არსებული პრაქტიკა სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს. კაკლოვან კულტურებზე, კულინარიის გარდა, ფართო მოთხოვნაა საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ, აუცილებელია სანერგე მეურნეობების შექმნა, რომლებიც აგრარული ტექნოლოგიების გამოყენებით კონკურენტუნარიან სარგავ მასალას აწარმოებენ",** - აცხადებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მამუკა გაჩეჩილაძე.

კაკლისა და თხილის სანერგე მეურნეობების რეაბილიტაცია შემდეგ ობიექტებზე მიმდინარეობს: კასპის ფერმერთა ასოციაცია შპს "ნერგებისა" და ყვარლის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის - "წაბლების" ტერიტორიაზე მოეწყო კაკლისა და თხილის სანერგეები და სადემონსტრაციო ბაღები, გორის სასელექციო სადგურის ტერიტორიაზე კი - კაკლისა და თხილის ჯიშების კოლექცია. ეს სანერგეები და ბაღები კაკალისა და თხილის მსოფლიოში გამოცდილი სამრეწველო ჯიშებით გაშენდა. სანერგეების განვითარება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ქვეყანაში არ არსებობს ნამყენი კაკლის წარმოება, რადგან კაკალი საკმაოდ რთულად მრავლდება. პროექტით ასევე გათვალისწინებულია გამრავლების ახალი ტექნოლოგიის მეთოდი, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის სრულიად ახალია. ტექნოლოგიის დასანერგად შემოტანილი და გამოცდილია 6 აპარატი, რომლის გამოყენებით კაკლის ნერგის პროდუქტიულობამ 75-90%-ს მიაღწია.

პროექტის ფარგლებში მოხდება თხილისა და კაკლის მაღალმოსავლიანი სადემონსტაციო ბაღების გაშენება. კაკალოვანი კულტურების მწარმოებლებს საშუალება ექნებათ ამ ბაღებში სიახლეებს გაეცნონ. პროექტის მნიშვნელოვანი კომპონენტია სემინარებისა და სასწავლო კურსების მოწყობა.

*24 საათი*

## პროგრამირების ორი გიგანტი 8.8 მილიარდად ერთიანდება

თორნიკე შარაშენიძე

ამერიკული ბიზნესის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გარიგება მზადდება. მონაცემთა ბაზებისა და პროგრამირების გიგანტი "ორეკლი" მზადაა 8,8 მილიარდი დოლარი გადაიხადოს თავისი უპირველესი კონკურენტის, "ფიფლსოფტის" სანაცვლოდ. ეს ე.წ. მტრული შესყიდვის მცდელობაა. ანუ, "ფიფლსოფტის" ხელმძღვანელობა გარიგების წინააღმდეგია, მაგრამ "ორეკლი" აპირებს "ფიფლსოფტის" აქციონერებს მიმართოს და მათი თანხმობით შეისყიდოს ეს კომპანია.

პირველად "ფიფლსოფტის" შესყიდვის სურვილი "ორეკლმა" 17 თვის წინ გამოთქვა, მაგრამ მაშინვე უარი მიიღო. საქმე გაართულა იმანაც, რომ აშშ-ის მთავრობა გარიგების წინააღმდეგი წავიდა (ანტიმონოპოლიური მოსაზრებებიდან გამომდინარე). მაგრამ "ორეკლს" ფარხმალი არ დაუყრია. რამდენიმე ხანში აშს-ის ფედერალურმა მთავრობის ზემოთაღნიშნული დადგენილება გააუქმა და გარიგებას მწვანე შუქი აუნთო. ამის შემდეგ "ორეკლმა" "ფიფლსოფტს" 7.7 მილიარდი შესთავაზა. მალე გარიგებას მწვანე შუქი აუნთო ევროპამაც და "ორეკლმა" უკვე 8,8 მილიარდამდე აიყვანა მაზანდა. ეს უკვე რიგით მეხუთე შეთავაზება იყო.

"ორეკლის" მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი ლარი ელისონი აცხადებს, რომ ეს შეთავაზება საბოლოოა და რომ "ფიფლსოფტის" აქციონერებს 19 ნოემბრამდე აქვთ ვადა, რათა გადაწყვიტონ გარიგების ბედი. "ორეკლი" თითო აქციაში 24 დოლარს იხდის. ეს მართლაც კარგი წინადადებაა იმის გათვალისწინებით, რომ ახლა ეს აქციები ბირჟაზე 22 დოლარი ღირს. ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც "ორეკლის" ბოლო განცხადების წყალობით "ფიფლსოფტის" აქციები 10 პროცენტით გაძვირდა.

"ფიფლსოფტის" ხელმძღვანელობა აქციონერებს ურჩევს, არ იჩქარონ გადაწყვეტილების მიღება. "ფიფლსოფტის" თავკაცები ყველანაირად ცდილობენ თავიდან აიცილონ გარიგება. მოყოლებული 2003 წლის ივნისიდან ანუ, როცა "ორეკლმა" შესყიდვის სურვილი გამოთქვა "ფიფლსოფტი" ყველანაირად ცდილობს, გამოძებნოს სამართლებრივი მექანიზი, რომელიც მტრულ შესყიდვას გამორიცხავს. მაგალითად, "ფიფლსოფტმა" განაცხადა, რომ ნებისმიერ მყიდველს აქციაში მის საბაზრო ფასზე ხუთჯერ მეტის გადახდა მოუწევს. ცხადია, "ორეკლმა" ამას უკანონობა უწოდა და მხარეებს შორის ცხარე სამართლებრივი დავა გაიმართა. ახლა ამ საქმესაც სასამართლო განიხილავს და დადგენილება თვის ბოლოს იქნება მიღებული. სავარაუდოა, რომ მართლმსაჯულება "ორეკლის" მხარეს დაიჭერს და, წესით, გარიგებას ვერაფერმა უნდა შეუშალოს ხელი.

ორი სიტყვით

**თბილისი.** ენერგეტიკის სამინისტროს ბოლო წლებში საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის გამო მეზობელი ქვეყნების ენერგომევალეების დადგენა უჭირს. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, ენერგეტიკის დარგის ყოფილი მესვეურების მიერ დანერგილი მანკიერი პრაქტიკის გამო, მეზობელი ქვეყნებიდან ელექტროენერგიის იმპორტი იურიდიული დოკუმენტების გაფორმების გარეშე ხდებოდა, რის გამოც ამჟამად იმპორტირებული ელექტროენერგიის მომხმარებელი იურიდიული პირების დადგენა ძნელდება. **"ხშირად ელექტროენერგიის იმპორტის დაწყება კონტრაქტის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გარეშე, სატელეფონო ზარით ხდებოდა. ამჟამად კი რთული დასადგენია, რომელმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ მოიხმარა იმპორტირებული ელექტროენერგია და შესაბამისად, ვის ეკუთვნის ვალის გადახდა,"** - განაცხადა მინისტრმა, რომელიც იმედოვნებს, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე ენერგოვალების ადრესატები დადგინდება და ქვეყანა მათ მომავალი წლის ზაფხულიდან, ჭარბი ენერგორესურსების არსებობის დროს, ელექტროენერგიით გადაიხდის. მაგალითისთვის: აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს 32 მლნ კილოვატსაათის ენერგოვალი დაუგროვდა, რაც ფულად გამოსახულებაში დაახლოებით 2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქოში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის წინასწარ შეთანხმებული ტექნიკური დოკუმენტაცია გაფორმდა, რომლებიც 170 მილიონი აშშ დოლარის კრედიტის გამოყოფას ითვალისწინებს. კრედიტის შესახებ საბოლოო ხელშეკრულებას დეკემბერში, ლონდონში მოეწერება ხელი. ამ თანხიდან 110 მილიონი მიმართული იქნება იმ 10-პროცენტიანი წილის დასაფინანსებლად, რომელიც აზერბაიჯანის ნავთობკომპანიას აირკონდენსატის საბადო "შაჰდენიზში" აქვს. 60 მილიონი კი სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობას მოხმარდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში მოქმედმა რვა კომერციულმა ბანკმა მიმდინარე წლის 9 თვე ზარალით დაასრულა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების ფინანსური მონაცემების ანგარიში გამოაქვეყნა, რომლითაც ირკვევა, რომ "ქართუმ" 297 ათასი ლარით იზარალა, "ემპორიკი ბანკი-საქართველომ" 34 ათასი ლარით, "ბანკმა აბრეშუმის გზამ" 588 ათასი ლარით, "გამაბანკმა" 634 ათასი ლარით, "საქართველოს აგრობიზნესბანკმა" 712 ათასი ლარით, "შუგრეფიმპექსბანკმა" 26 ათასი ლარით, "ინვესტბანკმა" 685 ათასი ლარით და "საქართველოს საფოსტო ბანკმა" 7 292 000 ლარით. როგორც "ქართუში" განაცხადეს, მართალია, 9 თვის მაჩვენებლები უარყოფითია, მაგრამ 10 თვის მონაცემებით, "ქართუს" მოგება აქვს. ბანკში ზარალის მიზეზად აქტივების რესტრუქტურიზაციას ასახელებენ. **ინტერ-პრესი**


## თიბისი ბანკი ჟურნალმა "Global Finance" საუკეთესო ბანკების რეიტინგში დაასახელა
## უმსხვილესი ქართული ბანკის მორიგი საერთაშორისო აღიარება




***თიბისი ბანკმა კიდევ ერთ საერთაშორისო აღიარებას მიაღწია - ამერიკულმა ჟურნალმა "Global Finance" სავალუტო გაცვლითი ოპერაციების წარმოებაში მსოფლიოს საუკეთესო ბანკებს შორის საქართველოდან თიბისი ბანკი დაასახელა. დაჯილდოების ცერემონიალი მომავალ წელს ვაშინგტონში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეხვედრაზე გაიმართება.***

"Global Finance"-ის 2004 წლის რეიტინგში თიბისი ბანკი მოხვდა ისეთ ცნობილ უცხოურ ინსტიტუტებთან ერთად, როგორებიცაა ეიჩ-ეს-ბი-სი (HSBC), "დოიჩე ბანკი" (Deutsche Bank), "ბი-ენ-პი პარიბა" (BNP Paribas), "ჯეი პი მორგანი" (JP Morgan), "სითი გრუპი" (Citigroup), "ბანკ ავსტრია კრედიტანსტალტ" (Bank Austria Creditanstalt) და სხვები.

სავალუტო გაცვლითი ოპერაციების დღიური მოცულობა მსოფლიოში 2 ტრილიონ აშშ დოლარს აღწევს - სავალუტო ტრანზაქციების ბაზარი პრაქტიკულად ყველაზე დიდი ფინანსური ბაზარია მსოფლიოში. ჟურნალი "Global Finance" ყოველწლიურად შეისწავლის და გამოავლენს ამ ბაზარზე მოქმედ საუკეთესო ბანკებს ქვეყნების მიხედვით და რეგიონული მასშტაბით. საქართველო ამ კვლევის არეალში პირველად 2004 წელს მოხვდა, ხოლო თიბისი ბანკი მსოფლიოს 61 ქვეყნის საუკეთესო ბანკების რიგში დასახელდა.

დღეისათვის თიბისი ბანკი კვლავ რჩება საქართველოში ყველაზე მსხვილ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკად, რომლის აქტივები, 2004 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, 351 მილიონ ლარს აჭარბებს, დეპოზიტები - 265 მილიონ ლარს, ხოლო საკრედიტო პორტფელი - 200 მილიონ ლარს აღემატება.

"Global Finance"-ის ექსპერტებმა 2004 წელს სავალუტო გაცვლითი ოპერაციების მწარმოებელი ბანკები მსოფლიოს 70 ქვეყნიდან შეისწავლეს. წინა წლებთან შედარებით, 2004 წელს კონკურსს 24 ახალი ქვეყანა დაემატა, ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან. კონკურსის შედეგად მოხდა 61 ქვეყნის საუკეთესო ბანკის გამოვლენა, მათ შორის - საქართველოდან, სადაც სავალუტო გაცვლითი ოპერაციების წარმოებაში საუკეთესოდ საერთაშორისო ექსპერტებმა თიბისი ბანკი მიიჩნიეს.

საუკეთესო ბანკების შერჩევისა და გამოვლენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სავალუტო გაცვლითი ოპერაციების ელექტრონული საშუალებებით წარმოების ხარისხს. მნიშვნელოვანი კრიტერიუმები იყო სავალუტო ტრანზაქციების მოცულობის მაჩვენებელი, წილი ბაზარზე, ტრანზაქციების განხორციელების არეალის ფარგლები, კლიენტების მომსახურება, ფასების კონკურენტულობა და ტექნოლოგიების ინოვაციურობა.

"Global Finance"-ის მიერ 2004 წელს დასახელებული 61 ბანკიდან ცხრა ბანკს რეგიონის საუკეთესო ბანკების სტატუსიც მიენიჭა. პოსტსაბჭოთა სივრციდან, თიბისი ბანკის გარდა, საუკეთესოთა შორის მოხვდნენ ალფა ბანკი (რუსეთი), პრივატბანკი (უკარინა), ყაზკომერცბანკი (ყაზახეთი), ჰანსაბანკი (ესტონეთი), ვილნიუს ბანკი (ლიტვა) და პარექს ბანკი (ლატვია).

*სს "თიბისი ბანკი"*

# ახალი მსოფლიო, ნაკლები წესრიგი

მიხაილ გორბაჩოვი
"გორბაჩოვის ფონდის" პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტი

*1989 წლის ნოემბერში ბერლინის კედლის დანგრევა მსოფლიოსთვის ახალი ერის დასაწყისის მაცნე იყო. ალბათ, საინტერესო იქნება თხუთმეტი წლის შემდეგ ამ მოვლენის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი ხელმძღვანელის მიხაილ გორბაჩოვის შეხედულებები. გთავაზობთ თავად გორბაჩოვის მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა შეიცვალა ამ წლების მანძილზე და რა საფრთხის წინაშე დგას დღევანდელი მსოფლიო. წერილი მოგვაწოდა პროექტმა "სინდიკატი" (Project "Syndicate").*



*მიხაილ გორბაჩოვი: ჩვენ ახალი მსოფლიო წესრიგი გვჭირდება.*

15 წლის წინანდელი რევოლუციური ძვრების გახსენებისას, რომელმაც ევროპა და მთლიანად მსოფლიო შეძრა, არ შეიძლება არ გაგახაროს უკვე მიღწეულმა - თავისუფლება, დემოკრატია და ევროპის 40 წლიანი გახლეჩის დასრულება. მაგრამ, ამავდროულად, ისიც გახსენდება, ცივი ომის მშვიდობიანი დასრულების შემდეგ რა კოლოსალური შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ.

ცხადია, ცივის ომის დამთავრება საბჭოთა კავშირში მომხდარი რევოლუციური პროცესების შედეგი იყო. მაგრამ ჩემ მიერ 1980-იან წლებში დაწყებული გარდაქმნისა და საჯაროობის პროდემოკრატიული პოლიტიკა ჰაერიდან არ მოსულა. მას თავისი საფუძველი ჰქონდა, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში და უფრო მოგვიანებით, ალექსეი კოსიგინის მიერ გატარებულმა რეფორმებმა მოამზადა.

დღეს ბევრი თვლის, რომ სოციალისტური სისტემის "გაახლებისა" და ხალხისათვის ამუშავების მცდელობები წინასწარვე იყო წარუმატებლობისთვის განწირული. მაგრამ, სინამდვილეში, ეს ადრეული რეფორმები გაცილებით რთულად დასაწყები იყო, ვიდრე 1980-90-იან წლებში ჩემს მიერ წამოწყებული. ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ჩვენ დემოკრატიული ატმოსფეროს "გამოზრდას" ვცდილობდით, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ქვეყანაში ყოვლისმომცველი შიში აღარ არსებობდა.

ჩვენ ასევე ვცდილობდით გამალებული შეიარაღებისა და აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის არსებული კონფლიქტების დარეგულირებას. მაგრამ ევროპის შუაგულში აღმართული ბერლინის კედელი კვლავინდებურად დანაწევრების სიმბოლოდ აღიქმებოდა. 1989 წელს კანცლერ ჰელმუტ კოლთან ამ საკითხის განხილვისას, იმ დასკვნამდე მივედით, რომ გერმანიის გაერთიანების დრო ჯერ არ იყო დამდგარი. ჩვენ შევთანხმდით, რომ კედლის დემონტაჟი 21-ე საუკუნის მოვლენა იქნებოდა.

თუმცა, ბუნებრივია, გერმანელმა ხალხმა სხვაგვარად გადაწყვიტა - თავად გახდა საკუთარი ისტორიის შემოქმედი. სულ მალე, გერმანიის კვლადაკვალ, თავისუფლების გზას დაადგნენ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებიც.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის როლის ჩემეულმა ხედვამ არ მომცა უფლება, ჩავრეულიყავი. მე ვთვლიდი, რომ ჩემს ქვეყანაში დემოკრატიის ქადაგების ფონზე, არ შემეძლო ჩემი ნება სხვა ხალხებისთვის მეკარნახა. მართლაცდა, საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალური მდივნის რანგში, ჩემი წინამორბედის, ალექსანდრ ჩერნენკოს დასაფლევებაზე ჩემი პირველივე გამოჩენისთანავე, მე ვთქვი, რომ ყველა ქვეყანამ თავადვე უნდა ზიდოს საკუთარ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობის ტვირთი.

ასე რომ, ბერლინის კედლის დაცემა ხუთი წლის შემდეგ ჩემი ასეთი მიდგომის შედეგი იყო (თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქაც, ჩემი იდეები და პოლიტიკა სიახლე სულაც არ იყო: 1955 წელს ხრუშჩოვი, მართალია, სულ სხვა კონტექსტში, მაგრამ მაინც, უკვე ლაპარაკობდა გერმანიის გაერთიანების შესახებ). ჩემი ამოცანა, ჩემი თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის მხრიდან მინიმალური ჩარევის პირობებში, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის სუვერენიტეტის სრული აღდგენა იყო. მთელი მსოფლიოს გასაკვირად და სასიხარულოდ, გარდაქმნები პრაქტიკულად ყველგან მშვიდობიანად ჩატარდა.

მაგრამ, ცივი ომი დასრულებამ, რომლის შემდეგაც ტერორიზმის, გაურკვევლობის, არასაიმედობის და მდიდრებსა და ღარიბებს შორის სხვაობის ზრდა მოხდა, გახადა თუ არა მსოფლიო უფრო უსაფრთხო? ამ კითხვაზე პასუხად მინდა მკითხველს შევახსენო ცივი ომის დროინდელი საშინელებები. ბირთვული არმაგედონის საფრთხე სრულიად რეალური იყო, ხოლო ის სამი ტრილიონი დოლარი, რომელიც გამალებულ შეიარაღებაზე დაიხარჯა, შეგვეძლო, ღარიბის ქვეყნების დახმარებაზე მიგვემართა.

მეორე მხრივ, ცივი ომის დასრულების შემდეგ უფრო უსაფრთხო მსოფლიოს შექმნის შანსი გავუშვით. 1980-იან წლებში, როდესაც ბოლო მოეღო კომუნიზმსა და კაპიტალიზმს შორის დაპირისპირებას, გაჩნდა "ახალი მსოფლიო წესრიგის" დამყარების შესაძლებლობა. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამ ახალი წესრიგის დამყარებაზე შეთანხმების მიღწევა გამორიცხა. შედეგად, გლობალიზაციის ტალღამ მთელ მსოფლიოს სრულიად უკონტროლოდ გადაუარა, ასე რომ, არ მოგვეცა საშუალება, რეალობად გვექცია უკეთესი სამყაროს შექმნის იდეები.

ცხადია, საბჭოთა კავშირის დაშლაზე ჩვენ - რუსებს გვეკისრება პასუხისმგებლობა, მაგრამ ამერიკასაც მიუძღვის წვლილი. როცა გარდაქმნების დრო დადგა, ხანგრძლივი დემოკრატიული პროცესის ნაცვლად, რუსეთმა ერთ ღამეში გადააგდო დიდი ხნის წინ დისკრედიტებული კომუნისტური მოდელი და როგორც შემდეგ გამოჩნდა, მისთვის ასევე უსარგებლო ჰარვარდის თეორეტიკოსების მიერ შემუშავებული სცენარი აირჩია. საბოლოო ჯამში კი გამოჩნდა, რომ ამ გეგმამ ქვეყანა კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააგდო.

ეს არ იყო აშშ-ს შეთქმულების შედეგი, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლა ამერიკას აძლევდა ხელს. აშშ-მ თავი გამარჯვებულად წარმოიდგინა, და ჩათვალა, რომ ეს სტატუსი მას საკუთარი წესების დამკვიდრების უფლებას აძლევდა. ერაყის ომი ამის ნათელი დადასტურებაა: ახალი ამერიკული იმპერია თავის უფლებებზე აკეთებს განაცხადს. დღეს ცივ ომში გამარჯვებულები, მოელიან, რომ სხვა ქვეყნები თვალს დახუჭავენ მათ თვითკმაყოფილებაზე.

სამწუხაროდ, აზროვნების ასეთი ძველებური სტილი კიდევ უფრო მეტ კრიზისებს წარმოშობს, ვიდრე მათი მოგვარების საშუალებებს. გლობალიზებულ მსოფლიოში, რომლის ხასიათსაც სულ უფრო და უფრო საერთო საზრუნავები და საფრთხეები განაპირობებს, ვიდრე ცალკეული ქვეყნების ეროვნული ინტერესები, ფაქტობრივად ცალმხრივ პოლიტიკას წარმატება ვერ ექნება.

ასე რომ, ბერლინის კედლის დანგრევიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, კიდევ უფრო საჭიროა ახლებური აზროვნება, ვიდრე ოდესმე. ჩვენ ახალი მსოფლიო წესრიგი გვჭირდება, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება; გლობალური სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლაში დაგვეხმარება. აშკარაა, მარტო საჰაერო დარტყმები და სპეცოპერაციები დიდ უსაფრთხოებას ვერ მოგვანიჭებს. რადგანაც მთავარი სიღარიბესთან ბრძოლაა, რომელიც წარმოშობს ტერორიზმს.

ეს ძალიან რთული ამოცანაა. ისევე, როგორც 1989 წელს, ჩვენ ისევ ვდგავართ გარდაქმნებისა და პასუხისმგებლობით სავსე მართვის უკიდურესი აუცილებლობის წინაშე.

*პროექტი "სინდიკატი".*
*2004 წლის ნოემბერი*

# სერგეი კორტუნოვი: "ეს იქნება შედარებით მშვიდი ბუში"



*"საქართველო აშშ-ს მთავარი პრიორიტეტი უკვე აღარ არის, შესაბამისად, ამ რესპუბლიკისადმი დამოკიდებულება არ იქნება აშშ-ს მთავარი სტრატეგიული ამოცანა."*

*მოსკოველი პოლიტოლოგები აშშ პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გაანალიზებას აგრძელებენ. მათთვის ამერიკაში ჩატარებული არჩევნები იმითაცაა საინტერესო, თუ როგორ პოლიტიკას გაატარებს ბუშის ადმინისტრაცია რუსეთის მიმართ, ხომ არ შეიცვლება პრიორიტეტები და რა საკითხებზე გამახვილდება აქცენტები? "24 საათს" ამ თემაზე რუსეთის ფედერაციათა საბჭოს ექსპერტთა საბჭოს უფროსი, პოლიტოლოგი სერგეი კორტუნოვი ესაუბრა.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

**- რა მოიგო რუსეთმა და რა წააგო ბუშის ხელმეორედ გაპრეზიდენტებით?**

- მოიგო ორივე მხარემ, რადგანაც ბუში-პუტინის მეგობრობა კიდევ მეტად გაღრმავდება მხოლოდ ერთ სფეროში: მსოფლიოს წინაშე მდგომი გლობალური საშიშროებების წინ. ამიტომ იყო, რომ კრემლმა გამარჯვება წინასწარ მიულოცა ბუშს. ფაქტია, რომ აშშ-ს არჩევნების შედეგი პირდაპირ კავშირში იყო ზოგადად ამერიკელი ხალხის ნაციონალური უშიშროების საკითხთან. იგივე პროცესია რუსეთშიც - ხალხი დაუცველია საფრთხის წინაშე. ერაყის ომში ჩაფლული ამერიკა ისევ ბუშს იმიტომ ირჩევს, რომ ამერიკაში სწორედ ამ ომის წყალობით ყალიბდება დიდი ნაციონალური იდეა. ეს კი ერის კონსოლიდაციას ნიშნავს. მოიგო რუსეთმა, რადგანაც აქტიური თანამშრომლობა გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კრემლსაც სჭირდება. პრინციპში კი, ამერიკას რუსეთთან მხოლოდ ერთი შეხების წერტილი დარჩება, დანარჩენ საკითხებში შენარჩუნებული იქნება "ცივი ომის" ტალღა.

**- მაგრამ იგივე ერის უდიდესი ნაწილი ბუშის პოლიტიკას სხვადასხვა ეპითეტებით ამკობს. ამას რითი ახსნით?**

- ხალხის რეაქცია გასაგებია, ომისადმი მასის დამოკიდებულება არ შეიძლება იყოს დადებითი, თანაც ერთგვაროვანი. მაგრამ სხვანაირად საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის იდეით ერის გამთლიანება არ შეიძლება.

**- როგორი ურთიერთობა დამყარდება არჩევნების შემდეგ პერიოდში მოსკოვ-ვაშინგტონს შორის?**

- უფრო მჭიდრო და გულახდილი. მეორე ვადაში ბუში უფრო წყნარი და პროგნოზირებადი იქნება. ბუშის გამარჯვებაში არაფერი მოულოდნელი არ ყოფილა. ამიტომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის რაიმე კარდინალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. სამაგიეროდ, გაიზრდება აშშ-ს ამბიციები ტერორიზმის საფრთხის წინაშე ერთობლივი ოპერაციების გატარებაში. ბუშს, ამ მხრივ, ხელ-ფეხი კიდევ უფრო გაეხსნება. უფრო შემტევად იმოქმედებს, პარტნიორებს შემხვედრ ნაბიჯებს მოსთხოვს. მოსკოვ-ვაშინგტონს შორის კავშირებს კარგი სათავე მისცა პუტინის გამოკვეთილმა პოზიციამ. ამან, ბუნებრივია, აშშ არჩევნების შედეგზე გავლენა არ იქონია, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აშშ-ს პოლიტიკა რუსეთისადმი უფრო კორექტირებული გახდება.

**- ეს კარგია თუ ცუდი რუსეთისათვის?**

- კარგია პარტნიორობის თვალსაზრისით, ცუდი - ეკონომიკური ასპექტით, რამდენადაც ენერგომატარებლებზე ფასის აწევა, აშშ-ს ეკონომიკის მომძლავრება პირდაპირ კავშირშია ერაყში რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებთან. ამ მხრივ, რუსეთს აშშ კიდევ მეტად დასჭირდება. არ არის გამორიცხული, აშშ-მ მთელ რიგ სტრატეგიულ საკითხებში, მაგალითად, პოსტსაბჭოთა სივრცეზე პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირებაში რუსეთს ანგარიში მოსთხოვოს.

**- საინტერესოა, როგორ იქნება უკრაინასა და საქართველოს მიმართ აშშ კორექტირებული პოზიციები?**

- საქართველო აშშ-ს მთავარი პრიორიტეტი უკვე აღარ არის, შესაბამისად, ამ რესპუბლიკისადმი დამოკიდებულება არ იქნება აშშ-ს მთავარი სტრატეგიული ამოცანა. რაც შეეხება უკრაინას, იქ არჩევნების მეორე ტურის შედეგი ტონის მიმცემი იქნება აშშ-რუსეთის ურთიერთობებისათვის. უკვე ცხადია, რომ სააკაშვილის ვარდების რევოლუციის მოდელი იქ ვერ გათამაშდება, რადგანაც რუსეთი აკონტროლებს პროცესს. საქართველოში მას ამის ფუფუნება არ ჰქონდა, თუმცა, გამორიცხული არაფერია. საერთოდ კი, ბუშის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისადმი ნატო-ს სამხედრო ბაზების განლაგების თემით იქნება წარმოდგენილი. აი, როცა ხარკოვში ნატო-ს ბაზა გვექნება, მაშინ მივხვდებით, რა მოიგო და რა წააგო რუსეთმა.

# ეუთო-ს შემაჯამებელი კონფერენციის მიმოხილვა: რუსეთ-საქართველოს საკითხები

პირველი გვერდიდან

1999 წელს დაკისრებული ვალდებულებების გახმოვანება ეუთო-მ უკანასკნელად ორი წლის წინ პორტოში მოახერხა, როდესაც განიხილებოდა პორტოს 2002 წლის განცხადება: "მოწინააღმდეგე მხარეების მხრიდან მოლაპარაკებათა დასრულების სურვილის მხარდაჭერა". ამ ფორმულირებამ დამალა ფაქტი, რომ 1999 წლის ვალდებულებები ამ მოლაპარაკებების 2000 წელს დასრულებას აიძულებდა. ეუთო-ს 2002 წლის განცხადებაში არ განისაზღვრა უკანასკნელი ვადა, არ დაფიქსირდა პოზიცია მიმდინარე დარღვევებთან დაკავშირებით და იმის სურვილით, რომ რუსეთი საკუთარ სამხედრო ძალებს საქართველოდან გაიყვანდა, უმიზეზოდ მიენდო მას.

მაასტრიხტის 2003 წლის შემაჯამებელ კონფერენციას არანაირი განცხადება არ მიუღია.

ეუთო-ს 2004 წლის ბულგარელი ხელმძღვანელობა ითვალისწინებს რუსეთის შეთავაზებას, რომ სამხრეთ ოსეთის ლიდერი ედუარდ კოკოითი მიწვეულ იქნეს წლიურ შემაჯამებელ კონფერენციაზე. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლის იქ ყოფნა ხაზს გაუსვამს მოსკოვის მცდელობას, საერთაშორისოდ ცნობილი და აღიარებულ იქნეს მისი პოსტსაბჭოთა წარმონაქმნი, როგორიცაა მთლიანად დსთ და ინდივიდუალურად სეცესიური ექსკლავები. 2004 წელს ეუთო-ს თავმჯდომარემ, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სოლომონ პასიმ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგა, როდესაც გამოიყენა ფორმულირება "მოლდოვის ხელისუფლება და დნესტრისპირეთის ხელისუფლება" (როდესაც თანაბარ სტატუსს გულისხმობდა), როდესაც დსთ-ს 12 ქვეყანას მიმართა, როგორც ჯგუფს და როდესაც ეუთო-სა და დსთ-ს თანამშრომლობისკენ მოუწოდა (როდესაც დსთ-ს პოლიტიკურ აღიარებას გულისხმობდა).

წლიურ შემაჯამებელ კონფერენციაზე სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლის დასწრება ამ ეტაპზე შეუსრულებელი იდეაა. მოსკოვი დაკმაყოფილდება იმით, რომ აღნიშნული საკითხი წამოსწია და ამის შემდეგ მზარდ ნაბიჯებს გადადგამს, როგორიც, მაგალითად, მათ მიერ შეთავაზებული, გაერო-ს გენერალურ ასამბლეასა და ეუთო-ს ბულგარელ ხელმძღვანელობას შორის თანამშრომლობის შესახებ საერთო დოკუმენტია: იქ საქართველო და სამხრეთი ოსეთი განხილული არიან, როგორც "მხარეები", რომელთაც ურთიერთკონფლიქტი თავად უნდა მოაგვარონ. აღნიშნული ფორმულირება ასევე გულისხმობს თანაბარ სტატუსს, ამასთან, უარყოფითად მოქმედებს კონფლიქტის დარეგულირებისათვის მოლაპარაკებების ინტერნაციონალიზაციის შესახებ საქართველოს გეგმაზე.



*ეუთო-ს რუსეთის ნებართვის გარეშე აღარ შეუძლია საკუთარი მნიშვნელოვანი რეზოლუციების ციტირებაც კი და იგი აღარ მოუწოდებს ვალდებულებების შესრულებისაკენ იმ ქვეყნებში, რომლებიც მოსკოვს მიზანში ჰყავს ამოღებული.*

ბესო გულაშვილის ფოტო

მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველომ წამოაყენა წინადადება, რომ უმაღლესი დონის საერთაშორისო კონფერენცია, დასავლეთის მონაწილეობით, 2004 წლის ოქტომბერში მოწვეულიყო ბულგარეთში (როგორც ეუთო-ს წარმომადგენელ ქვეყანაში), რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზით დარეგულირების საკითხებზე ემსჯელათ; განსაკუთრებით კი განეხილათ სამხრეთ ოსეთის, როგორც საქართველოს ნაწილის სტატუსი. თუმცაღა, რუსეთმა ვეტო დაადო აღნიშნულ წინადადებას, იმის მტკიცებით, რომ ყველა საკითხის, მათ შორის პოლიტიკურის განხილვა უნდა მოხდეს რუსეთთან ერთად, შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში.

"ხუთმხრივ" შერეულ საკონტროლო კომისიაში შედიან საქართველო, სამხრეთ ოსეთი, რუსეთი, რუსეთის ჩრდილოეთი ოსეთი და ეუთო. ამგვარად, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, რუსეთის წარმომადგენლობის სიმრავლის, საქართველოს იზოლაციისა და დასავლეთის გამორიცხვის გარანტიით (აღნიშნული ფორმატი და რუსეთის ვეტო საკითხის ინტერნაციონალიზაციაზე, იდენტურია მოლდოვის ვითარებისა).

შემოთავაზებული საერთაშორისო კონფერენციის შემადგენელ ნაწილად ახლა ეუთო-ს ხელმძღვანელობა სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ საკითხებზე, მათ შორის ამ რეგიონის სტატუსზე მსჯელობას შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე განხილვას გვთავაზობს. აღნიშნული შეთავაზება ირეკლავს უკანასკნელ იმედებს, რომ ეუთო-ს წლიური შემაჯამებელი კონფერენცია გადარჩეს და ზედიზედ მესამე წელს სიძნელეებმა კი არ იარსებოს, არამედ რაიმე შედეგი აჩვენოს. აღნიშნული შეთავაზება საქართველოსთვის სამი მიზეზის გამო არის დამღუპველი: პირველი - ეს უფლებას მისცემს შერეულ საკონტროლო კომისიას, განიხილოს პოლიტიკური და სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, რუსეთის პოზიციისადმი თავდახრით; რადგან საქართველო ყოველთვის ამტკიცებდა, რომ შერეული საკონტროლო კომისია მხოლოდ და მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის მეთვალყურე ტექნიკური ორგანოა და რომ პოლიტიკური საკითხები განხილულ უნდა იქნეს, მართლაც, საერთაშორისო დონეზე; მეორეც - შერეული საკონტროლო კომისიის დონის ამაღლება მხოლოდ რუსეთის უპირატესობას განამტკიცებს, რადგან ამ ორგანოს სწორედ ის აკონტროლებს; და მესამე -პოლიტიკური მოლაპარაკების პროცესის შერეულ საკონტროლო კომისიაში გადატანა უფრო გაართულებს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას, რადგან რუსეთიც და სხვებიც ამას ზედმეტად ჩათვლიან და ზურგს შეაქცევენ აღნიშნულ წინადადებას.

ეუთო-ს "საზღვრის მონიტორინგის ოპერაცია" საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი იშვიათი წარმატებაა. ბევრი ქვეყნის შეუიარაღებული სამხედრო ოფიცრებით (მათ შორის რუსებით) დაკომპლექტებული საზღვრის მონიტორინგის სამსახური საქართველოს მხრიდან ამ საზღვრის ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთს აკვირდება. საზღვრის მონიტორინგის ჯგუფი საქართველოს იცავს რუსეთის ბრალდებებისგან, თითქოს ჩეჩენი და საერთაშორისო "ტერორისტები" საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებენ. მის მიერ ადგილზე კონტროლი ასეთ ბრალდებებს არარეალურს ხდის. მეტიც, საზღვრის მონიტორინგმა დაამოწმა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცეში შეჭრა, როგორც ამას ქართული მხარე ამტკიცებდა, რუსეთი კი მუდმივად უარყოფდა. სულ ახლახან მოსკოვი განმეორებით დაიმუქრა საზღვრის კონტროლის ოპერაციის გაგრძელებაზე ვეტოს დადებით და 31 დეკემბერს მისი დასრულებით. რუსეთის არგუმენტები ურთიერთსაწინააღმდეგოა: ამტკიცებენ, რომ "ტერორისტები" ამ საზღვარზე მოძრაობენ და ამავდროულად სურვილი აქვთ, რომ საზღვრის მონიტორინგი შეწყდეს. საზღვრის მონიტორინგის ოპერაციის გარეშე საქართველო რუსეთთან პირისპირ დარჩებოდა. ჩნდება საშიშროება, რომ საქართველო დაშინდეს და გაიზარდოს ეუთო-ს შეშფოთება წლიური შემაჯამებელი კონფერენციის მსვლელობისას. თუმცაღა, ნაკლებსავარაუდოა, რომ მოსკოვი რისკზე წავა, შეეწინააღმდეგება დასავლეთს და საზღვრის მონიტორინგის ოპერაციას ვეტოს დაადებს. გაცილებით მოსალოდნელია, რომ რუსეთი წლიურ შემაჯამებელ კონფერენციაზე საბოლოოდ ამ ოპერაციის გარკვეული პერიოდით გაგრძელებას დათანხმდება და ამის სანაცვლოდ სხვა საკითხებში დათმობას მოითხოვს.

## ორი სიტყვით

**ჩრდილოეთი კორეა.** როგორც კორეის გაზეთი "ხანკერე სიმნუნი" იუწყება, ფხენიანს არ შეუძლია, ამჟამად დაუბრუნდეს ექვსმხრივი მოლაპარაკებების მაგიდას, რომელიც კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული პრობლემის რეგულირებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოებას ითვალისწინებს. ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილის ხან სონ რელიას თქმით, "ექვსმხრივი ფორმატი მისასალმებელია", რადგან ჩრდილოეთი ჯერ არაა მზად ვაშინგტონთან პირდაპირი მოლაპარაკებებისთვის. ჩრდილოეთის ასეთი პოლიტიკა, დიპლომატის განსაზღვრებით, დაკავშირებულია ფხენიანის ეჭვებთან, შეცვლის თუ არა ჯორჯ ბუში ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში პოლიტიკას. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ერაყი.** ეროვნული არჩევნები ერაყში მომავალი წლის 27 იანვარს დაინიშნა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა იბრაჰიმ ალ ჯაფარიმ უცხოელ ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა. მისი თქმით, რეფერენდუმის ჩატარების ვადა ერაყის საარჩევნო კომისიის მიერ განისაზღვრა და როგორც მოსალოდნელია, ქვეყნის დროებითი მთავრობა მას ოფიციალურად უახლოეს მომავალში დაამტკიცებს. ერაყის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ღაზი ალ იავარიმ უკვე მოუწოდა თანამემამულეებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, არ მოაწყონ ბოიკოტი, რომლისკენაც მათ სუნიტური ერთობის ზოგიერთი ლიდერი უბიძგებს. **24 საათი**

■ ■ ■

**ბრაზილია.** ჰაიტიზე რიოს ჯგუფის ორდღიან სამიტზე ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიდერები სიღატაკესთან ბრძოლის პრობლემებს, ერთობლივ საინვესტიციო პროექტებსა და ჰაიტიზე შექმნილ ვითარებას განიხილავდნენ. შეხვედრაში ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის 19-დან 12 სახელმწიფოს ლიდერი მონაწილეობდა. რიოს ჯგუფი 1986 წელს შეიქმნა რეგიონში დემოკრატიის გამყარებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით. იგი წარმოადგენს მუდმივმოქმედი პოლიტიკური კონსულტაციების მექანიზმს. შეხვედრა 5 ნოემბერს დეკლარაციაზე ხელის მოწერით დასრულდა. **24 საათი**

## რეპროდუქციული ჯანმრთელობისათვის

*4 ნოემბერს ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტში მასმედიის წარმომადგენელთათვის სემინარი მოეწყო თემაზე - "რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრიორიტეტები და პრობლემები საქართველოში". სემინარი გაეროს მოსახლეობის ფონდის პროექტის - "მხარდაჭერა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამსახურებისა და ინფორმაციის გაუმჯობესებისათვის" - ფარგლებში ჩატარდა. სემინარზე ისაუბრეს საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის აქტუალურ პრობლემებზე, ქვეყანაში არსებულ მწვავე დემოგრაფიულ სიტუაციაზე, აივ/შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები სხვა ინფექციების სტატისტიკის შესახებ.*

ნანა ჯაველაშვილი

ინსტიტუტის ხელმძღვანელის პროფესორ არჩილ ხომასურიძის თქმით, საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში უამრავი პრობლემაა. საგრძნობლად მოიკოჭლებს პირადი ჰიგიენის დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ საქართველოში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაა დაავადებული. მოქალაქეები სქესობრივი ცხოვრების შესახებ ელემენტარული განათლების დეფიციტს განიცდიან, განსაკუთრებით - ახალგაზრდები. მოსანერიგებელია პროსტიტუციისა და აბორტების ლეგალიზაციის საკითხი. სამაგიეროდ, საკმაოდ კარგი შედეგებია რეპროდუქციული საქმიანობის სფეროში. საქართველოში ხელოვნური განაყოფიერებით ყოველწლიურად ხუთასამდე ბავშვი იბადება, მათ შორის, 100 - ეგრეთ წოდებული "სინჯარის". სასიამოვნო სტატისტიკაა, მაგრამ დღეისათვის ქვეყანაში არსებულ მძიმე დემოგრაფიულ სიტუაციას, როცა ბუნებრივი შობადობა საგანგაშოდაა შემცირებული, ეს ხელოვნური ნამატი ნამდვილად ვერ უშველის.

ალმოჩნდა, რომ, დემოგრაფიული მონაცემებით, საქართველო "დაბერებული" ერების რიცხვს მიეკუთვნება, რადგან ასაკოვნები საკმაოდ სჭარბობენ ახალგაზრდებს. ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყნიდან 977 ათასი ადამიანი წასულა. მხოლოდ რუსეთში საქართველოს 198 ათასი მოქალაქე მუდმივად ცხოვრობს. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, საქართველოში ხუთი მილიონ ოთხასი ათასი მოქალაქე იყო, დღევანდელი მონაცემებით - ოთხი მილიონ ექვსას ერთი ათასია.

2004 წლის 4 ნოემბრის მონაცემებით, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში შიდსის ვირუსით ინფიცირების 609 შემთხვევაა რეგისტრირებული; მათ შორის, 499 მამაკაცია, 110 - ქალი. ინფიცირებულთა ასაკი, ძირითადად, 21-დან 40 წლამდეა. შიდსი განუვითარდა 190 პაციენტს. მათგან 111 გარდაიცვალა. შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის წარმომადგენელთა თქმით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ადგილობრივი ექსპერტთა ვარაუდით, დღეს საქართველოში რეალურად 2500-მდე აივ/ინფიცირებული და შიდსით დაავადებულია, მათგან 67,4 პროცენტი ნარკოტიკების ინტრავენური მომხმარებელია. აივ/ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისში (240) და სამეგრელოშია (98) დაფიქსირებული.

## აშშ-ს სამედიცინო ელიტა თსსუ-ში

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა ამერიკის საოჯახო მედიცინის აკადემიის სიმპოზიუმი. ეს არის უპრეცედენტო მოვლენა ქართულ საგანმანათლებლო და სამედიცინო საზოგადოებაში, როდესაც აშშ-ს ყველაზე ავტორიტეტული სამედიცინო ასოციაცია ატარებს ასეთ მნიშვნელოვან ფორუმს ჩვენს ქვეყანაში, ქართული უმაღლესი სამედიცინო სკოლის ბაზაზე. ეს არის ერთი პრაქტიკული შედეგი ა.წ. მაისში აშშ-ში ქართული დელეგაციის ვიზიტისა, რომელსაც თსსუ რექტორი, აკად. რამაზ ხეცურიანი ხელმძღვანელობდა.

აშშ სამედიცინო ელიტა თბილისში 40 ცნობილი პროფესორით და კლინიცისტით არის წარმოდგენილი; მათ შორის არიან - პროფესორი დევიდ მასსანარი (აშშ ოჯახის ექიმთა აკადემიის ფონდის დირექტორი), პროფესორი ჯეიმს მარტინი (ოჯახის ექიმთა აშშ აკადემიის საბჭოს თავ-რე), პროფესორი დანიელ ოსტერგაარდი (აშშ ოჯახის ექიმთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი), პროფესორი რენდი სმოუკი (მედიცინის მსოფლიო ასოციაციის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე), ამერიკის სამედიცინო ასოციაციის პრეზიდენტი და სხვები.

ოჯახის ექიმთა ინსტიტუტი აშშ-ს სამედიცინო მომსახურეობის პრიორიტეტია. აღნიშნულ სფეროში დიდი გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან და ქართულ სამედიცინო საზოგადოებასთან ამერიკული დელეგაციის ვიზიტის უმნიშვნელოვანესი მხარეა. თსსუ მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ბაზაზე, უკვე 1 კვირაა, მიმდინარეობს სწავლებები ამერიკელი ინსტრუქტორების ზედამხედველობით. ამერიკელი სტუმრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ამ შეხვედრების შემდეგ ქართველი სტუდენტების და სპეციალისტების კომპეტენციის მაღალი დონით, ხოლო თსსუ კლინიკური ჩვევების ლაბორატორიის ნახვის შემდეგ განაცხადეს, რომ ამგვარი სასწავლო ტექნოლოგიები თვით აშშ-ს უმაღლესი სკოლებისთვის უდიდესი იშვიათობაა.

*24 საათი*


## კონკურსი "სასტუმრო ბორჯომში"

**კონკურსის შინაარსი**

კონკურსი ცხადდება ქ. ბორჯომში, ყოფილი ბალნეოლოგიური ცენტრის ტერიტორიაზე, რომლის ფართი შეადგენს, დაახლოებით 4000 კვადრატულ მეტრს, სადაც უნდა აშენდეს შესაბამისი მასშტაბის ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო სასურველია გათვალისწინებულ იქნას ტრადიციული ბალნეოლოგიური ფუნქციაც.

**კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია დამკვეთმა ესკიზური პროექტის დონეზე მიიღოს იდეურად გამართული მასალა, რომლის გეგმარებით-მოცულობითი მხარე სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი. მასალას თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი.

**კონკურსის პირობები**

კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი მასალის მოცულობა არ არის შეზღუდული და დამოკიდებულია ავტორისეულ შეხედულებებზე. წარმოდგენილ მასალას თან უნდა ახლდეს დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსებული იქნება ბარათი მონაწილის ან მონაწილეთა ჯგუფის ვინაობის, მისამართის და ტელეფონის ნომრების აღნიშვნით. აგრეთვე ბარათში მინიშნებული უნდა იყოს პრემიის მიღების შემთხვევისათვის მათ შორის პროცენტული განაწილების მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში პრემია განაწილდება თანაბრად. კონვერტის გარეკანზე მითითებული უნდა იყოს მონაწილის ექვსციფრიანი კოდი.

**კონკურსის პირობებს ერთვის:**

1. სიტუაციური გეგმა - მ. 1:1000
2. ტოპოგრაფიული გეგმა პირობითი წითელი ხაზებით - მ. 1:500
3. არსებული სიტუაციის ფოტო განშლა.
4. ქ. ბორჯომის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული განაშენიანების კოეფიციენტები.

პირობები გაიცემა 2004 წლის 20 ნოემბრამდე მისამართზე**: ძმები კაკაბაძეების ქ. N2, კინოს სახლი, მესამე სართული, "GENTO"-სერვისი.**

საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადა 2004 წლის 25 დეკემბერი, 20:00 საათი; **ქ. ბორჯომში, მისამართზე ნინოწმინდის ქუჩა 2, სასტუმრო "ბორჯომი".**

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2004 წლის 30 დეკემბერს, 18:00 საათზე იგივე მისამართზე.

**კონკურსში დაწესებულია ერთი პირველი პრემია 5000 ლარის ოდენობით**

**გამარჯვებული, ავტორის უფლებით, მონაწილეობას მიიღებს პროექტის შემდგომი დამუშავების პროცესში დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე.**

**კონკურსის ჟიური შედგება 7 წევრისაგან:**

4 არქიტექტორი,
დამკვეთი,
ქ. ბორჯომის საზოგადოებრიობის 2 წარმომადგენელი.

**ჟიურის შემადგენლობა ანონიმურია და გამოცხადდება კონკურსის შედეგებთან ერთად.**

**კონკურსი დახურულია და კონკურსანტების ვინაობა ჟიურისთვისა და საზოგადოებისათვის ერთდროულად გახდება ცნობილი გამარჯვებული პროექტის გამოცხადებისას.**

**წარმოდგენილი მასალა დაუბრუნდება კონკურსის მონაწილეებს.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 441- 814, 441- 815.**


## "ახლები" უშიშროების სამსახურის უნივერსიტეტში ვიზიტებზე ალაპარაკდნენ

თამარ დვალი

*"ახალმა მემარჯვენეებმა" საქართველოს განათლების მინისტრის კახა ლომაიას წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვება ერთი კვირის წინათ დაიწყეს. გუშინ მათ სხვადასხვა რაიონიდან ჩამოტანილი 70 ათასი ხელმოწერა საქართველოს პრეზიდენტს გადასცეს. "ახლების" მორიგი სამიზნე ამჯერად უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი აღმოჩნდა. მემარჯვენე ოპოზიცია საგანმანათლებლო დაწესებულებებში უშიშროების თანამშრომლების ხშირ ვიზიტებსა და სტუდენტების დაშინების ფაქტებს ახმაურებს და ვანო მერაბიშვილის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*"მე ვეკითხები ვანო მერაბიშვილს: რა ესაქმებათ უშიშროების თანამშრომლებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში?"*

70 ათასი ხელმოწერა მოგროვებულია, საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვა გაკეთებულია, ახლა დროული მოქმედებაა საჭირო, რომ კახა ლომაიამ განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმა ბოლომდე არ მიიყვანოს - ეს არის "ახალი მემარჯვენეების" მიერ გუშინდელ პრესკონფერენციაზე დაფიქსირებული პოზიცია.

როგორც გაირკვა, "მემარჯვენე ოპოზიცია" პრეტენზიას მხოლოდ განათლების მინისტრს არ უყენებს. ოპოზიციონერებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უშიშროების თანამშრომლების ხშირი სტუმრიანობა უფრო აფიქრებთ და ქვეყანაში საშიში ტენდენციების განვითარებაზე საუბრობენ.

**"მე ვეკითხები ვანო მერაბიშვილს: რა ესაქმებათ უშიშროების თანამშრომლებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში? ისინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლომაიას პირველი ვიზიტის დროსაც გამოჩნდნენ და ახლაც, როდესაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ნუგზარ ფოფხაძის მხარდამჭერი აქცია ჩატარდა. უშიშროების თანამშრომლებს აქტიური სტუდენტები გამოჰყავთ და აშინებენ. ამ მეთოდს "ადამიანის დამუშავება" ჰქვია",** - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ფიქრია ჩიხრაძემ. მისივე თქმით, უშიშროების თანამშრომლები ჟურნალისტიკის ფაკულტეტს გუშინ კიდევ ერთხელ ესტუმრნენ და სწორედ იმ სტუდენტების გვარები მოითხოვეს, რომლებიც ყველაზე მეტად აქტიურობენ.

უშიშროების თანამშრომლების ხშირ სტუმრიანობას ადასტურებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი მარინა ვეკუაც: **"მას შემდეგ, რაც ჩვენი ფაკულტეტი ლომაის განცხადებას გამოეხმაურა და პრესკონფერენცია გამართა, უშიშროების თანამშრომლები ორჯერ გვესტუმრნენ. პირველად მათ ოფიციალური მომართვა არ აღმოაჩნდათ, რის შემდეგაც დღეს მეორედ მოვიდნენ. უცნაურია, რომ ისინი სწორედ იმ სტუდენტების პირად საქმეს ითხოვენ, რომლებიც ორი დღის წინათ გამართულ აქციას ხელმძღვანელობდნენ".**

მარინა ვეკუას თქმით, უშიშროების თანამშრომლებს არ დაუსახელებიათ მიზეზი, თუ რატომ დაინტერესდნენ ამ პიროვნებების მონაცემებით. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე უშიშროებიდან გუშინ შუადღის სამი საათისთვის მივიდნენ. ეს ის დროა, როდესაც ფიქრია ჩიხრაძე ჟურნალისტებთან მერაბიშვილის წინააღმდეგ ბუკლეტების გავრცელებაზე საუბრობს. როგორც მარინა ვეკუამ გვითხრა, უშიშროების თანამშრომლებმა ვილაცის სატელეფონო ზარის შემდეგ სასწრაფოდ დატოვეს უნივერსიტეტი, ისე, რომ საბუთების ნახვაც კი ვერ მოასწრეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უშიშროების სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ.

## პრემიერის ანგარიშის მიღმა

*თბილისის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე პრემიერის ანგარიშის მოსმენის შედეგები წინასწარვე ნათელი იყო - უმრავლესობა ბიძინა ბრეგაძის მიერ 6 თვის განმავლობაში გაწეულ საქმიანობას დადებითად შეაფასებდა და ტაშს დაუკრავდა; "მემარჯვენეები" რაღაცას გააპროტესტებდნენ და არც მერის არჩევითობის საკითხს დაივიწყებდნენ; "ლეიბორისტები" კი, ჩვეულებისამებრ, უშედეგო აჟიოტაჟს ატეხდნენ. მართლაც, ყველაფერი ასე მოხდა.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის პრემიერის მიერ სხდომაზე წარსადგენი ანგარიშის მოკლე შინაარსი 2 ნოემბრის "24 საათის" ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში გადმოვეცით. ამიტომ, ამ საკითხს აღარ დავაკონკრეტებთ და ყურადღებას გაწეული საქმიანობის ანგარიშში აღუნიშნავ ფაქტებზე გავამახვილებთ. მართალია, "ლეიბორისტების" გუშინდელი პრეტენზიები სხდომის დამსწრეებმა, ჩვეულებისამებრ, არასერიოზულად აღიქვეს, მაგრამ მათ მიერ დასმული ერთი კითხვა ყურადღებას ნამდვილად იმსახურებდა. **"რატომ ჩაინგრა ყოფილი "პეროვსკაიას" ქუჩაზე ახლახან დაგებული გზა"?** - ფრაქცია "ლეიბორისტების" თავმჯდომარის გიორგი გუგავას მიერ დასმულ ამ შეკითხვას სხდომის დამსწრეებმა წაუყრუეს. თუმცა, როგორც "24 საათმა" გამოარკვია, აღნიშნულ ქუჩაზე ახლახან დაგებულმა ქვაფენილმა, მართლაც, ერთ თვესაც ვერ გაუძლო. მერიას დაგეგმილი ჰქონია, რომ ყოფილი "პეროვსკაია" თბილისობას ქვაფენილით მოკირწყლული დახვედროდა, სამშენებლო კომპანიას კი სიჩქარეში უხარისხო საქმე გამოსვლია. თუმცა, როგორც ქალაქის ვიცე-პრემიერი თემურ ქურხული გვამშვიდებს, ყველაფერი მალე და ზედმეტი დანახარჯების გარეშე გამოსწორდება.

საინტერესო შენიშვნები სხვა ფრაქციის წევრებსაც აღმოაჩნდათ. **"რატომ ვერ აიკრძალა აქამდე ქალაქში ეთილირებული ბენზინის შემოტანა; მოსახლეობა გვთხოვს, ეგებ, ელიავას ბაზრობა თბილისის გარეუბანში გადავგვეტანა, შეწუხდა ხალხი; გლდანის პოლიციის პასუხისმგებლობის საკითხი დავაყენოთ, ყველამ იცის, რომ ზოოვეტის მიდამოებში კანაფი მოჰყავთ, გლდანის რაიონის პოლიცია კი იქ ახალგაზრდებს იტყუებს, "აბოლებს", მერე გზაში ხვდება და იჭერს,"** - საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები ქალაქის მთავრობისთვის ყურადსაღები ნამდვილად არის.

საბოლოოდ კი "ლეიბორისტების" ხმამაღალი განცხადებების, "მემარჯვენეების" თავშეკავებული პრეტენზიებისა (სანამ მერს არ ავირჩევთ და ეს უკანასკნელი პრემიერს არ დანიშნავს, მანამდე ქალაქის მთავრობის მუშაობას ეფექტი არ ექნებაო, - განაცხადა "მემარჯვენეების" ლიდერმა გიორგი მოსიძემ) და უმრავლესობის წვრილ-წვრილი შენიშვნების მიუხედავად, პრემიერის ანგარიშის მოსმენა მაინც ტაშის გრიალით დასრულდა.

"ლეიბორისტები" ახლა მომავალი სხდომისთვის ემზადებიან. 8 ნოემბრისთვის დაგეგმილ სხდომაზე, სადაც საკრებულომ მერიის კაპიტალური მშენებლობის სამსახურის მიერ წარდგენილ ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი უნდა განიხილოს, ნათელაშვილის თანაპარტიელები მერიისა და საკრებულოს ერთ-ერთი წევრისთვის სერიოზული ბრალდებების წაყენებას აპირებენ. აღნიშნული პროექტი, მომავალი წლისთვის დასამთავრებელი სამუშაოების ხარჯზე, პარლამენტის წინ მიმდინარე 9 აპრილის მემორიალისა და დიდ დიღომში საკომუნიკაციო სამუშაოებისთვის თანხების მომატებას ითვალისწინებს. **"თანხა ავლაბრის ტერიტორიაზე მიმდინარე საკომუნიკაციო და ზოგიერთ საპროექტო სამუშაოებს მოაკლდება, რადგან ისინი წელს მაინც ვერ დასრულდება; ოღონდ, ეს მოჭრილი თანხა მომავალი წლის ბიუჯეტს დაემატება,"** - განმარტავს კაპიტალური მშენებლობის სამსახურის უფროსი ნიკო კახეთელიძე. მომავალ სხდომაზე "ლეიბორისტების" თავდასხმის საგნად სწორედ ეს პროექტი იქცევა. **"დიდ დიღომში წყლის სადრენაჟე კოლექტორი კარგა ხნის წინათ უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ფული შეიჭამა და ახლა დამატებას ითხოვენ. საკრებულოში კი ამ საქმეს ფრაქცია "სამართლიანობის" თავმჯდომარე ჯუმბერ შენგელია ლობირებს, რადგან სამშენებლო სამუშაოებს მისი კუთვნილი კომპანია აწარმოებს",** - აცხადებს "ლეიბორისტების" წევრი სოსო შატბერაშვილი. თუმცა, კახეთელიძის განმარტება საწინააღმდეგოს ამტკიცებს: **"როცა მიწა გათხარეს, იქ ბევრად მეტი სამუშაო აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ. თანხის დამატება ამიტომაც გახდა საჭირო; თანაც, მიწა ამოთხრილია და სამუშაოები რომ არ დავასრულოთ, მომავალ წელს უფრო მეტი დაგვეხარჯება".**

ასე რომ, მომავალ სხდომაზე საინტერესო სცენები გველის. თუმცა, როგორც კულუარებში ამბობენ, 8 ნოემბერსაც ჩვეული სცენარი განმეორდება და კაპიტალური მშენებლობის სამსახურის პროექტი მაინც დამტკიცდება.

## შეეწიეთ და ღმერთი შეგეწევათ

ნინო ცინცაძე

რამდენიმე დღის წინ "საპატრიარქოს უწყებანში" N37 (295) დაიბეჭდა და შემდეგ ტელევიზიების მეშვეობითაც გავრცელდა საპატრიარქოს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. მიმართვის თანახმად, საპატრიარქო ყაზბეგში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის მშენებლობას აპირებს და ამ საქმის განსახორციელებლად განსაკუთრებით შვილგარდაცვლილ მშობლებს მიმართავს, რათა ისინი ამ საქმეში ფულის ჩადებით თავიანთი შვილების სულებს შეეწიონ. **"შეეწიეთ თქვენი შვილების სულებს და ღმერთი თქვენ შეგეწევათ",** - ასეთია საპატრიარქოს მიმართვა. რომელმა პიარ-ტექნოლოგმა მოიგონა ეს ფრაზა, ძნელი სათქმელია, თუმცა ფაქტია, რომ მსგავსი ფორმულით შედგენილი ფრაზები ჩვენი ტელევიზიების სარეკლამო რგოლებში ხშირად ისმის ხოლმე. მაგალითებს არ მოვიყვანთ, რადგან ამ თემაზე სიცილი არ ღირს. თუმცა, გაიცინებ თუ არა, ცხადია, რომ მორიგი ტაძრის ასაშენებლად ფულს ისევ მოსახლეობას სთხოვენ და თანაც შვილგარდაცვლილ მშობლებს. ბევრი, ალბათ, ფიქრობს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმას უსახსრობა აიძულებთ. თუმცა, საპატრიარქო ჯერ კიდევ 1994-95 წლებიდან მოყოლებული თავის ფართო და საკმაოდ შემოსავლიან ბიზნესს აწარმოებდა.

1994 წლის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 18.09.94 N 03-1-7 ბრძანებულებით, "საპატრიარქოს მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები, საეკლესიო დანიშნულების პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადისაგან, აგრეთვე - სახელმწიფო ბაჟისაგან, სავალუტო და საშემოსავლო გადასახადებისაგან". ეს ორგანიზაციებია: საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო საბჭო, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილება, სამრეწველო განყოფილება, ხაშმის ღვინის ქარხანა, ბათუმის ეპარქიის სამეურნეო განყოფილება, ბათუმის სასულიერო გიმნაზიის სამეურნეო განყოფილება (ყოფილი ფირმა "კანდელი"), საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების ბათუმის ფილიალი და ბევრი სხვა.

ჩვენს ხელთ არსებობს საგადასახადო დეპარტამენტის საბუთები, რომელიც ადასტურებს, რომ 1994-95 წლებიდან მოყოლებული სწორედ ამ ორგანიზაციებს შემოჰქონდათ და გაჰქონდათ რამდენიმე ასეული მილიონი ღირებულების საქონელი. ამ საქმეში ყველაზე აქტიური საპატრიარქოს ფინანსური საბჭო, საგარეო ეკონომიკური კავშირების განყოფილება, ამ განყოფილების ბათუმის ფილიალი, ფირმები - "შემწე", "კანდელი" და ბათუმ-შემოქმედის სამეურნეო განყოფილება იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს საპატრიარქომ მხოლოდ ამ წლებში თურქეთიდან, სირიიდან და უნგრეთიდან უხვად შემოიტანა სპირტი, ლუდი, ბენზინი, კოლა-კოლა, სიგარეტი, კვერცხი, მაკარონი, არომატული სასმელები და ბევრი სხვა რამ. მაგალითად, ფირმა "კანდელმა", რომელიც პატრიარქის ძმისშვილის, დიმიტრი შიოლაშვილის მიერ დაარსებულ ბათუმის სასულიერო გიმნაზიასთან თანაარსებობდა, 1994 წელს თურქეთიდან საქართველოში ერთხელ 20240 აშშ დოლარის ღირებულების, მეორედ - 4950, მესამედ კი 8323 აშშ დოლარის ღირებულების მხოლოდ სპირტი შემოიტანა. ამ წლებში საქართველო "ლამის დაახრჩო" საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ფირმა "შემწეს" მიერ შემოტანილმა ლუდმა. ეტყობა, ამ სახით შემწეობა უნდა აღმოეჩინათ იმ წლებში განსაკუთრებით დამშეული ჩვენი მოსახლეობისათვის. სხვათა შორის, ფირმა "შემწე" გადასახადებისაგან გათავისუფლებულ ორგანიზაციათა სიაში შეტანილი არ არის, მაგრამ "საერთო ქვაბში" ისიც ადვილად მოიხარშა. ლუდის შემოტანაში "შემწეს" არც "კანდელი" ჩამორჩენია. ამ უკანასკნელმა, ასევე, არყის, ღვინისა და სიგარეტის ბიზნესშიც იმარჯვა. 1995 წელს მათ 61500 დოლარის ღირებულების მხოლოდ სიგარეტი შემოიტანეს. ეს "სავაჭრო არსენალის" სიის მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. წლებში, როდესაც საქართველოს მოსახლეობას განსაკუთრებით უჭირდა, საპატრიარქოს ეგიდით შემოჰქონდათ გაყინული ქათმების მაცივრები, შაქარი, მაიონეზი, ფქვილი, ცემენტი, ბენზინი და ბევრი სხვა. მოგეხსენებათ, არც იმ წლებში და არც შემდეგ, საპატრიარქოს სახელით, საქველმოქმედო ფასებში გაყიდული, ანდა უფასოდ დარიგებული საქონელი არავის ახსოვს - ეს ჩვეულებრივი ბიზნესი იყო და თანაც - ძალიან მომგებიანი, რადგან იგი ყოველგვარი გადასახადისგან იყო თავისუფალი.

ახლა რაც შეეხება ექსპორტს. იმპორტიორი ქვეყნები თურქეთი და რუსეთია, გასატანი საქონელი კი: ჯართი და შავი ლითონის ნარჩენები, სილიკომარგანეცი და ფეროსილი, "ბალვანკა", რკინის ნაკეთობები, ალუმინის დაუმუშავებელი ზოდები, პირუტყვის ტყავი, ფოლადის მილები, ლიანდაგის გადასაყვანები, ნაგლინი, ძარები, საღებავები და ა.შ. ეს პროდუქცია, ძირითადად, თურქეთში გადიოდა, მოსკოვს კი მრავალი ათასი დოლარის ღირებულების კონიაკი "არაგვით" ამარაგებდნენ. რადგან სიტყვა რუსეთზე ჩამოვარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ საქმეებში საქართველოს საპატრიარქო თავისი "დიდი ძმის" დარად იქცევა, ოღონდ რუსეთის საპატრიარქოს უფრო დიდი მასშტაბები აქვს. როგორც ცნობილია, ისინი ალმასებითაც კი ვაჭრობენ.

შესაძლოა, გაჩნდეს აზრი, რომ ამ ბიზნესს საპატრიარქოს სახელით გარკვეული ბიზნეს-დაჯგუფებები აწარმოებდნენ, ამ გზით გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ და შემდეგ წილს საპატრიარქოს უხდიდნენ. თავისთავად, ამგვარი რამეც დასაშვებია, მაგრამ ის საქმიანობა, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენებთ, უშუალოდ, საპატრიარქოსა და მისი განყოფილებების ბიზნესია. ამ საქმეებს, ძირითადად, სათავეში საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკური კავშირების განყოფილება და საპატრიარქოს საფინანსო საბჭო ედგა. საგარეო ეკონომიკური კავშირების განყოფილებას მაშინ თეიმურაზ მათიაშვილი ხელმძღვანელობდა, რომლის გვარიც, სხვათა შორის, ხაშმის საქმეშიც ფიგურირებს. კლერიკალური წრეებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ეს პიროვნება პატრიარქის რეფერენტის, ქალბატონ შორენა თეთრუაშვილის კადრი იყო. რაც შეეხება საპატრიარქოს საფინანსო საბჭოს, საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ორგანოს - "საეკლესო კალენდრის" მიხედვით, მისი ხელმძღვანელი მევლუდ ეგრისელაშვილი იყო, თუმცა თავად მან წარმოადგინა საბუთი, რომლის მიხედვითაც, იგი 1994 წლის 1 იანვრიდან საპატრიარქოში აღარ მუშაობს. პატრიარქის მდივანს დეკანოზ მიქაელ ბოტკოველს გაუჭირდა გაეხსენებინა, არსებობდა თუ არა საერთოდ 1994-95 წლებში საპატრიარქოს საფინანსო საბჭო და ვინ ედგა მას სათავეში.

საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო საბჭოს ახლანდელი თავმჯდომარე, დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე თვლის, რომ, თუ ეს საქმიანობა კანონმდებლობით დაშვებული იყო, იგი საპატრიარქოსაც შეეძლო ეწარმოებინა. რაც შეეხება მორალურ მხარეს, იგი ამგვარ პასუხისმგებლობას ამ საქმეების მწარმოებლებს აკისრებს: "**მათ უნდა გაგვცენ პასუხი კითხვაზე, რამდენადაა მორალურად გამართლებული იმ საგნებით ვაჭრობა, რასაც ეკლესია კრძალავს**". რაც შეეხება ამ საქმეებთან პატრიარქის რეფერენტის კავშირს, მამა ზაქარია ამბობს, რომ ქალბატონი შორენა არ არის ისეთი საშიში ქალი, როგორადაც მას საზოგადოებას წარუდგენენ. "**იგი ჩვეულებრივი, რიგითი ქალია, რომელიც მისი ქალური თუ ინტელექტუალური ერთგულებით ემსახურება საქართველოს ეკლესიას. ქალბატონი შორენა ვერაფრით იქნება ის პიროვნება, რომელსაც ასეთი ძალა და ავტორიტეტი აქვს საქართველოს ეკლესიაში. შესაძლოა, პატრიარქს ვინმემ რაიმე რეკომენდაცია გაუწიოს, მაგარმ ყველა პიროვნების დანიშვნა უშუალოდ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხდება**".

დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე ბოლო წლებში საპატრიარქოს მიერ ამგვარი ბიზნესის წარმოებას კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა ტიპის იმპორტ-ექსპორტი ხორციელდება ახლა საპატრიარქოში, ოფიციალური წერილობითი მიმართვა სჭირდება: "**ჩვენ დამალული არაფერი გვაქვს, მოგვმართეთ ოფიციალურად და პატრიარქის ლოცვა-კურთხევის შემდეგ ამ ინფორმაციას აუცილებლად მოგაწვდით**", - განაცხადა მამა ზაქარიამ.

ისეთ იერარქიულ სისტემაში, სადაც, პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე ინფორმაციაც კი არ გაიცემა, 1994-95 წლებში წარმოებული ბიზნესისათვის რატომ უნდა დაეკისროთ მორალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ საქმის უშუალო შემსრულებლებს, ძნელად ასახსნელია.

# "შესაძლოა, სიტუაცია უკონტროლო გახდეს"

პირველი გვერდიდან

ბოლო ორი დღეა, პარალიზებულია ცხინვალი-ჯავის ავტომაგისტრალი. გატაცებულის ახლობლები და ნათესავები მთელი ამ ხნის განმავლობაში უშედეგოდ ითხოვენ გიორგი კახნიაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა კონფლიქტის ზონის ქართული მოსახლეობის საპროტესტო აქციის პარალელურად ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ქალაქის შესასვლელის ჩაკეტვამ. ცხინვალში გუშინ 50-მდე ქართველი დააკავეს. ოსი სამართალდამცავები ცხინვალში გაჩერებულ ქართველ მგზავრებს გადაადგილების უფლებას არ აძლევდნენ. ლიახვის ხეობაში მყოფმა შიდა ქართლის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა და სამხარეო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლებს და ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობას პრობლემის მოსაგვარებლად ჯერ კიდევ დილით, რამდენიმესაათიანი ვადა მისცეს. **"თუ რამდენიმე საათის განმავლობაში არ გათავისუფლდა გატაცებული კახნიაშვილი და, მასთან ერთად, ის ქართველები, რომლებიც ცხინვალის გავლით მგზავრობდნენ, ვითარება კონფლიქტის ზონაში უფრო დაიძაბება, შესაძლოა, ეს სიტუაცია უკონტროლოც გახდეს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა. ქართველების მხრიდან დღის პირველ ნახევარში წაყენებული ულტიმატუმი არც ოს სეპარატისტებს და არც შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობას გუშინ არ დაუკმაყოფილებია. უფრო მეტიც, ისინი



*"ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავება მხოლოდ იმის დასტურია, რომ ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირება არ სურს."*

ქართველი ახალგაზრდის გატაცების ფაქტს ეჭვის თვალით უყურებდნენ და აცხადებდნენ, რომ ამის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობდნენ. სიტუაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც გატაცებულისა და ცხინვალში მძევლად მყოფი ქართველების ახლობლებს ცხინვალის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი შეხვდა. ამჯერად უკვე ულტიმატუმის ენაზე მას თავად აქციის მონაწილეები ესაუბრებოდნენ. **"სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის მინისტრმა პირობა მისცა ქართველებს, რომ პრობლემას უახლოეს საათებში მოაგვარებს, პირადად მე რამდენჯერმე ვესაუბრე დე ფაქტო ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრს რობერტ გულიევს, თუმცა, ჩვენ მათი დაპირებების იმედი, მართალი გითხრათ, არ გვაქვს. ვითარება კი უკიდურესად გამწვავებულია. კახნიაშვილის გატაცება და ცხინვალში 50-დე ქართველის მძევლობაში ყოფნა მხოლოდ იმის დასტურია, რომ ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირება არ სურს. თამარაშენი-ჯავის ავტომაგისტრალზე მოძრაობა მთლიანად შეწყვეტილია. ცხინვალიდან ვერ გამოდიან მგზავრები, რომლებიც ავტობუსებით და მსუბუქი ავტომანქანებით ქალაქის სხვადასხვა ქუჩებზე ჰყავთ გაჩერებული ოს სამართალდამცავებს. ჩვენი მხრიდან მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები ცხინვალში დარჩენილი ქართველების გამოსაყვანად,"** - განგვიცხადა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა.

დღის ბოლოს, ცხინვალის ტერიტორიაზე გაჩერებული ქართველი მგზავრების ნაწილმა ქალაქის დატოვება რაღაცნაირად მოახერხა. როგორ და რანაირად მოხდა ეს, ალექსანდრე სუხიტაშვილმა ჩვენთან საუბრისას არ დააკონკრეტა.

# მამალაძის ქონების ჩამორთმევის გამო ევროსასამართლოს მიმართავენ

*რამდენიმეთვიანმა სასამართლო დავამ, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის აღებისთვის ძებნილი ლევან მამალაძისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ, შესაძლოა, სტრასბურგში გადაინაცვლოს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ყველა სამართლებრივი ბერკეტის გამოყენების შემდეგ, ლევან მამალაძის ადვოკატი სწორედ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსთვის მიმართვას აპირებს.*

გუშინ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაუსაბუთებლად შეძენილად და, შესაბამისად, კანონიერად ჩამორთმეულად ცნო ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებულის ლევან მამალაძის კოჯრის აგარაკი, თბილისში ატენის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინა, შინდისსა და წავკისში არსებული მიწის ნაკვეთები.

ეს ქონება, გამოძიების განმარტებით, ძებნილს გუბერნატორად მუშაობის პერიოდში აქვს შეძენილი და მთლიანობაში 300 ათას დოლარად ფასდება. ეს მაშინ, როცა, ლევან მამალაძე, კეთილსინდისიერად რომ ეცხოვრა და თანაც თავისი ოფიციალური შემოსავლებიდან კაპიკი არ დაეხარჯა, 17 ათასი ლარის შეგროვებას თუ შეძლებდა. პროკურატურის ეს არგუმენტი ძნელი გასაქარწყლებელი გახლდათ, თუმცა მამალაძის დაცვის მხარემ ქონების დასაცავად სასამართლო პროცესზე არაერთი დოკუმენტი წარადგინა. მიუხედავად ამისა, მამალაძის ადვოკატის არჩილ კბილაშვილის თქმით, მას ერთი წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ სასამართლო ქონების ჩამორთმევის შესახებ გამოიტანდა გადაწყვეტილებას.

**"ჯერ ერთი, ლევან მამალაძის პიროვნების ირგვლივ ისეთი აურაა შექმნილი, რომ მისთვის ქონების დატოვებას საზოგადოებაც უარყოფითად შეხვდებოდა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებას უფრო პოლიტიკური დატვირთვის სუნი უდის, ვიდრე საზოგადოებრივის,"** - აცხადებს არჩილ კბილაშვილი.

ცხადია, საქართველოში ძნელად თუ მოიპოვება ადამიანი, თავად მამალაძის ოჯახის წევრების გარდა, რომელიც სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევდა, თუმცა, ადვოკატი მაინც იმ მიდგომის უსამართლობაზე საუბრობს, რომელიც სასამართლომ ამ საქმის განხილვისას გამოიჩინა.

**"მოგეხსენებათ, მამალაძის შემთხვევაში, ჩამორთმევას ექვემდებარება ის ქონება, რომელიც მან გუბერნატორობის პერიოდში შეიძინა. ჩამორთმეულ ქონებასთან მიმართებაში კი საქმე ამგვარადაა - მამალაძე გუბერნატორად დაინიშნა 1994 წლის ნოემბერში, კოჯრის აგარაკს მამალაძეების ოჯახი ფლობს 1994 წლის დეკემბრიდან, ამის დამადასტურებლად არსებობს აგარაკის ძველი მფლობელის გენერალური მინდობილობაც. ერთ არასრულ თვეში ლევან მამალაძე ვერ შეძლებდა აგარაკის შეძენას. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ აგარაკის საბოლოოდ გადაფორმება 1998 წელს მოხდა. ანუ ამ შემთხვევაში სასამართლომ იხელმძღვანელა ოფიციალური მონაცემებით. რაც შეეხება ატენის ქუჩაზე მდებარე ბინას, ის 1997 წლიდან ოფიციალურად გაფორმებულია ლევან მამალაძის ბიძის სახელზე. გარდა ამისა, სასამართლოზე წარვადგინეთ მეზობლების ჩვენებები, სადაც ისინი ადასტურებენ, რომ ბინაში რემონტი მართლაც ბიძამ გააკეთა. სამაგიეროდ, 2001 წლიდან ამ ბინაში ლევან მამალაძის ოჯახი ცხოვრობდა. უკვე ამ შემთხვევაში, სასამართლომ, კოჯრის აგარაკისგან განსხვავებით, ფაქტობრივი მონაცემებით იხელმძღვანელა. გამოდის, რომ ერთსა და იმავე საკითხს სხვადასხვანაირად მიუდგა,"** - ამბობს კბილაშვილი, რომლის თქმითაც, ჩამორთმეული ქონების ჩამონათვალიდან სწორედ ეს ორია ფასეული (კოჯრის აგარაკისა და ატენის ქუჩაზე მდებარე ბინის საერთო ღირებულება, დაახლოებით 200 ათასი დოლარია, როცა მიწის ნაკვეთების ფასი 9 ათას ლარს თუ შეადგენს).

ადვოკატისვე თქმით, შინაარსობრივი დარღვევების გარდა, სასამართლომ პროცესუალური ნორმებიც დაარღვია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ევროკონვენციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლიც იმის თაობაზე, რომ ბრალდებულს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო პროცესის გადადება გონივრული ვადების ფარგლებში.

**"რადგან მამალაძე ძებნილია, გონივრულ ვადად ითვლება პერიოდი მის დაკავებამდე,"** - ამბობს ადვოკატი და სწორედ ამ დარღვევის გამო აპირებს მიმართოს ევროსასამართლოს.

სამაგიეროდ, სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობაში სრულიად დარწმუნებულია პროცესის მეორე - ბრალდების მხარე. პროკურორ ვიქტორ ჭაჭუას განცხადებით, სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება მოულოდნელი არავისთვის არ უნდა ყოფილიყო.

*24 საათი*

# უშიშროების სამინისტრო სატელეფონო ტერორისტებს იჭერს

*უშიშროების მინისტრის გაფრთხილების მიუხედავად, რომ ანონიმური ზარების ავტორები, რომლებიც ამა თუ იმ დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში ნაღმის არსებობის შესახებ გზავნიან შეტყობინებებს, მკაცრად დაისჯებიან, სატელეფონო ხულიგნების რაოდენობა, ჯერჯერობით, მაინც არ კლებულობს. პირიქით, მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.*

როგორც ჩანს, ანონიმური ზარების ავტორებს არ სჯერათ, რომ არსებული ტექნიკით უშიშროების სამსახური მართლაც შეძლებს მათი ვინაობის დადგენას. არადა, ცრუ ინფორმატორების პოვნა-დაკავების შესახებ სულ ცოტა ხნის წინ საჯაროდ გაკეთდა ინფორმაცია. მაშინ ისიც ითქვა, რომ ანონიმური ზარის განმახორციელებლები, რომლებიც დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამშრომლებს პანიკაში ჩააგდებენ, არსებული კანონმდებლობით 3-წლიანი პატიმრობით დაისჯებიან, ან საკმაოდ სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევთ. გარდა ამისა, გამნაღმველთა ჯგუფის მუშაობის ხარჯების დაფარვაც ანონიმს ეკისრება.

გუშინ დილით "24 საათის" რედაქციაში უცნობმა ქალბატონმა დარეკა და ინფორმაცია მოგვაწოდა იმის შესახებ, რომ დილით, საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან გამოსული ახალგაზრდა, კახა ხუხუნაიშვილი უცნობმა მამაკაცებმა მოულოდნელად ავტომანქანაში "შეტენეს" და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. უცნობი ქალბატონი გვთხოვდა, დავინტერესებულიყავით მომხდარით. როგორც გავარკვიეთ, კახა ხუხუნაიშვილი უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს ჰყავდათ დაკავებული. დაკავების მოტივი - ანონიმური ცრუ ზარი სამხატვრო აკადემიაში, რომელიც შენობაში ნაღმის არსებობაზე მიუთითებდა. **"ხუხუნაიშვილმა დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ მას ამ მეთოდით სურდა შეყვარებული გოგონას ნახვა, რომელიც ასევე სამხატვრო აკადემიაში სწავლობს.**

**ჩვენ დაკავებულს ანონიმური სატელეფონო ზარისთვის ვთხოვთ პასუხს. ყველამ იცოდეს, რომ უშიშროების სამინისტროს ყველანაირი ტექნიკა გააჩნია იმისთვის, რომ დაადგინოს ზარების ავტორები. არავის ვურჩევს ასეთ ხუმრობას"**, - აცხადებენ უშიშროების სამინისტროში.

გუშინდელი დღე აშკარად ანონიმური ზარების სიმრავლით გამოირჩეოდა. ნაღმის არსებობის შესახებ განხორციელებული სატელეფონო ინფორმაციის შედეგად 53-ე საშუალო სკოლასა და მე-6 გიმნაზიაში სასწავლო პროცესი ჩაიშალა. ამჯერად, ცრუ ზარის ავტორებს სკოლასა და გიმნაზიაში არ დაურეკავთ. შენობებში ნაღმის არსებობის შესახებ ინფორმაცია საპატრულო პოლიციაში შესული სატელეფონო ზარით გახდა ცნობილი. უშიშროების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, არც სკოლასა და არც გიმნაზიაში ნაღმი არ აღმოჩნდა. თუმცა, სასწავლო პროცესი 53-ე საშუალო სკოლასა და მე-6 გიმნაზიაში გუშინ აღარ განახლებულა. სხვათა შორის, მე-6 ქართულ-გერმანულ გიმნაზიაში მსგავსი ანონიმური ზარის გამო განგაში უკვე მესამედ ატყდა და, შესაბამისად, სასწავლო პროცესიც მესამედ ჩაიშალა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მე-6 გიმნაზიაში განხორციელებული ანონიმური ზარების ავტორები, ჯერჯერობით, დადგენილები არ არიან, თუმცა, როგორც უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, არც ერთი მათგანი დაუსჯელი არ დარჩება.

ანონიმური ზარის ავტორმა სასწავლო პროცესი გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მაღლივ კორპუსშიც ჩაშალა. უშიშროების სამინისტროს გამნაღმველების სპეციალურმა ჯგუფმა რამდენიმესაათიანი მუშაობის მიუხედავად, დამონტაჟებულ ნაღმს ვერც სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში მიაგნო.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

_______________________________________________

### ანკეტა

სახელი, გვარი ..........................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........................................

საკონტაქტო ტელეფონი ..........................................................

_______________________________________________

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგეტიკა

# გუშინ, დღეს, ხვალ

## დავიცვათ მომსახურე პერსონალი დაზიანებისა და უბედური შემთხვევისაგან

ელექტროენერგეტიკული სექტორის ობიექტებზე დაზიანებები და უბედური შემთხვევები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხდება, ძირითადად გამოწვეულია მომსახურე პერსონალის მხრიდან უსაფრთხოების ელემენტარული წესების არცოდნით და უხარისხო ელექტროდამცავი საშუალებების გამოყენებით. ამიტომ, ენერგეტიკული ობიექტის ხელმძღვანელის უპირველესი ამოცანაა, არ მიაკაროს უცოდინარი მუშაკი საქმეს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეაიარაღოს იგი მაღალი ხარისხის, თანამედროვე ტიპის ელექტროდამცავი საშუალებებით.

ამ წერილის მიზანია, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ამის შესახებ თითოეულ ხელმძღვანელს და ამავდროულად, მივაწოდოთ გარკვეული ინფორმაცია, ელექტროდამცავი საშუალებების მწარმოებელ ორგანიზაციაზე.

ღია ტიპის სააქციო საზოგადოება "ელექტროხელსაწყო" - მომსახურე პერსონალის ელექტროდამცავი საშუალებების, ელექტრომზომი და თბოტექნიკური კონტროლის ხელსაწყოების, აგრთვე, კომპოზიციური მასალების დამამზადებელი უმსხვილესი მწარმოებელია.

სს "ელექტროხელსაწყო", რომელიც დაფუძნებულია 1957 წელს და ითვლება პერსონალის ელექტროდამცავი საშუალებების, ელექტრომზომი და თბოტექნიკური კონტროლის ხელსაწყოების ძირითად მწარმოებლად თანამეგობრობის ქვეყნებისათვის, მდებარეობს სომხეთში - ქ. ერევანში.

საწარმოს უკავია 8.1 ჰა ტერიტორია, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 47.6 ათასი კვ.მ-ია, რომელთაგან 31.6 ათასი კვ.მ საწარმო ხასიათისაა.

დღეისათვის ქარხანაში მოქმედებს მექანიკური დამუშავების, საშტამპავი, ამწყობი, სამსხმელო, ინსტრუმენტული, რეზინო-ტექნიკური, კომპოზიციური მასალების და სხვა საამქროები: ახალი საინჟინრო-ტექნიკური დამუშავების წყალობით ბოლო 10 წელიწადში მნიშვნელოვნად გაფართოვდა გამოშვებულ ნაკეთობათა ნომენკლატურა, დღეს წარმოება უშვებს 100-ზე მეტი დასახელების პროდუქციას.

ხარისხის კონტროლის დანერგვისათვის 2002 წლის აპრილში საწარმოს მიეკუთვნა სერტიფიკატი ISO 9001.

პროდუქციის მაღალი ხარისხი და საიმედოობა დადასტურებულია მრავალწლიანი თანამშრომლობით ენერგეტიკული სფეროს უმსხვილეს საწარმოებთან, ისეთებთან, როგორებიც არიან "მოსენერგო", "ლენენერგო", "ტიუმენენერგო" და სხვ.

კლიენტებთან ეფექტურად მუშაობის უზრუნველსაყოფად და პროდუქციის ოპერატიული მიწოდებისათვის, მოქმედებს რეგიონული დილერების ფართო ქსელი, თანამეგობრობის ქვეყნების, თითქმის, მთელ ტერიტორიაზე. ქ. მოსკოვში, აღნიშნული ქარხნის წარმომადგენლობაში (საწყობში) არსებობს გამოშვებული პროდუქციის სრული ნომენკლატურული სია.

საზოგადოებას მუდივმოქმედი წარმომადგენლობები აქვს მოსკოვში და კიევში, სადაც ორგანიზებულია სერვის, საგარანტიო და პოსტსაგარანტიო მომსახურეობები.

2002 წლის ოქტომბრიდან სს "ელექტროხელსაწყოს" პროდუქცია, ELPRIB-ის სავაჭრო მარკით რეგისტრირებული გამოდის.

ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ჩამონათვალი ასეთია:

I. ელექტროდანადგარების მომსახურე პერსონალის ელექტროდამცავი საშუალებები
- ძაბვის ინდიკატორები;
- ძაბვის მაჩვენებლები;
- მაიზოლირებელი შტანგები;
- გადასატანი დამამიწებლები;
- კვანძები და დეტალები;
- კიბეები, ნოხები;
- უსაფრთხოების პლაკატები და ნიშნები;

II. საკონტროლო გამზომი ხელსაწყოები
- ელექტროგამზომი მარწუხები (დენური);
- მულტიმეტრები;

III. ტემპერატურის კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოები
- დროის რელე;
- ტემპერატურის რეგულატორები;
- ტემპერატურის გამზომები;
- ტემპერატურის გამზომები და რეგულატორები;
- ტემპერატურის გამზომი სისტემები და კომპლექტები.

### სერტიფიკაცია

როგორც აღვნიშნეთ, 2002 წლის აპრილიდან, წარმოებაში დანერგილია ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001, რომელსაც იმავე წელს მიეკუთვნა სერტიფიკატი ISO 9001 "Global Certification Limited " (დიდი ბრიტანეთი).




გამზომსაშუალებათა ხელსაწყოები სერტიფიცირებულია სომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სერტიფიკაციისა და მეტროლოგიის ეროვნული ორგანოების მიერ.

მომსახურე პერსონალის ელექტროდამცავ საშუალებებს აქვთ РАО "ЕЭС России"-ის დადებითი საექსპერტო დასკვნა და უფლება მათ გამოყენებაზე, ასევე უკრაინის სახელმწიფო ზედამხედველობის და შრომის დაცვის ცენტრის დადებითი საექსპერტო დასკვნა.

სს "ელექტროხელსაწყო" აცხადებს, რომ საწარმოს მიერ გამოშვებული ელექტროდამცავი და ელექტრული სისტემების ნაკეთობანი შეესაბამებიან თანამეგობრობის ქვეყნების ფუნქციონალურ სახელმწიფო სტანდარტებს, IEC-ის სტანდარტების საერთაშორისო სისტემების მოთხოვნებს.

წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს:



**მიკროკონტროლური ფაზის ინდიკატორი - "ИФ – 517 М"**

მოწყობილობა გამოიყენება 380 ვოლტი ძაბვის, 50 ჰერცი სამრეწველო სიხშირის, სამფაზა ქსელში **A.B.C** ფაზების მიმდევრობის განსაზღვრისათვის. გამოდის **"И-517"** და **"Ф-2"**-ის ინდიკატორების სანაცვლოდ.





**მაღალი ძაბვის მაჩვენებლები, შუქ-ხმოვანი ინდიკაციით "УВНУ-10 СЗИП", "УВНУ-35 СЗИП", "УВНУ-110 СЗИП"**

ამ ტიპის მაღალი ძაბვის მაჩვენებლები გამოიყენებიან 2-დან 110 კვ-მდე ნომინალური ძაბვის ცვლადი დენის ელექტროდანადგარებში ძაბვის არსებობის, ან არარსებობის შესამოწმებლად.

მაჩვენებლის მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია ტევადური დენის ზემოქმედების შედეგად შუქ-ხმოვანი მოწყობილობის ამოქმედებაზე.



**მაღალი ძაბვის ინდიკატორი შუქ-ხმოვანი ინდიკაციით "ВИН-СЗ"**

მაღალი ძაბვის ინდიკატორი წარმოადგენს დამოუკიდებელ ელექტრონულ ხელსაწყოს და განკუთვნილია სამრეწველო სიხშირის 6-დან 110 კვ-მდე ძაბვის არსებობის ან არარსებობის დასადგენად. ინდიკატორს აქვს შუქ-ხმოვანი ინდიკაცია და მუშაობის უნარიანობის შესამოწმებელი მოწყობილობა.



**სამუშაო ოპერატიული შტანგები "ШОС-10", "ШОС-35"**

გამოიყენებიან ოპერატიული მუშაობისათვის მუდმივი და 50 ჰც სიხშირის ცვლადი დენის ელექტროდანადგარებში და ესახურებიან ძაბვის ქვეშ ჩავარდნილი ადამიანების განთავისუფლებას.



**უნივერსალური ოპერატიული მაიზოლირებელი შტანგები "ШОУ-1", "ШОУ-15", "ШОУ-35", "ШОУ-110", "ШОУ-220", "ШОУ-330"**

განკუთვნილია ოპერატიული მუშაობისათვის მუდმივი და 50 ჰც სიხშირის და 330 კვ-მდე ძაბვის ცვლადი დენის ელექტროდანადგარებში გამთიშველების მართვისათვის, აგრეთვე მაღალი ძაბვის მილისებრი მცველების შესაცვლელად.

**საკონტროლო გამზომი ხელსაწყოები**



ეს არის ერთადერთი დენური მარწუხი, რომელსაც გააჩნია **РАО "ЕЭС России"**-ის დადებითი საექსპერტო დასკვნა.

შეტანილია რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და სომხეთის სახელმწიფო რეესტრებში.

**ციფრული ელექტროგამზომი მარწუხები "К 4570/1 Ц", "К 4570/2 Ц", "К 4570 Ц", "МП 4579"**



ეს მარწუხები გამოიყენებიან ცვლადი დენის გასაზომად, დენის წრედის გაუწყვეტლად.

ელექტრომზომი ციფრული მარწუხები განკუთვნილია შემდეგი სიდიდეების გასაზომად:
- ცვლადი დენის (დენის წრედის გაუწყვეტლად);
- ძაბვის, 1000 ვ-მდე, მუდმივი დენის და 750 ვ ნომინალური ძაბვის ცვლადი დენის ქსელებში;
- წინაღობის;
- ტემპერატურის;
- სიხშირის



აგრეთვე დიოდებისა და კონტაქტების შესამოწმებლად. მარწუხი გადასატანი კომბინირებული ხელსაწყოა და წარმოადგენს დენის ტრანსფორმატორის კომბინაციას, რომელსაც გააჩნია გასახსნელი მაგნიტგამტარი ციფრული მულტიმეტრით. მარწუხთან ერთად იწარმოება **"МП 4579"** ტიპის მულტიმეტრული მისადგმელი, იზოლაციის წინაღობის და სიმტკიცის გასაზომად.

ვიმედოვნებთ, რომ მოცემული კატალოგი საშუალებას მოგცემთ გააკეთოთ სწორი არჩევანი ელექტროდამცავი და ელექტრომზომი ხელსაწყოების შერჩევისას. კატალოგის გასაცნობად და სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სს "ელექტროხელსაწყოს" შემდეგ მისამართზე: 375086, ქ. ერევანი, შირაქის ქ. N74, ტელ: +3741 - 42122

## გამჭვირვალობა აუცილებელია

ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, ითვალისწინებს რა ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებსა და მუშაობის ახლებური სტილის დამკვიდრებას, გამოდის ინიციატივით, საჯარო და გამჭვირვალე გახადოს თავისი საქმიანობა. ამასთან დაკავშირებით, დეპარტამენტი, სისტემატურად მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რაში იხარჯება თითოეული თეთრი, რას ხმარდება ის თანხა, რაც მას ბიუჯეტიდან ეძლევა.

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, თვალსაჩინოებისათვის, გთავაზობთ 2004 წლის განვლილი ათი თვის ფაქტიური ხარჯებისა და მის მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებით და საჯარიმო სანქციებით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების ნუსხას.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, რომ არ გვიანდებოდეს (ზოგიერთ შემთხვევაში ალმასრულებელთა ნაკლები აქტივობის გამო) საჯარიმო სანქციებით დარიცხული თანხების ჩამორიცხვა, მაშინ მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნებოდა.

| ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები | ათი თვის ფაქტიური ხარჯი | ექვსი (I-VI) თვის ფაქტიური ხარჯი | საშუალო ხარჯი თვეში | ოთხი (VII-X) თვის ფაქტიური ხარჯი | საშუალო ხარჯი თვეში | % (7/5) |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 251998-00 | 108819-00 | 18137-00 | 143179-00 | 35795-00 | 197,3 |
| მ.შ. ხელფასი | 126116-00 | 78953-00 | 13159-00 | 47163-00 | 11791-00 | 89,6 |
| პრემია | 125882-00 | 29866-00 | 4978-00 | 96016-00 | 24004-00 | 482,2 |
| დამქირავებლიდან ანარიცხები | 81466-00 | 36628-00 | 6105-00 | 44838-00 | 11209-00 | 183,6 |
| მივლინება | 8075-00 | 3721-00 | 620-00 | 4354-00 | 1088-00 | 175,5 |
| სხვა საქონელი და მომსახურება | 59738-00 | 23254-00 | 3876-00 | 36474-00 | 9118-00 | 235,2 |
| მ.შ. ოფისი | 41590-00 | 18082-00 | 3014-00 | 23508-00 | 5877-00 | 195,0 |
| კომუნალური მომსახურება | 13412-00 | 5172-00 | 862-00 | 8240-00 | 2060-00 | 239,0 |
| ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები | 3680-00 | | | 3680-00 | 920-00 | |
| სხვადასხვა ხარჯები | 1046-00 | | | 1046-00 | 262-00 | |
| კაპიტალური ხარჯები | 28078-00 | | | 28078-00 | 7020-00 | |
| სულ | 429345-00 | 172422-00 | 28737-00 | 256923-00 | 64231-00 | 223,5 |

| | ათი თვეში ჩარიცხულ თანხა | ექვს (I-VI) თვეში ჩარიცხული თანხა | საშუალო ჩარიცხვა თვეში | ოთხ (VII-X) თვეში ჩარიცხული თანხა | საშუალო ჩარიცხვა თვეში | % (7/5) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2004 წლის ჩარიცხვები ფასიანი მომსახურებიდან და საჯარიმო სანქციებიდან | 179767-00 | 107257-00 | 17876-00 | 72510-00 | 18127-00 | 101,4 |

## განცხადება დახურული ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ბაქრაძის ქN6 ტელ: 35-71-13; ფაქსი 35-71-28), აცხადებს დახურულ ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე

I. მიკროავტობუსის ტიპის ავტომობილი - ერთი ერთეული

II. მსუბუქი ავტომობილი - ხუთი ერთეული.

III. მაღალი გამავლობის ავტომობილი - ორი ერთეული.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ, აღნიშნული საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს 2004 წლის ბოლომდე, შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მოწოდების გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: **ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ს.ი. 0119 ბაქრაძის ქ.N6. მე-5 სართული .**

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა " სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " კანონის შესაბამისად, სატენდერო კომისიას საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარუდგინოს ქართულ ენაზე 2004 წლის 22 ნოემბრის 10 საათიდან 25 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ბაქრაძის ქN6 , მე-5 სართული.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

### იურიდიულ პირთათვის:

- ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული.

- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები, უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

-ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანქციის საქმის წარმოება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

### ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს მიეცემათ ქართულ ენაზე, ა.წ. 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრის 17საათამდე ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტში, თუ იგი შესულია სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებულ პრეტენდენტთა სიაში და გადახდილი აქვს სატენდერო მოსაკრებელი 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ა. წ. 6 დეკემბრის 12 საათზე.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები, შესაძლებელია, შეიცავდეს, როგორც შესყიდვის ყველა ობიექტს, ასევე ცალკეული შესყიდვის ობიექტს.

შეფასება მოხდება შესყიდვის ობიექტების მიხედვით. ტენდერში, შესაძლებელია, რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ: **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტს, ქ. თბილისი, ს.ი. 0119 ბაქრაძის ქN6 მე-5 სართული ტელ: 35-71-13; ფაქსი 35-71-28. დავით ჭავჭანიძე.**

## ფრთხილად, საშიშია!

ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით კი თბილისში, სამომხმარებლო ბაზარზე ნაირ-ნაირ ელექტროგამაცხელებელს შეხვდებით. ამ მხრივ, არც თუ მცირეა რაოდენობა ისეთი გამაცხელებელი ხელსაწყოებისა, როგორიცაა ე.წ. "გპი-ს ატმორები", რომლებიც, ძირითადად, მოსახლეობის მიერ სამზარეულოებსა და აბაზანებში გამოიყენება, როგორც გამდინარე წყლის ნაკადის გამაცხელებელი.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა საშიში გახდა ასეთი "ატმორები" ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, უნდა ვიცოდეთ, ტექნიკურად რას წარმოადგენს აღნიშნული ხელსაწყო.

ხელსაწყო, კონსტრუქციულად წარმოადგენს წყალგამაცხელებელ კამერას, რომელშიც მოთავსებულია "დიელექტრიკზე" დახვეული სპირალი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს დენგამტარ ნაწილს და უშუალო შეხებაშია წყალთან. კამერა სპირალით დამაგრებულია წყალგამტარ მილზე, ძირითადად ონკანებზე.

სპირალის ერთი პოლუსია ფაზა 220 ვოლტი, რომელიც ძაბვის ქსელიდან მოდის, ხოლო გამათანაბრებელი ნულოვანი სადენის ანუ "დამიწების" ფუნქციას ასრულებს წყლის გამტარი მეტალის მილი, რომლის საშუალებითაც იკვრება წრედი.

ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ წყალგამაცხელებელს არ მიეწოდება ქსელის მუშა ნული. არ გააჩნია არავითარი დამცავი მექანიზმი წყლის შეწყვეტის, კამერაში სპირალის გაწყვეტის, წყალგამტარ მილთან კონტაქტის გაწყვეტისა და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს.

ამასთან ერთად, იმ შემთხვევაში, როდესაც წყალგამტარი მილი მიწისაგან იზოლირებული რჩება, რასაც ხშირ შემთხვევაში მეტალის მილების პლასტმასის ელექტროგაუმტარი მილებით შეცვლა უწყობს ხელს, წყლის მომხმარებელი პირი ფაქტობრივად ძაბვის ქვეშ რჩება და ნულოვანი სადენის ანუ "დამიწების" ფუნქციას თვითონ შეასრულებს, რაც უეჭველად გამოიწვევს უბედურ შემთხვევას, უმეტესად სასიკვდილო შედეგით. ამიტომ მოსახლეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს აღნიშნულ გარემოებას და ყველა ღონე იხმაროს უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც საჭიროა, "ატმორის" შეძენისას, მაღაზიას მოსთხოვოს მისი ტექნიკური სრულყოფილების დამადასტურებელი სერტიფიკატი, ხოლო ნულოვანი ფაზის ჩართვა ანუ "დამიწების" უზრუნველყოფა, აუცილებლად გარანტირებულად უნდა განხორციელდეს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ და ამისათვის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გამოყენებული მეტალის წყალგამტარი მილი. ასევე, თავი უნდა შევიკავოთ იაფფასიანი, კუსტარულად დამზადებული "ატმორების" შეძენისაგან.

დღეს პრემიერაა



B2

გაკონტროლებული და აწონილი ბერძენ-რომაელები



B6

პესიმისტებს კონსერვატორიაში სიარულს ვურჩევდი



B8

რეპორტაჟი

# მთას მინდობილნი

## ცივილიზაცია და ტრადიციები ზღვის დონიდან 1470 მეტრზე

ვერა ნეფარიძე

*გველივით დაკლაკნილი სამხედრო გზა არაგვ-თერგის ვიწრო ხევებს მიუყვება. აქ ვერ დაგღლის მგზავრობა; აქ მუდმივი თანამგზავრი დაღარული კლდეები, არაგვის დუდუნი და აქაფებული თერგის გუგუნია. აქ ყველაფერი დიდებული და სუფთაა, ისევე როგორც გზაზე შემხვედრი მთიული მეცხვარეების გული. განწყობაც ამაღლებულია. ყველა სიმაღლიდან მოჩანს კოშკები და მათი ნანგრევები, როგორც თემური წყობილების ცოცხალი ძეგლები. ეს საქართველოს სამხედრო გზაა, რომლის ცენტრშიც საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინცია მთიულეთია გაშლილი.*



გოგიტა ბუხაიძისა და ვახო ბესელიას ფოტოები

ოქტომბრის ბოლოდან ამ გზით მთიული მეცხვარეები აღმოსავლეთისკენ მოერეკებიან ფარას; ზამთრისთვის გადადებულ მათ სარჩო-საბადებელს ყველაზე ბევრი - ორი ცხენი ჰყოფნის. შეიძლება არც ჰყოფნის, მაგრამ ასეთია მათი ხვედრი. მეცხვარის გარდა, აქა-იქ შეხვდებით ადგილობრივებს; მათ შორის თითო-ოროლა იქნება (ან, შესაძლოა, ვერც ნახოთ) ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი. მთიულების ტრადიციული ჩაცმულობა ფშაველებისას ჰგავს. ფერში მუქი ჭარბობს - შავი და მუქი ლურჯი. მოხუცები მხოლოდ შავებით იმოსებიან. ერთ დროს აქ ყველა მამაკაცს ფერადი და საგულემოქარგული პერანგი ეცვა. საგულეს დობილები უჭრელებდნენ ფერადძაფიანი ორნამენტებით; პერანგის საყელოს ღილებითაც უმკობდნენ. პერანგზე მამაკაცები ჟილეტებს იცვამდნენ, რამდენიმეს ერთადაც - ეს შეძლების ნიშანი იყო; ჟილეტზე შემოცმული ჰქონდათ ახალუხი, რომლის გულმკერდი შავი ძაფის ტეხილი ხაზებით იყო ნაქარგი; წელზე ქამარ-ხანჯლის, მუხლზე შეკრული პაჭიჭების, ქალამანის, თავზე დაყენებული ქოჩორისა და თუშური ნაბდის ქუდის გარეშე, ხომ გარეთ არავინ გამოდიოდა. მოხუც ქალებს კიდევ შემორჩენიათ ნაოჭიანი გრძელი კაბები, წელში გამოყვანილი ზედატანით. ტრადიციულად მთიულეთში ქალები იფარებდნენ წინსაფარს, რომლის არშია ფერადი ძაფებით იყო ნაქარგი; თავზე ხილაბანდსა და თავშალს იხვევდნენ; ფეხზე წინდებსა და წულებს იცვამდნენ; გულმკერდს მძივით იმკობდნენ, თითებს - ბეჭდებით. ტრადიციული ხელსაქმე - ჭრელწინდებისა და საფუხრების (ხელთათმანი) ქსოვა, ახლა მთიულეთში თითქმის ყველამ იცის.

### დროში ნაწრთობი ტრადიციები

დრომ მთიულეთშიც ბევრი რამ შეცვალა. მთიულური ტრადიციული სახლების რაოდენობა შემცირდა, ჩაცმულობით თითქმის არაფრით განსხვავდებიან საქართველოს რომელიმე კუთხის მცხოვრებლებისგან; მგზავრისთვის აქაურობა საქართველოს ერთი რიგითი მხარეა, თავისი გამორჩეული ბუნებით, ყოფითი პრობლემებით, ყოველდღიურობით, მაგრამ ადგილობრივებთან ხანმოკლე კონტაქტიც საკმარისია, რომ დაინახო, რამდენადაა მათში შემორჩენილი მთიელებისთვის დამახასიათებელი ტრადიციებისადმი ერთგულება; აქ წარმართული წეს-ჩვეულებანი დრომ შეცვალა, შეარბილა, მართლმადიდებლურ-ქრისტიანულს კი, კომუნისტურმა ეპოქამ დაასვა დაღი.

მლეთაში (სამხედრო გზაზე მდებარე სოფელი ზღვის დონიდან 1470 მეტრზეა და 30 კომლამდე მოსახლე ჰყავს), რასაკვირველია, აღარ ცხოვრობენ თემური წყობილებით; აქ ყველა ოჯახს საკუთარი სახლი აქვს, მაგრამ დღესაც დიდი მონდომებით აღნიშნავენ სათემო ხატობას, სადაც ბურდულები კვლავინდებურად პირველობენ. ამ გვარის უპირატესობას მლეთაში აქვს ისტორია, რაც ბურდულებს ავალდებულებს დაიცვას გარკვეული ტრადიციული წეს-ჩვეულებები. მათი შესრულება მხოლოდ ხანშიშესულებისთვის არ არის უზენაესი - ტრადიციას ახალგაზრდებიც ისევე მისდევენ, როგორც უფროსები.

### შეხვედრა დეკანოზთან

რადგანაც სოფელი მლეთა გზაზეა, ხოლო ლომისის წმინდა გიორგის სალოცავის სახელი საქართველოს ყველა კუთხეშია ცნობილი, ქვემო მლეთაში მდებარე ეკლესიას (რომელიც ასევე ლომისის წმინდა გიორგის სახელს ატარებს) ბევრი მნახველი ჰყავს. ეკლესია მეცხრამეტე საუკუნისაა; მისი კარი კი ყოველთვის ღია როდია, მით უმეტეს, ბოლო დროს. "გზა როა დაკეტილი რუსეთის ტამოჟნიაზე, აღარ დადიან. აქაც აღარ მოდის ხალხი და აბა, ახლა მარტო დაჯე აგე - მოწყენაა", - ეს დეკანოზი ვალიკო ბურდულია, რომელსაც ეკლესიაში შესვლის მსურველი ნებისმიერ დროს მიაკითხავს სახლში (ეკლესიიდან არაა შორს), მასპინძელიც დაუზარებლად გაჰყვება, გაულებს ქვემო ლომისას კარს და თუ სტუმარს სურვილი ექნება, მრავალ საინტერესო ამბავსაც უამბობს.

დეკანოზს მლეთაში რიგით მცხოვრებს, სოფლის რჩეულს (აუცილებლად ბურდულს) უწოდებენ. რატომ ჰქვია მაინცადამაინც დეკანოზი, ეს ვალიკო ბურდულმა არ იცის: "დეკანოზი იმიტომ ჰქვია, აი, ხატის ხელმომკიდე კაცი არი, მორწმუნე კაცი არი და აი, როგორც... ყველას უფროსი ხომ უნდა ჰყავნდეს, სოფელსაცა. მე ასე ვიცი, რომა ეკლესიაში მთავარი, რა. როგორც ეკლესიაში მღვდლები არიან. ყველა ეკლესიას ჰყავს დეკანოზი".

იქ, სადაც ქვემო ლომისაა, ბურდულების ადგილის დედას ეძახიან. ადგილის დედას მთიულეთში დიდ თაყვანს სცემენ და ამ ხეობაშიც მრავალი ნიშია აგებული. ადგილის დედა აქ იმ ადგილის მფარველად ითვლება, რომელზეც ეს სოფელია გაშენებული. ქვემო მლეთაში ადგილის დედის პატარა ბაზილიკაა, რომლის გვერდით ცაცხვის წმინდა ხე დგას ირმის რქებით შემკული. ეკლესია ცარიელი იყო ხოლმე, ღვთისმშობლის ხატი ახლახანს, ვინმე თბილისელ ქალბატონს შეუწირავს. ბურდულები აქ მარიამობას იკრიბებიან და გვარის ხარჯით საღმრთოს იხდიან. ამ დღეს მათი დეკანოზი ადგილის დედას ბურდულების გამრავლება-კარგად ყოფნას შესთხოვს.

დეკანოზი აქაურობის დროებითი ბატონ-პატრონია; მას აბარია ეკლესიაში დაცული თემის სიმდიდრე: საკურთხეველში დაბრძანებული ხატები, ლომისას ბავრაყი (დროშა) და ალამი. ბავრაყი წითელი ნაჭრებითაა შემოსილი და ზედ ზანზალაკი ჰკიდია. ალამი კი სამფეროვანია: წითელი (აბრეშუმი), თეთრი და ლურჯი (სატინი). ალამს წვერზე შუბიანი თითბრის ბურთი უკეთია წარწერით. "ოთხვარსკვლავიანიც მამიტანეს, მაგრამ ეს მამაპაპურია", - დეკანოზი დროშას გვაჩვენებს, მსურველებს არც საკურთხეველში შესვლაზე ეუბნება უარს (მხოლოდ, ქალებისთვის ეს აკრძალულია) და დეკანოზად არჩევას გვიამბობს: "მე ადრე ათი წელიწადი სანთელს ვანთებდი და ყურს ვუტრუსავდი ცხვარს დღეობებში. მამაჩემიც მორწმუნე კაცი იყო, დეკანოზი კაცი იყო. ხანშიშესული მეც ვიყავი, მაგრამ სოფელმა ამირჩია. სოფელი ირჩევს ისეთ კაცს, რომელსაც ხატი და ხალხი უყვარს, არაა ქურდი ან რაღაც ასეთი. სუფთა კაცი უნდა იყოს. მე ვუთხარი, მე ვერ შავძლებ. არაო, მიეჩვევიო. მე ჩემი საქმე მქონდა - მე ყურს ვუტრუსავდი და ვლოცავდი ხალხს. აი, მასეთ ამირჩიეს. ოთხი წელია მას შემდეგ. მე რომ აღარ შემეძლება, გამოვაცხადებ სუფრაზე, რომ მე აღარ შემიძლიან და აირჩიეთ ახალი; მახსირობა აღარ გვრჩება, მუხლიც აღარა გვაქ, წესიერად აღარ ილოცება და ის ახლა უნდა გადადგეს და ახალი დადგეს".

ლომისას 30-იანი წლების შემდეგ მღვდელი არ ჰყოლია. მანამდე მლეთაში ბორჯომელი მღვდელი ცხოვრობდა თურმე, ბესარიონ მალანია, რომელსაც სტალინის დროს აუკრძალეს წირვა-ლოცვა. ვალიკო ბურდული მაშინ ათი წლის იქნებოდა, მაგრამ ამ ამბიდან გარკვეული ნაწილი ასე თუ ისე, ახსოვს: "წაიყვანეს ჩვენი მღვდელი. რო წაიყვანეს, უთხრეს რო ისტორიის მასწავლებლად უნდა იყო. არაო, მე ჩემი სარწმუნოება მაქაო. არაო და ადგეს და დასვეს ისეთ ადგილზე, რო წვეთავდა თავზე, მოპარსული თავი ჰქონდა და აწვეთავდა ცივი წყალი. ამით არ გატყდა, არა. არა და ყინული დაადვეს თავზე მერე და გაგიჟდა. მაიყვანეს, მერე თავის ცოლს ცულით დასდევდა. მას შემდეგ ეკლესიას მღვდელი არა ჰყავ".

საეკლესიო მართვა-გამგეობის მხრივ მთიულეთი წილკნის ეპარქიაში შედიოდა. "ეპისკოპოსი მუხრანისა, ორისავე არაგვისა და ბაზალეთისა", - ასე მოიხსენიებდნენ წილკნელ ეპისკოპოსს. თუმცა, დღეს ასე აღარაა. როდესაც დეკანოზს ვკითხეთ, რომელ ეპარქიაში შედიოდა ეკლესია, ჯერ შეკითხვა ვერ გაიგო; შემდეგ კი გვიპასუხა: ილია რო არი მთავარი, ის არი ჩვენი უფროსიო. მაგრამ, არსებობს ერთი დღესასწაული, როდესაც მთიულები სხვადასხვა კუთხიდან მისულ სასულიერო პირებთან ერთად ზეიმობენ. მღვდლები წირავენ, დეკანოზი და მისი მომხმარეები კი ტრადიციულ რიტუალებს მართავენ. ეს დღესასწაული ლომისობაა.

### ლომისას ჯაჭვი ჰკიდია...

ლომისობა სათემო ხატობაა. თუმცა, ბურდულები მას თავის საგვარეულო ხატად მიიჩნევენ და ხატობაშიც მათი გვარის დეკანოზები პირველობენ. ლომისობის ხატობა ნაადგომევის მეშვიდე კვირაზეა. ხატობაზე მლოცველები აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან იკრიბებიან. ლომისობას დეკანოზები ხატებს გამოაბრძანებენ და "ფერხისის სინღერით" ლომისას წვერის ტაძარში ადიან. ეკლესია ქვიტკირით ნაგებია, უგუმბათო; ტაძარი უორნამენტო და უწარწეროა. მისი იატაკიდან წყალი ჟონავს (აქაურები როგორც ამბობენ, ლომისას ცრემლიაო) და შენობაც დანესტიანებულია. ტაძრის გალავანში ნანგრევებია: სენაკების, საბეროსი, ბეღლების, სამრეკლოსი, ბინებისა და სხვა. ტაძარში ინახება საყელურიანი რკინის დიდი ჯაჭვი (სიგრძით - 2 მეტრი და 80 სმ. შედგება 20 რგოლისგან). ვისაც აღთქმა აქვს დადებული, ამ ჯაჭვს კისერზე დაიდებს და ტაძარს ხოხვით სამჯერ შემოატარებს. ხალხური გადმოცემით, ეს ჯაჭვი ბარიდან კისრით ვიღაც დიდად ცოდვილ დადიანის ქალს ამოუტანია. ამ ჯაჭვზე დეკანოზები და მეხატენი ფერხისას შესრულების დროს მღერიან:

*ლომისას ჯაჭვი ჰკიდია*
*არავინ იცის ვისია,*
*მოვიდა ქალმა შესტირა*
*ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია,*
*ლაშქრიდან გამოტანილი*
*შავგვრემანაის ყმისია,*
*დეეხსენ ჟანგმა შესჭამოს*
*ლომისის საკადრისია ...*

ხატობას კიდევ ერთი რიტუალი ახლავს: ლომისას კარებთან დეკანოზი ავადმყოფებს ხატით ლახავს. ავადმყოფი პირქვე დაწვება, დეკანოზი კი, მას ლომისას ხატს წელზე, თავზე და ბეჭებზე დააჭერს და გადაახტება.

### გადმოცემა ლომისას ხატის შესახებ

მთიულეთში ლომისა ძალიან რომ უყვართ, ამის შემჩნევა შეუძლებელია. მით უმეტეს, თუკი შეიტყობენ, რომ მგზავრს წვერზე (ასე ეძახიან მაღალ ლომისას) ასვლა აქვს გადაწყვეტილი, დაარიგებენ და ისე უამბობენ ლომა ხარის ამბავს, თითქოს საკუთარი თვალით ჰქონდეთ ყველაფერი ნანახი.

როდესაც საქართველოს ხორასნელები შემოსევიან, მათ ტყვედ შვიდი ათასი ქართველი წაუსხამთ (ხვარასნელები ან ჩვენს მატიანეში ცნობილი ხვარაზმელნი, სულთან ჯალ ალ ედინის სარდლობით ორჯერ შემოესივნენ საქართველოს: 1226 და 1229 წლებში). ამ ტყვეებს მთიულეთის მთავარი ხატი გზოვანის წმიდა გიორგი თან წაუსვენებიათ. მას შემდეგ ხორასნელების მიწა შვიდი წლის განმავლობაში ნაყოფს აღარ იძლეოდა. ადამიანიცა და საქონელიც გაბერწებულა. ამ მიზეზის გასაგებად თავზარდაცემულ სულთანს მკითხავები მიუხმია, რომელთაც მოუხსენებიათ, რომ უბედურების მიზეზი გურჯისტანის ხატიაო. სულთანს ბრძანება გაუცია, ხატი ანთებულ საკირეში ჩაეგდოთ. ოდნავ შეტრუსული ხატი საკირიდან ამოვარდნილა და იქვე მოვლენილი თეთრი ხარის რქაზე დაბრძანებულა. მაგრამ არც ხარი და არც ხატი ადგილიდან არ დაძრულან, ვიდრე სულთანმა 7 ათასი ქართველი ტყვე არ გაათავისუფლა. ბოლოს მაინც ერთი კოჭლი ტყვე დედაკაცი დაჰკლებიათ, რომელიც ერთ ხორასნელს მოახლედ წაეყვანა. სულთანი ხალხს შეკითხვია, ვისა გყავს კოჭლი გურჯის ქალიო? ეს ქალიც ჩქარა მოუძებნიათ და ხატიანი ხარი 7 ათასი ტყვით საქართველოსკენ დაძრულა (თქმულება გურიაში, სოფელ ძამითის წმიდა გიორგის ხატის კუბოს წარწერაზეა განმეორებული). ხარი მთის წვერზე ასულა და გამსკდარა (ასე ამბობენ მთაში, როდესაც საქონელს გული გაუსკდება), ხატიც აქ დაფრენილა. ამ წვერიდან არაგვამდე ხალხი გაბმულა და ლომისას ტაძრის აგება დაუწყია. თვით სახელ ლომისას ხალხური თქმულება ამავე ხარის სახელს - ლომას უკავშირებს. აღსანიშნავია, რომ ლომისას ეს ძველი და შეტრუსული ხატი მთიულეთში არ მოიპოვება. შიშიანობის დროს დეკანოზებს გადაუმალავთ და სამაგიეროდ მისი მსგავსი ვერცხლის ხატი მოუჭედავთ, ძველი ხატი კი ველარ უპოვიათ. დროთა განმავლობაში ლომისას სალოცავს მლოცველები არ მოჰკლებია. ხატობაზე მლეთაში ასობით საქონელი აჰყავთ. ის, ვინც წვერზე ვერ ახერხებს ასვლას, ქვემო მლეთის ეკლესიაში წირავს. ტრადიცია ზღვის დონიდან 1470 მეტრზე გრძელდება.



ბურდულების ადგილის დედა



დეკანოზი ვალიკო ბურდული საკურთხეველში



ლომისობაზე ეს ზანზალაკები ქვემო მლეთიდან მთის წვერზე აქვთ



# აფიშა

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პრემიერა
"წამი გარდასახვამდე"
Green
"სიზმრები იაპონიაზე"
(სამი ერთმოქმედებიანი ბალეტი)
დას: 18:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
დამდგმელი რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ნოდარ დუმბაძე
"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გ. თავაძე
დას: 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
"ცხოვრება მშვენიერია"
(ვთამაშობთ ჩეხოვს)
სასცენო კომპოზიციის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 17:00; 19:30; 22:00 სთ.

"ქალი კატა"
დას: 13:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ყალბი ამბები"
(გამოფენა ქართულ-შვედური კულტურის ფესტივალის ფარგლებში)

**გოეთეს ინსტიტუტი**
"ცეკვის თეატრი დღეს - ცეკვის 30-წლიანი ისტორია გერმანიაში".

**TMS**
ფოტოგამოფენა "როგორ ვიცხოვროთ ერთად"

**ბაია გალერეა**
ნანა & ლალი
ნანა ჭურღულიას და ლალი ლომთაძის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**ვერნისაჟი**
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
დავით ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა
(ფერწერა, ქართული გობელენი, ბატიკა)

**ჰობი**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

## ცირკი

რუსეთის საცირკო პროგრამა. ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 15:00 სთ.

## კლუბები

**"აჭარა მიუზიქ ჰოლი"**
დი-ჯეი LINUS (მიუნხენიდან)
ბილეთის ფასი: 25 ლარი;
კლუბის რეგისტრირებული სტუმრებისთვის - 15 ლარი.
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

**ნოა ნოა**
კონცერტი ბასტიან ბიოხტერთან ერთად
დას: 20:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# დღეს პრემიერაა

სოფო კილასონია

რამდენიმეთვიანი მზადებისა და მუშაობის შემდეგ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი მაყურებლის წინაშე წარდგება. პრემიერასა და საბალეტო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ნინო ანანიაშვილმა და მის მიერ ჩამოყვანილმა რეპეტიტორებმა - ტატიანა რასტორგუევამ და ალექსეი ფადეიჩევმა ახალი სპექტაკლისა და მომავალი გეგმების შესახებ ისაუბრეს.

დღეს ოპერისა და ბალეტის თეატრში სამი ერთმოქმედებიანი თანამედროვე ბალეტის პრემიერა გაიმართება. პირველი მათგანი "წამი გარდასახვამდე" ამერიკელი ქორეოგრაფის - რეი მაკენტაიერის დადგმაა, მუსიკა აფრიკული ფოლკლორის თემაზეა, მეორე სპექტაკლი, - რომანტიული ბალეტი GREEN - ავსტრალიელმა ქორეოგრაფმა სტენტონ ველშმა თავის დროზე სპეციალურად ნინო ანანიაშვილისთვის დადგა. ანტონიო ვივალდის არაჩვეულებრივ სავიოლინო კონცერტს ჩვენი თეატრის ორკესტრი შეასრულებს, რომელსაც თამაზ ჯაფარიძე უდირიჟორებს. მესამე დადგმა თბილისელი ბალეტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი. ეს არის "სიზმრები იაპონიაზე",



*ანანიაშვილი, რასტორგუევა და ფადეიჩევი*

რომელიც ნინო ანანიაშვილმა და დიდი თეატრის სხვა სოლისტებმა, რამდენიმე წლის წინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შეასრულეს. "სიზმრები იაპონიაზე" ალექსანდრ რატმანსკის, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რუსი ქორეოგრაფის დადგმაა, მისი ნამუშევრებიდან თბილისელი მაყურებელი კიდევ ერთს იცნობს, ესაა "მანიერიზმის მშვენიერებანი", რომელიც ასევე სპეციალურად ნინო ანანიაშვილისთვის დაიდგა. იაპონური ფანტაზიების ერთობ ტემპერამენტულ მუსიკას მერაბ სანოძე და მისი ჯგუფი შეასრულებენ.

"ეს სამი დადგმა ჩვენ საკმაოდ მოკლე ხანში მოვამზადეთ და დასიც საკმაოდ მაღალ დონეზე ასრულებს, მსურდა მაყურებლისთვის ფართოდ მეჩვენებინა ჩვენი დასი, ამ ბალეტებში მსახიობს საშუალება აქვს გამოხატოს თავისი ბუნება, ხასიათი. სპექტაკლში ცეკვავს არა ორი წამყვანი მოცეკვავე, არამედ ყველა... "სიზმრები იაპონიაზე" - აქ შვიდივე სოლისტია, ყველას თავისი მოვალეობა აქვს, ყველა საკუთარ პარტიას ასრულებს," - აცხადებს ნინო ანანიაშვილი.

ამ დადგმებში, გამოცდილ მსახიობებთან ერთად მრავალი დამწყები მოცეკვავეც მონაწილეობს და მეტიც, საკმაოდ სერიოზულ როლებსაც ასრულებენ. როგორც თავად დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი აღნიშნავს, ეს მათთვის დიდი პასუხისმგებლობაცაა და დიდი პრაქტიკაც. ალექსეი ფადეიჩევი და ტატიანა რასტორგუევა (დიდი თეატრის ყოფილი წამყვანი მსახიობები), ისინი, ვინც ნინო ანანიაშვილის თხოვნით, სამივე ბალეტის ჩვენთან დადგმა განახორციელეს და რეპეტიტორობა გაუწიეს ქართველ მსახიობებს, ამ უკანასკნელთა მუშაობით მეტად კმაყოფილნი არიან და სამომავლოდ მათთან მუშაობას, როგორც ჩანს, დიდი სიამოვნებით აპირებენ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, სულ მალე დასი პეტრე ჩაიკოვსკის "გედების ტბას" და ლუდვიგ მინკუსის "დონ კიხოტს" წარმოადგენს. მანამდე კი 6, 7, 13 და 20 ნოემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი ახალი საბალეტო სპექტაკლის ნახვის მსურველებს ელის.

# გაცოცხლებული სარეცხი

## მეორე გრანპრი ბაქოდან თბილისში

ნანა ბასილაშვილი

*ერთი წლის წინ ჩვენი გაზეთი ქართველი რეჟისორის გიორგი მასხარაშვილის წარმატებას ეხმაურებოდა. გიორგი ბაქოს საერთაშორისო კინოფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა. წელს, ბაქოს რიგით მეოთხე კინოფესტივალზე, ახალგაზრდა ქართველ კინოხელოვანებზე ორი პრიზი და გრანპრი განაწილდა.*

ამ ფილმს, ალბათ, თავისუფლად შეიძლებოდა ყველაზე მცირებიუჯეტიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის მიეღო რაიმე განსაკუთრებული პრიზი. თქვენ წარმოიდგინეთ, ბაქოს საერთაშორისო კინოფესტივალზე მრავალ, სოლიდურ ბიუჯეტიან, წესისამებრ, რიგიან ფირზე გადაღებულ ფილმებს შორის, გრანპრის მფლობელი სულ რაღაც 50 ლარად, ციფრული კამერით გადაღებული, ყველაზე ახალგაზრდა რეჟისორისა და ოპერატორის, ყველაზე მცირებიუჯეტიანი, ყველაზე მოკლე - ცხრაწუთიანი ფილმი ხდება. მეზობელი ქვეყნის კინოფესტივალზე დაწესებული გრანპრი, ამჯერად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა გიორგი ჩალაურმა მოიპოვა.

"მოკლემეტრაჟიანი ფილმები კი იყო, მაგრამ ასეთი მცირებიუჯეტიანი ფილმი არც ერთი არ ყოფილა", - ალბათ, ოდესმე, როდესაც გიორგი ცნობილი რეჟისორი გახდება, თავის პირველ გამარჯვებას ერთ-ერთ კურიოზად გაიხსენებს, ახლაც სიცილს ვერ იკავებს, როცა ფილმზე მუშაობის ისტორიას ჰყვება.

35 წლამდე ახალგაზრდა რეჟისორებისათვის გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალში, სადაც პრიზები საუკეთესო კლიპების, ვიდეოარტების, დოკუმენტური და მხატვრული ფილმებისათვის იყო დაწესებული, ევროპის, ირანის, თურქეთისა



*გიორგი ჩალაური (მარჯვნივ) და ოპერატორი თომა ბეგიაშვილი*

და რუსეთის ქვეყნები მონაწილეობდნენ. საქართველომ ამ ფესტივალში სამი პრიზი აიღო; საუკეთესო კლიპისთვის - რეჟისორი გიორგი ლიფონავა დაჯილდოვდა, საუკეთესო მხატვრულ ფილმად - ნონა გიუნაშვილის ფილმი "სიყვარული და კარტოფილი" აღიარეს, ხოლო ფესტივალის გრანპრი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი ჩალაურის "სარეცხს" მიანიჭეს. საუკეთესო რეჟისურისა და სცენარისთვის პრიზები რუსმა კინოხელოვანებმა დაისაკუთრეს, საუკეთესო ოპერატორობისათვის კი ირანელი ოპერატორი დაჯილდოვდა. მოკლედ, ძირთადი პრიზები ქართველმა და რუსმა რეჟისორებმა გაინაწილეს.

ამ ფილმის ნახვისას, შესაძლოა, ვინმემ საკუთარი ეზო, ან უფრო მეტიც, თოკზე გაფენილი საკუთარი ტანისამოსი აღმოაჩინოს. სარეჟისორო და საოპერატორო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები, ორი კვირის განმავლობაში, თავიანთი ციფრული კამერით ძველ თბილისში დადიოდნენ და სადებიუტო ფილმისთვის სხვადასხვა ეზოებს იღებდნენ. "სოლოლაკის ეზოებში გაფენილი სარეცხი გავაცოცხლეთ, პერსონაჟებად ვაქციეთ და როგორც მარიონეტები, თოკების მოძრაობის საშუალებით ვათამაშეთ. სარეცხი საზოგადოების სხვადასხვა ფენების კატეგორიებად დავახარისხეთ: "მოკრძალებული" და "შეძლებული" შარვლები და ა.შ. საბოლოოდ, პატარ-პატარა ჩანახატები გადავაბით ერთმანეთს. ფილმი სულ ცხრა წუთი გრძელდება. ძირითადად ჩვენ ორნი ვმუშაობდით, იდეა, გადაღება, გათამაშება, მონტაჟი და კიდევ ორი ჩვენი უნივერსიტეტელი მეგობარი გვეხმარებოდა", - ფილმის გადაღების ისტორიას გიორგი ჩალაური და თომა ბეგიაშვილი ახლა უკვე სიცილით იხსენებენ.

მუშაობის პროცესი კი არც ისე ხალისიანი უნდა ყოფილიყო. ორ კვირაში გამზადებული მასალის მონტაჟი, უსახსრობის გამო, თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა.

სამაგიეროდ, სტუდენტებს შრომა დაუფასდათ. ჯერ იყო და გაზაფხულზე სამშობლოში გამართულ ერთ-ერთ კინოფესტივალ "სესილიზე" ამ ფილმს პრიზი საუკეთესო დებიუტისათვის მიანიჭეს. შემდეგ სრულიად შემთხვევით, "კინოს სახლში" ფილმის ჩვენებაზე მისულმა გიორგიმ ბაქოს კინოფესტივალის შესახებ განცხადება წაიკითხა. მასალის გაგზავნის შემდეგ, ასევე მოულოდნელად, მისთვის ცნობილი ხდება, რომ შესარჩევი ტური წარმატებით გაიარა და ძირითად პროგრამაშიც მოხვდა. ფესტივალზე გამგზავრებაში კი ახალგაზრდა რეჟისორს უნივერსიტეტი დაეხმარა.

"ყველაზე მთავარი ჩემთვის ის იყო, რომ ფილმის დროს დარბაზში ძალიან კარგი რეაქცია იყო. ამას გარდა, ეს პრიზი სამომავლოდ ძალიან დაგვეხმარება, იგი ჩვენთვის უფრო დახმარების იმედია. ბევრი დაპირებები მივიღეთ, თუ ეს ყველაფერი გამართლდა... ძალიან ძნელია სტუდენტისთვის და, ალბათ, არა მხოლოდ სტუდენტისთვის ფილმის გადაღება", - ამბობს გიორგი ჩალაური. ამ წარმატების შემდეგ უნივერსიტეტში კვლავ დახმარებას დაჰპირდნენ, - "ახლა ძალიან გვეხმარებიან უნივერსიტეტში, ლაპარაკია, რომ მომავალ ფილმს უკვე ისინი დააფინანსებენ. ამჯერად უფრო სერიოზული ფილმის გადაღებას ვაპირებთ ქალაქგარეთ, მსახიობებთან ერთად და ა.შ. სცენარი ჩვენს დრამატურგს კოტე ჯანდიერს უკვე გავაცანით", - ახალგაზრდა ხელოვანები მეორე ფილმის გადაღებისთვის მზად არიან, ახლა ჯერი უნივერსიტეტის დაპირების შესრულებაზეა.

როგორც გითხარით, ფილმი "სარეცხი", სულ რაღაც, ცხრა წუთი გრძელდება. ამდენად, მას თბილისის რომელიმე კინოდარბაზში ჩვენების პერსპექტივა არ აქვს. თუკი რომელიმე ტელევიზია მის ჩვენებას მოისურვებს, რეჟისორისაგან თანხმობას აუცილებლად მიიღებს.

# სამეცნიერო სესიის დღეები

ინგა ფორჩხუა

საქართველოში დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია 1925 წლიდან იმართება. მისი დამფუძნებლები იყვნენ დიდი ქართველი ენათმეცნიერები - აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი და სხვები. ამჯერად, 2004 წლის 1-3 ნოემბერს 24-ე სამეცნიერო კონფერენციას ქუთაისი მასპინძლობდა. სესიამ ნაყოფიერად დაასრულა სამდღიანი მიმოხილვითი ლექცია-სემინარი. სესია გახსნა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა. სესიას ესწრებოდნენ ქუთაისის ვიცე-მერი ზურაბ დათუაშვილი, აგრეთვე უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები, სტუდენტები და სხვა ოფიციალური პირები.

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა 30-მდე მოხსენება (მათ შორის ორი ისეთი, რომლებიც სამუშაო გეგმაში არ იყო ასახული). სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რვა უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ცხინვალიდან, გორიდან, ზუგდიდიდან. მოხსენებებში ქართულ-ქართველური დიალექტოლოგიის მრავალ საყურადღებო საკითხთან ერთად, განიხილეს ქართული ენის სტრუქტურის, ქართველურ ენაკილოთა ურთიერთმიმართების საკითხები; კერძოდ, დიალექტთა ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებანი, ტოპონომიკა, დიალექტიზმები, მწერლის ენა, ანდაზების ენა, ეტიმოლოგიური ძიებანი, ბგერათშესიტყვებანი, ენათა და დიალექტთა ფუნქციონირების საკითხები. მოხსენებებთან დაკავშირებით გაიმართა საინტერესო მსჯელობა.



*კონფერენციის დარბაზი*

სესიის მონაწილენი აღნიშნავდნენ დიალექტოლოგიური მუშაობის (განსაკუთრებით საველე მუშაობის) უფრო ინტენსიურად წარმართვის აუცილებლობას იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული საფრთხე ეროვნულ ცნობიერებასთან ერთად ქართულ-ქართველურ ენა-დიალექტებასაც ექმნებათ. ამ ვითარებაში დიალექტური მასალის ფიქსირება და პუბლიკაცია მეტად საშურია, რათა არ დაიკარგოს ის ენობრივი საგანძური, რაც დიალექტებშია დაცული (განსაკუთრებით - ლექსიკა და ფრაზეოლოგია). ამ მხრივ მეცნიერთა ძალისხმევაც უნდა გაძლიერდეს და ხელისუფლების მხარდაჭერაც (კერძოდ, იგულისხმება ექსპედიციების, პუბლიკაციებისა და სამეცნიერო სესიების დაფინანსება).

24-ე სამეცნიერო სესია დააფინანსა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. რომ არა უნივერსიტეტელთა თანადგომა, შესაძლოა, კონფერენცია ჩაშლილიყო.

სესიის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ კონფერენციამ მაღალ სამეცნიერო-საორგანიზაციო დონეზე ჩაიარა. დაბოლოს, კონფერენციის დახურვის შემდეგ, მოვინახულეთ ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები: ბაგრატი, გელათი, მოწამეთა. ქუთათურებმა ჩვეული სტუმართმოყვარეობა არ დაიშურეს კოლეგებისადმი, თუ ჩასული სტუმრებისადმი.

# ყალბი ამბები

## ხელოვნება, რომელიც განმარტებებს ითხოვს

ვერა ნეფარიძე

*თბილისში ქართულ-შვედური კულტურის დღეები დაიწყო. გუშინ "ქარვასლას" სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ ენახათ, რა ხდება თანამედროვე ხელოვნების სივრცეში, როგორც შვედეთში, ასევე - ჩვენთან. "ყალბი ამბები", რომლის კურატორებიც ვატო წერეთელი და მარიანე ზამიჩნიკი არიან, ხელოვანებს არ ზღუდავს - ის აერთიანებს თანამედროვე არტისტების მოღვაწეობის ყველა მიმართულებას: ვიდეოს, ფოტოს, ძერწვას, კონსტრუქციებს...*



გამოფენა შვედურ-ქართული ერთობლივი პროექტის - Absolute Mythologies/EKAE-ს ერთ-ერთი ნაწილია. გამოფენის ორგანიზატორი "მედია არტ ფერმა", ხოლო ფინანსური მხარდამჭერი - შვედური ინსტიტუტია. "ყალბი ამბები" ხუთმა შვედმა (ლეიფ ელგრენი, კარლ მიხაელ ვონ ჰაუსვოლფი, კარლ ჰოლმკვისტი, კარლ ლარსონი, ლინა სელანდერი) და სამმა ქართველმა ხელოვანმა (ლევან ნუცუბიძე, კოკა რამიშვილი, ნიკოლაი ლიზონოვი) შეთხზა.

"პირველ რიგში, გავიღვიძე რაღაც უსიამოვნოსგან. მერე შემაწუხა თითზე ფრჩხილთან პატარაზე დამსკდარმა კანმა და ავდექი. ბალიშის ქვეშ ხელის შეყოფაში მიშლიდა მაინც. შევედი ტუალეტში. მერე აბაზანაში. მერე გადავწყვიტე წვერი გამეპარსა ხვალ. მერე მეთქი ვისაუზმებ, მაგრამ რო დავფიქრდი - no-no... в пище потребности нет...", - მერე გაურია თაფლი წყალში და დალია, მერე ვიდრე სიგარეტს მოუკიდა, "მისდ ქოლს" უპასუხა, ერთიორი საქმეც მოითავა და დაწერა ტექსტი, რომელიც გამოფენაზე მის ნამუშევარს სჭირდებოდა. ტექსტი "ქარვასლას" დარბაზის (კიბის პირდაპირ) შესასვლელში მოთავსებულ ხითა და ალუმინით გაკეთებულ კონსტრუქციას, სახელწოდებით - Lazy Jesus as a personal condition ახლავს. დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ ტექსტი ნამუშევარს არ განმარტავს და ძალიანაც კარგი, ეს ხომ ვიზუალური ხელოვნებაა.

შემდეგია კოკა რამიშვილის ვიდეო, რომლისთვისაც დარბაზში საგანგებო ყუთია დადგმული. ეკრანზე გრაფიკული ნახატები (პორტრეტები, ფიგურები) უსწრაფესად იცვლება. ყუთიდან გამოსული კედელზე გაკრულ ლეიფ ელგრენის ფოტოსერიას გადააწყდები. სერიაში - "მამაჩემი რომ ვყოფილიყავი", ალბეჭდილი ავეჯი იმ თეთრი ინეტერიერის ნაწილია თურმე, რომელიც ავტორის ზრდა-განვითარების მნიშვნელოვან, სცენოგრაფიულ საფუძველს წარმოადგენს. იგივე ავტორის შემდეგი სერიის საწყისი კი რანკ კაპრას 1937 წელს გადაღებული ფილმი - Lost Horizon-ია. ამ ფილმში წამიერად გამოყენებული კადრი, შვედი ხელოვანის ნამუშევარში გადიდებული, დანაწევრებული და სადღაც 40 წუთამდეა გაწელილი. ავტორის ჩანაფიქრია, ფილმთან რაც შეიძლება მეტხანს დარჩეს მნახველი, გუშინ კი, მგონი, ყველაზე მეტად ამ ყუთს გაურბოდა დამთვალიერებელი.

ამავე დარბაზშია ნიკოლაი ლიზონოვის ფსევდონიმს ამოფარებული ახალგაზრდა თბილისელი მხატვრის მცირე ზომის ფიგურები. ირონია სექსზე, გამოყენებული ერთჯერადი ჩაი, ბაყაყი... "არ მიყვარს ბავშვები... აი, რო ვიცოდე რო ბულტერიერი ლეკვი გამიჩნდება, გავაჩენდი, მოვუვლიდი და ყველაფერი. სულ სხვა რამეა, როცა შენი შვილი როტვეილერის ლეკვია", - და ა.შ. ტექსტუალური განმარტების გარეშე მხატვრის არც ეს ნამუშევარია.

დანარჩენ დარბაზებშიც ხდება რაღაც: გუდრონითა და საპნით ნაშენები კონსტრუქციები, მთელ კედელზე აკრული შავ-თეთრი ქაღალდი, ნაძვის ტოტები, ვიდეოფილმები. ყოველი მათგანის ირგვლივ დაყრილი ფურცლები (განმარტებებით), ბუკლეტები (კარგად დაბეჭდილი), სადაც კურტ კობეინის დღიურებიდან, პოლ თეკის წიგნიდან, ჯეკ სმითის თხზულებებიდან, სტივენ ჰ. კალინეინის წიგნიდანაა ნაწყვეტები დაბეჭდილი. ამ ნამუშევრებსა და განმარტებების ტექსტს გუშინ არც დამთვალიერებელი და არც მკითხველი აკლდა. ვინც ვერ მოასწრო ნახვა, მათთვის სამივე დარბაზში წარმოდგენილი ექსპოზიცია კიდევ რამდენიმე დღე ელის დამთვალიერებელს. რაც შეეხება ქართულ-შვედური კულტურის დღეებს, ის 9 ნოემბერს, კლუბ ბერლინში კარლ ჰოლმკვისტის პოეზიის საღამოზე გაგრძელდება.

# ლირიკა, ლირიკა, მსუბუქი დინამიკა

თამარ სუხიშვილი

*"გვიხმე და შენთვის*
*ვივარგებთ ახლაც*
*და ისევ ისე დავინაცრებით,*
*მტერს დავატყდებით*
*თავს მეხისტეხად*
*ვესტერპლატელი*
*ჯარისკაცები..."*



ვახო ბასელიას ფოტო

*გამოფენა პოლონელი პოეტის - გალჩინსკის შემოქმედებას მიეძღვნა.*

ცნობილი პოლონელი პოეტის - კონსტანტი ილდეფონს გალჩინსკის (1905-1953) ეს და კიდევ ბევრი სხვა სტრიქონი გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში გამართულ საღამოზე მოვისმინეთ, კლასიკური მუსიკის ფონზე. მსურველებს აქვე გამოფენის დათვალიერებაც შეეძლოთ, სადაც პოეტის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური ფოტომასალა იყო წარმოდგენილი. და კიდევ, გუშინ ქართველმა მკითხველმა საჩუქრად მიიღო გალჩინსკის პოეტური კრებული, რომელშიც შოთა ნიშნიანიძის, რუსუდან ჭანტურიშვილისა და ნათელა გავაშელის თარგმანებია შესული (გალჩინსკის შოთა ნიშნიანიძისეული თარგმანები 1971 წელს გამოსცა "მერანმა").

2003 წელი პოლონეთში გალჩინსკის წლად იყო გამოცხადებული. 2005 წელს კი პოეტის 100 წლის იუბილე აღინიშნება. საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირმა "პოლონიამ" და პოლონეთის საელჩომ საიუბილეო თადარიგი წინასწარ დაიჭირეს. ასე გაჩნდა კრებული "შორეული მხარე", რომლის შემდგენლები შეეცადნენ შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარმოეჩინათ პოეტის შემოქმედება. წიგნში შესულია ნაწყვეტები ეპიკური პოემებიდან, სატირული, სატრფიალო, ფილოსოფიური პოეზიის ნიმუშები... შემდგენელი რედაქტორი და წინათქმის ავტორია პროფესორი მარიამ ფილინა.

პოეტი-აბსურდისტი, სატირიკოსი, სიურეალისტი, ლირიკოსი, მისტიფიკატორი, ავტორი ცნობილი პოემებისა: "მეჯლისი სოლომონთან", "ნიობეა", "ვიტ სტვოში" - გალჩინსკი ის შემოქმედია, რომელსაც ვერცერთ პოეტურ სკოლას ვერ მიაკუთვნებ. თვითონ თავს ანგელოლოგს უწოდებდა - ანგელოზების მცოდნეს. საკუთარ თავს ეპიტაფია შეუთხზა: "ლირიკა, ლირიკა, მსუბუქი დინამიკა", მკითხველს კი მოუბოდიშა: "Вы простите, люди, если в песнях я давал так мало, что не те бывали песни, быть которым надлежало." უცნაური ცხოვრება ჰქონდა, საკუთარი ნაწერების მსგავსად აბსურდულ-მისტიკური. უნივერსიტეტიდან იმიტომ გარიცხეს, რომ XV საუკუნის ინგლისელი პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა. პროფესორები დისკუსიაში ჩაებნენ. მერე გაირკვა, რომ ასეთი პოეტი არ არსებობდა. ის გალჩინსკის ფანტაზიის ნაყოფი იყო. ასეთი პრობლემა თუ კურიოზი ოფიცერთა სკოლაშიც ჰქონდა, როცა შეკითხვაზე - რა არის ქვემეხიო? - უპასუხა: ეშმაკის იარაღიო. მერე მის ცხოვრებაში განსაკუთრებით მძიმე წლები დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა. ამას მოჰყვა ემიგრაციის პერიოდი - რომი და ბრიუსელი. სამშობლოში 1946 წელს დაბრუნდა...

1930 წელს გალჩინსკიმ ცოლად შეირთო ნატალია ავალოვა (ავალიშვილი). თუმცა, როგორც გუშინდელ საღამოზე აღინიშნა, ქართულ-პოლონურ ურთიერთობებზე საუბრისას ეს ფაქტი რატომღაც იშვიათად მოიხსენიება ხოლმე. არადა, პოეტს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი "ვერცხლისფერი ნატალიასადმი".

გალჩინსკის პოეზია რიგით მეოთხე ორენოვანი (პოლონურ-ქართული) კრებულია ადამ მიცკევიჩის, იულიუშ სლოვაცკის და ნობელიანტი ვისლავა შიმბორსკას კრებულების შემდეგ.

პოეზიის მოყვარულები უნივერსიტეტის ფოიეში გუშინ გვიანობამდე არ დაშლილან.

# 90-იანი წლების ამერიკული დღიური დღევანდელი გადასახედიდან

თამარ სუხიშვილი

წიგნის მაღაზიების თაროებზე კიდევ ერთი გამოცემა გამოჩნდა. "ამერიკული დღიური" - ასე ჰქვია ახალ წიგნს, რომლის ავტორია არქიტექტორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია.

"ამერიკული დღიური" ჩემი მომავალი წიგნის - "ცხოვრების ფურცლების" ნაწილია. მისი ცალკე დაბეჭდვა მიზანშეწონილად იმიტომ მივიჩნიე, რომ ის ასახავს ჩემი პროფესიული ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთს და, რაც უმთავრესია, გასული წლების გადასახედიდან მომინდა იმ ადამიანების გახსენება, რომელთა ყურადღებითა და კეთილგანწყობილებით ვიყავი გარემოცული ამერიკაში. ეს ჩემი სამადლობელია მათ მიმართ," - ვკითხულობთ ავტორისეულ წინათქმაში.

"ამერიკული დღიურის" პრეზენტაცია გუშინ კაფე "პარნასში" გაიმართა. აქ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სტუმართა ერთ ნაწილს ვახტანგ დავითაიას ჩანაწერები უკვე წაკითხული ჰქონდა, ამიტომ საკუთარი აზრიც და მოწონებაც თამამად გამოთქვეს.



ვახო ბასელიას ფოტო

*ვახტანგ დავითაია: "ამერიკული დღიური" ჩემი ცხოვრების ნაწილია.*

ეს წიგნი რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო (აქ არის პროფესიონალური მსჯელობაც, ნაჩვენებია უბრალო ადამიანური ურთიერთობები და შთაბეჭდილებებიც); პირველ რიგში იმის გამო, რომ მისი ავტორი ვახტანგ დავითაიაა, ის ადამიანი, რომლის მოსაზრება-შეხედულებებიც ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო და მნიშვნელოვანია, - ითქვა პრეზენტაციაზე. იქვე ვახტანგ დავითაიას კოლეგებმა მისი პუბლიცისტური წერილებიც გაიხსენეს და ვინაიდან კაფე "პარნასში" ძირითადად მაინც არქიტექტორთა საზოგადოება იყო თავმოყრილი, გახმაურებული "სამკუთხედის" თემისთვისაც არ აუვლიათ გვერდი.

"ამერიკული დღიური" გამომცემლობა "საარში" დაიბეჭდა. გამოცემის რედაქტორია ჯუმბერ თითმერია. თუმცა, როგორც ბატონმა ჯუმბერმა აღნიშნა, წიგნს რედაქტირება თითქმის არ დასჭირვებია.

დღიური ქრონოლოგიურად ორ ნაწილად იყოფა - 1989 და 1991 წლების ჩანაწერები. ამერიკაში ავტორის პირველი სტუმრობის შთაბეჭდილებებს წინაისტორიაც უძღვის. ამას მოჰყვება და მოჰყვება მოგონებები: ამერიკის არქიტექტურული ინსტიტუტის ყოველწლიური კონგრესის მიმდინარეობის დეტალები, როცა ოქროს მედალი პოსტმოდერნის მამამთავარს - ჩარლზ მურს გადასცეს; ჩანაწერები ცნობილი სოციოლოგის, რობერტ გუტმანის ლექციიდან - "არქიტექტურული პრაქტიკა, კრიტიკული ანალიზი" (სხვათა შორის, ამ ლექციის დაწყების წინ წამყვანს გამოუცხადებია, საპატიო სტუმარი გვყავს საბჭოთა კავშირიდან - არქიტექტორი ვახტანგ დავითაიაო); ქალაქ კოლომბოსში არქიტექტორ ჰარდი ჰელცმანის სადიაგნოსტიკო ცენტრის დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილებები ("რამდენი შესძლებია ადამიანს!" - ასეთი იყო ქართველი არქიტექტორის პირველი რეაქცია ამ ცენტრის ნახვის შემდეგ, რომლის ინტერიერიც "ჰაი-ტეკის" სტილის ნიმუშად ითვლება), ავტორის თვალით დანახული ამერიკული ცხოვრება, და კიდევ ბევრი სხვაც. ეს, რაც მოვასწარი და პრეზენტაციაზე ამოვიკითხე. წიგნის ფურცვლისას ერთ ასეთ ისტორიასაც წავაწყდი: გამიგია, საქართველოში ას წელს გადაცილებული ბევრიაო, უკითხავს ერთ ამერიკელ პროფესორს. ეგ კი არა, ის ხალხიც კი ცოცხლები არიან, ამერიკის აღმოჩენა რომ ახსოვთო, - სრული სერიოზულობით უპასუხია ვახტანგ დავითაიას. ამერიკელ პროფესორს ბევრი უცინია. მეორე დღეს კი თურმე ეს ამბავი მთელ კოლეჯს მოედო...

სადაც კი ხმა მიმიწვდება, ყველას ვეუბნები, ეს წიგნი წაიკითხეთ მეთქი, - წიგნის რედაქტორის, ჯუმბერ თითმერიას ეს რჩევა გუშინდელ პრეზენტაციაზე არაერთხელ გაიმეორეს.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| აკაკი ბაქრაძე | "[illegible]" | | 1.6 |
| ჭაბუა ამირეჯიბი | "გორა მბორგალი" | | 1.6 |
| [illegible] ორჯონიკიძე | "პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი" | "ლიტერატურის მატიანე" | 1.2 |
| [illegible] | "მაგიური ცხოვრების 365 დღე" | "[illegible]" | 1.2 |
| პაულო კოელიო | "რიო პიედრას ნაპირზე ჩამოვჯექი და ავტირე" | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 1.2 |
| [illegible] | "მე შემიძლია ადამიანების ხატვა" | გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 1.2 |
| ნინო [illegible] | "ილუზიები" | შპს "თბილისელები" | 1.2 |
| [illegible] | "[illegible]" | შპს "თბილისელები" | 1.2 |
| ნესტან კვინიკაძე | "[illegible]" | "არეტე" | 1.2 |
| აკაკი ბაქრაძე | "[illegible]" | | 1.6 |

### ყველაზე შემოსავლიანი კონცერტების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით





| შემსრულებელი | თარიღი/ადგილი | დასწრების რაოდენობა | შემოსავალი $ |
|---|---|---|---|
| ბეტ მიდლერი | 13-17 ოქტ. [illegible], ნიუ იორკი | 23.683 | 3.7 მილიონი |
| არ. ქელი, ჯეი-ზი, მერი ჯეი ბლაიჯი, [illegible] | 29 ოქტ.-1 ნოემბ. მედისონ სქვეარ გარდენი, ნიუ იორკი | 41.183 | 2.2 მილიონი |
| სტინგი, ენი ლენოქსი, დომინიკ მილერი | 19 ოქტ. მედისონ სქვეარ გარდენი, ნიუ იორკი | 14.541 | 1.6 მილიონი |
| [illegible] | 17-20 ივნისი, მედისონ სქვეარ გარდენი, ნიუ იორკი | 38.599 | 1.3 მილიონი |
| ელტონ ჯონი | 19-21 სექტ. [illegible] | 11.194 | 1.2 მილიონი |
| ბარი მანილოუ | 21 ოქტ. როუზმონტი, ილინოისი | 15.841 | 1.2 მილიონი |
| როდ სტიუარტი | 10 ივლისი, ატლანტიკ სიტი, ნიუ ჯერსი | 12.599 | 1.1 მილიონი |
| სტინგი, ენი ლენოქსი, დომინიკ მილერი | 17 ოქტ. ტორონტო, ონტარიო | 14.466 | 1.0 მილიონი |
| ალან ჯექსონი, მარტინა მაკბრაიდი | 9-10 სექტ. ანაჰეიმი, კალიფორნია | 11.075 | 1.0 მილიონი |
| ელტონ ჯონი | 14 სექტ. [illegible] | 7.713 | 1 მილიონი |



### ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობები | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "[illegible]" | ტაკაში შიმიძუ | სარა მიშელ გელარი, ჯეისონ ბერი | 21,817,590 | 70,684,627 |
| "რეი" | ტეილორ ჰექფორდი | ჯეიმი ფოქსი, რეჯინა კინგი | 20,039,730 | 20,039,730 |
| "ხერხი" | ჯეიმს ვანი | ტობინ ბელი, ქერი ელვესი, დენი გლოვერი | 18,276,468 | 18,276,468 |
| "ზვიგენის ზღაპარი" | ბიბო ბერჯერონი | უილ სმითი, რობერტ დე ნირო, რენე ზელვეგერი, ანჯელინა ჯოლი, მარტინ სკორსეზე | 7,502,096 | 146,859,079 |
| "[illegible]?" | პიტერ ჩელსომი | რიჩარდ გირი, ჯენიფერ ლოპესი, სიუზენ სარანდონი | 6,288,963 | 33,940,119 |
| "პარასკევი ღამის სინათლეები" | პიტერ ბერგი | ბილი ბობ თორნტონი, [illegible] | 4,085,440 | 52,944,730 |
| "49-ე კიბე" | ჯეი რასელი | ხოაკინ ფენიქსი, ჯონ ტრავოლტა | 3,256,363 | 66,118,796 |
| "[illegible]" | ტრეი პარკერი, მეტ სტოუნი | ტრეი პარკერი, [illegible] | 3,083,704 | 27,243,193 |
| "[illegible]" | მაიკ მიტჩელი | ბენ აფლეკი, ჯეიმს განდოლფინი, კრისტინა ეპლგეიტი | 2,435,682 | 7,980,427 |
| "ტაქსი" | ტიმ სტორი | ქუინ ლატიფა, ჯიმი ფელონი, ჯენიფერ ესპოზიტო, ჟიზელი | 2,106,136 | 32,700,261 |

ჭიდაობა

# გაკონტროლებული და აწონილი ბერძენ-რომაელები

გიგა გურასაშვილი

ბერძენ-რომაელთა მსოფლიო თასი, თავისთავად, სანახაობრივი შეჯიბრება იქნება, მაგრამ სპორტის სასახლეში დაგებულ ხალიჩას მეტი ფასი დაედებოდა, გათამაშებაში ეგვიპტის - აფრიკის კონტინენტის უძლიერეს ნაკრებსაც რომ მიეღო მონაწილეობა. თუმცა, ეგვიპტელი ბერძენ-რომაელები რომ გვწვეოდნენ კიდეც, საწადელს მაინც ვერ ავისრულებდით. კარამ იბრაჰიმი, რომელმაც რამაზ ნოზაძეს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონობა არ დაანება, ავარიაში მოყოლილა. არადა, ეგვიპტელები რომ ჩამოსულიყვნენ და იბრაჰიმსაც არაფერი შემთხვეოდა, დანამდვილებით შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მათი შეხვედრა თბილისური მსოფლიო თასის მშვენება იქნებოდა. ეგვიპტელთა ადგილი კი დაიკავა საფრანგეთის ნაკრებმა, რომელიც დღეს ჩვენი პირველი მეტოქეა. ერთმანეთს შეეჭიდებიან აგრეთვე ირანისა და ბელორუსის ნაკრებები. რაც შეეხება გათამაშების მეხუთე მონაწილეს - აშშ-ის გუნდს, ის მეორე წრიდან ჩაებმება ასპარეზობაში.

გუშინ ლევან თედიაშვილის სახელობის დიღმის სპორტკომპლექსში, მასპინძლებიანად, ტურნირის ხუთივე მონაწილეს მოეყარა თავი. მოჭიდავეებს სამედიცინო კონტროლი უნდა გაევლოთ და აწონილიყვნენ.



ზურაბ კახაბრიშვილი (მარჯვნივ) მსოფლიო თასის მონაწილეებს საჭიდაო ხალიჩისთვის ამზადებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ერთი შეხედვით, ყველა მშვიდად გამოიყურებოდა. ფრანგები, როგორც ჩანს, მგზავრობამ დაღალა - სკამზე ჩამომსხდრები, თავჩაქინდრული თვლემდნენ. ირანელები და ბელორუსები დერეფანში ენერგიულად დააბიჯებდნენ. ამერიკელები თავიდან არ ჩანდნენ. მათი ხილვა მხოლოდ აწონვაზე გახდა შესაძლებელი.

ნერვიულობა არც საქართველოს ორშემადგენლობიან ნაკრებში იგრძნობოდა. აქვე იყო ალექსანდრე დოხტურიშვილი (რომელმაც უზბეკეთის ნაკრებს ოლიმპიური ოქროს მედლის მიუტანა), იგივე დოხტურა, რომელიც დღევანდელ ასპარეზობამდე ბიჭებს ქომაგობდა.

სამედიცინო კონტროლის ჯერიც დადგა. საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ კახაბრიშვილი და მისი თანაშემწე "პაციენტების" მიღებას ვერ აუდიოდნენ. ლამის ყველას ერთად მოუნდა სამედიცინო პუნქტში შეღწევა. როდესაც მსოფლიო თასის მონაწილეებს ექიმებმა მწვანე შუქი აუნთეს, დარბაზში, აწონვებზე გადავინაცვლეთ. აქაც იგივე სურათი ვიხილეთ. წითელ და ლურჯ "ფინკებში" გამოწყობილი ფალავნები საკუთარ ჯერს ელოდნენ. ჯერ ფრანგებმა ჩააბარეს წონა, მერე ირანელებმა, ამერიკელებმა და ბელორუსებმა. საქართველოს ნაკრების წევრებმა კი, - მასპინძლები ვართო და ბოლოს აიწონნენ.

ფეხბურთი

# ბერტი ფოგთსი: "შოტლანდიელები ჯერაც წარსულით ცხოვრობენ"

*გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბერტი ფოგთსი ორწელიწადნახევრის წინათ ჩაუდგა სათავეში შოტლანდიის ეროვნულ გუნდს. გასულ ორშაბათს კი დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. შოტლანდიის ნაკრებში მის მოღვაწეობას ნამდვილად ვერ დავარქმევთ წარმატებულს, თუმცა თავად მწვრთნელი სხვაგვარად ფიქრობს. გერმანული ჟურნალის Kicker-ის რედაქტორთან, ჰარდი ჰასელბრუხთან საუბარში ფოგტსი აღნიშნავს, რომ შოტლანდიელები ჯერაც წარსულით ცხოვრობენ და რომ არაფრით არ უნდათ საკუთარი ფეხბურთის უმწეობის აღიარება.*

**- შოტლანდიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან გადადგომა თქვენთვის ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო?**

- ვფიქრობ, რომ ასეა. ვცდილობდი, შემექმნა ახალგაზრდა გუნდი, რომელიც ხუთ წელიწადში თავის სიტყვას იტყოდა საერთაშორისო ფეხბურთში. სამწუხაროდ, ტრავმირებულ და დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელთა პრობლემებმა უკან დაგვხიეს. ამ დანაკლისების კომპენსირება არ შეგვეძლო, რადგანაც ალტერნატივები არ გვყავდა. მედიის ყოველდღიურმა ლანძღვამ კი თანამდებობიდან გადადგომა გადამაწყვეტინა.

**- დაუსრულებელ კოშმარს კოშმარული დასასრული ამჯობინეთ?**

- თანამდებობის დატოვებაზე ჯერ კიდევ 2003 წლის ნოემბერში, ჰოლანდიაში განცდილი მარცხის შემდეგ ვფიქრობდი. ალბათ, ამ ნაბიჯის გადადგმა მაშინ უკეთესი იქნებოდა. ბევრი შოტლანდიელი ჯერაც წარსულით ცხოვრობს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ახლა აღარ არიან დალგლიში, სუნესი, სტრახანი. შოტლანდიელებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს. რეგულარულად ვადევნებდი თვალს გლაზგოურ დერბის "სელტიკსა" და "რეინჯერსს" შორის. ამ თამაშებში მხოლოდ ერთი შოტლანდიელი ფეხბურთელი თუ მიიღებდა მონაწილეობას.



ბერტი ფოგთსი: "თანამდებობის დატოვებაზე ჯერ კიდევ 2003 წლის ნოემბერში, ჰოლანდიაში განცდილი მარცხის შემდეგ ვფიქრობდი".

**- თქვენს გადადგომაზე დიდხანს საუბრობდნენ. როგორი იყო შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია?**

- ფედერაცია გვერდში მედგა. ისინი ძალიან მეხმარებოდნენ, განსაკუთრებით კი გენერალური მდივანი ტეილორი და პრეზიდენტი ჯონ მაკბეტი. მაგრამ პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი სხვა აზრზე იყო. ჯამში, შოტლანდიაში მოღვაწეობამ ბევრი სიხარული და სიამოვნება მომანიჭა.

**- როგორი ურთიერთობა გქონდათ თავად გუნდთან?**

- ეს იყო შესანიშნავი, ძალიან კარგი ურთიერთობა. ასევე ძალიან თბილი ურთიერთობა მქონდა მთელ სამწვრთნელო შტაბთან, ჩემს ასისტენტ ტომი ბარნსთან.

**- რა არის შოტლანდიური ფეხბურთის მთავარი პრობლემა?**

- შოტლანდიას აღარ ჰყავს წამყვანი ფეხბურთელები ისეთ კლუბებში, როგორიც, მაგალითად, "მანჩესტერ იუნაიტედია". ჩვენი კაპიტანი ბარი ფერგიუსონი "ბლექბერნთან" ერთად პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. მაკფადენი ჯერ 21 წლისაა და "ევერტონის" შემადგენლობაში იშვიათად უწევს თამაში. ფლეტჩერს კი "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში თავის მეორე სეზონში დიდი პრობლემები აქვს. შოტლანდიელ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი სათამაშო პრაქტიკის უქონლობას განიცდის.

**- თქვენს მოღვაწეობას წარუმატებელს უწოდებთ თუ მიგაჩნიათ, რომ ასეთი შედეგი მხოლოდ შოტლანდიური ფეხბურთის ახლანდელი მდგომარეობის ანარეკლია?**

- მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ერთად გამევლო ეს გზა. ჩვენ გამიზნულად ვარჩევდით ძლიერ მეტოქეებს, რათა ახალგაზრდებს გამოცდილება შეეძინათ. ცხადია, იყო დამარცხებები, რომელთაც ძალიან დაგვწყვიტეს გული. მაგალითად, უელსისა და უნგრეთის გუნდებთან მატჩებში.

**- როგორ განვითარდა გუნდი თქვენი მწვრთნელობის პერიოდში?**

- ვფიქრობ, შოტლანდიის ნაკრები კარგად ვითარდება. იმედი მაქვს, მას შესწევს უნარი, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვოს.

**- თქვენი წარუმატებლობა იმით ხომ არ იყო გამოწვეული, რომ შოტლანდიელთა იმედი ვერ გაამართლეთ?**

- როგორც უკვე გითხარით, შოტლანდიაში ჯერაც წარსულით ცხოვრობენ. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უკანასკნელად 1998 წელს ითამაშეს, ხოლო ტურნირის მეორე წრეში არასოდეს გაუღწევიათ.

**- 1998 წელს გერმანიის ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან და 2001 წელს ლევერკლუზენის "ბაიერის" დამრიგებლის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ეს უკვე თქვენი მესამე გადადგომაა. ნუთუ ბერტი ფოგტსი პოზიციებს თმობს?**

- როგორ გეკადრებათ! ჯერ არასოდეს მიმუშავია ისე, როგორც აქ. შოტლანდიაში სრულიად ახალი ეროვნული ნაკრები ავაშენე, მომავლის გუნდს ჩავუყარე საფუძველი. ხოლო ახალგაზრდული ფეხბურთის სტრუქტურა, 15-წლამდელებიდან დაწყებული 19-წლამდელებით დამთავრებული, სრულიად ახალი მიმართულებით განვავითარეთ.

**- როგორ გესახებათ თქვენი მომავალი?**

- ამისთვის დრო დამჭირდება. უახლოეს მომავალში გერმანიასა და შოტლანდიას შორის ვიხეტიალებ, რადგან ჩემი ვაჟი იქ სწავლობს, თანაც, შოტლანდიაში ბევრი მეგობარი დამრჩა.



კალათბურთი

# კალათბურთი გაერთიანდა

ფიბამ და ულებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც ბოლო მოეღება ევროპულ კალათბურთში ოთხწლიან დაპირისპირებას. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპული განყოფილება (ფიბა-ევროპა) და ევროპული საკალათბურთო ლიგების კავშირი (ულები) უკვე ოთხი წელია, რაც ერთმანეთს ექიშპებიან. რა თქმა უნდა, ამ ომს გამარჯვებული არ ეყოლებოდა. ქიშპობას მხოლოდ დამარცხება შეიძლება მოჰყოლოდა. ბრძოლის ველიდან ბოლო ინფორმაციები ფიბა-ევროპისთვის არცთუ ისე სახარბიელო იყო. თითქმის ყველა ფრონტზე ფიბა-ევროპა მარცხს განიცდიდა. როცა ფიბა-ევროპასა და ულებს შორის არჩევანზე მიდგებოდა საქმე, ევროპის უძლიერეს კლუბთა უმრავლესობა ულებს ირჩევდა.

ბოლოს და ბოლოს, ფიბა-ევროპა მიხვდა, რომ ცხვირის აბზუებას აზრი არა აქვს, თუ შენს საქმიანობას არავითარი ფინანსური სარგებელი არ მოაქვს და კომპრომისზე წავიდა. ამას წინათ ფიბა-ევროპას პრეზიდენტმა გეორგიოს ვასილაკოპულოსმა და ულების პრეზიდენტმა ედუარდო პორტელამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც გამოცხადდა, რომ ევროპულ საკლუბო კალათბურთში არსებული ოთხწლიანი განხეთქილება დასასრულს მიუახლოვდა.



მომავალი წლიდან ევროლიგის თამაშებს ულები ფიბა-ევროპის სახელით უხელმძღვანელებს.

ამ შეთანხმების საფუძველზე წლეულს მიმდინარე ტურნირების გრაფიკი და სისტემა არ შეიცვლება. 2005-2006 წლების სეზონიდან კი ფიბა-ევროპას სახელით ულები უხელმძღვანელებს ევროპული საკლუბო კალათბურთის ორ უმთავრეს ტურნირს, რომელშიც 16 ქვეყნის 48 კლუბი ითამაშებს.

ფიბა-ევროპა კი პირდაპირ უხელმძღვანელებს ევროპის დანარჩენ საკლუბო შეჯიბრებებს. "ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ოთხწლიანი განხეთქილების შემდეგ ულებთან შეთანხმება მოვახერხეთ, - განაცხადა ფიბას აღმასრულებელმა დირექტორმა ნარ ზანოლინმა, - ჩვენ დავძლიეთ ევროპული კალათბურთის განვითარების გზაზე არსებული წინაღობები და იმედი გვაქვს, შემდგომშიც ვიშრომებთ სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის".

"ეს შეთანხმება ევროპული კალათბურთის განვითარების თვალსაზრისით წინ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯია, - განაცხადა გეორგიოს ვასილაკოპულოსმა, - ჩვენ ულებთან მჭიდრო თანამშრომლობის დიდი იმედი გვაქვს".

განხეთქილების გამო ორივე ორგანიზაციის სახელით ბოლო წლებში რამდენიმე ტურნირი ტარდებოდა. კომპრომისის მიღწევის მცდელობა ამ ორგანიზაციებს შორის ადრეც იყო. კერძოდ, ამას წინათ გერმანიაში გამართულ ფიბა-ევროპის გენერალური ასამბლეის სხდომაზე განიხილებოდა პროექტი გაერთიანების შესახებ. თუმცა, დელეგატებმა მაშინ ეს პროექტი უარყვეს.

# სამი მატჩის გარშემო

სანდრო ნავერიანი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის მესამე დღე სამი მატჩით აღინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ წინა დღესთან შედარებით ნაკლები შეხვედრები ჩატარდა, მაინც უფრო საინტერესო და დაძაბული გამოდგა. როგორც უკვე ვთქვი, გუშინ სამი მატჩი ჩატარდა. აქედან ყველაზე საინტერესო დენვერში, "დენვერ ნაგეთსის" საშინაო მოედანზე, "პეფსი ცენტრში" შედგა. კოლორადოელი კალათბურთელები "მინესოტა თიმბერვულვზს" ხვდებოდნენ. მოვლენებს გავუსწრებ და გეტყვით, რომ მინესოტელი მგლები დამარცხდნენ. მატჩი ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. "თიმბერვულვზის" ლიდერი კევინ გარნეტი შეუდარებელი იყო, მაგრამ მარტო ვერაფერს გახდა. "დენვერ ნაგეთსის" წარმატება კენიონ მარტინის კარგმა თამაშმა განაპირობა. მარტინი კარგად მოქმედებდა დაცვაში, შეტევაში, ხშირად ჭრიდა მეტოქის გადაცემებს. რაც შეეხება კოლორადოელთა იმედს - კარმელო ენტონის, მან ხეირიანი ვერაფერი გააკეთა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მინესოტელთა მცველ ტრენტონ ჰასელს, რომელმაც კარმელო ენტონი აიძულა, თავისი ჩვეული თამაში ვერ ეჩვენებინა. კარმელო ენტონიმ 25 ტყორცნიდან მხოლოდ ხუთი გამოიყენა. ასეთი ცუდი შედეგი მას წინა სეზონშიც კი არ უჩვენებია. კარმელო ენტონიმ 19 ქულა და 14 მოხსნა გააკეთა, რაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მისთვის ცუდი შედეგია. კენიონ მარტინმა 18 ქულა და 13 მოხსნა შესძინა საკუთარ გუნდს. მატჩის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა. დაინიშნა ოვერტაიმი, რომლის გმირი გახდა ერლ ბოიკინსი. მან გამარჯვების ორი ქულა მოუტანა დენვერულ კლუბს. ბოიკინსმა, საერთო ჯამში თავის გუნდს 14 ქულა, 6 გადაცემა და 2 ბლოქ-შოტი შესძინა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი დაბალი კალათბურთელი (165სმ) ახერხებს და თამაშში, საშუალოდ, 1,4 ბლოქ-შოტს აკეთებს. რაც შეეხება მინესოტელებს, მათზე ვერ ვიტყვით, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს. უბრალოდ, შეიძლება ითქვას, რომ მათ არ გაუმართლათ.

მეორე შეხვედრა შარლოტში, "შარლოტ კოლიზეუმში", "შარლოტ ბობქეთსის" საშინაო მოედანზე გაიმართა. ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობდნენ "შარლოტ ბობქეთსი" და "ვაშინგტონ უიზარდსი". ეს მატჩი შარლოტელებისთვის სადებიუტო იყო, მაგრამ, მათთვის სამწუხაროდ, დებიუტი წარუმატებელი გამოუვიდათ. საქმე ის არის, რომ ვაშინგტონელმა ჯადოქრებმა უკანასკნელი წლების ერთ-ერთი



შაკილ ო`ნილს ილგაუსკასმა ვერაფერი მოუხერხა.

საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და შარლოტელი ფოცხვერები დაამარცხეს. გილბერტ არენასმა, ლარი ჰიუზმა, ჯარვის ჰეიზმა, ანტაუნ ჯეიმისონმა და ხუან დიქსონმა, შეიძლება ითქვას, მეტოქე დაბომბეს. ამ ხუთმა კალათბურთელმა ერთად 89 ქულა მოაგროვა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფოცხვერები დაემარცხებინათ. რა თქმა უნდა, დანარჩენმა კალათბურთელებმაც მოაგროვეს რაღაც ქულები, მაგრამ მათმა საერთო მონაგარმა 14 ქულა შეადგინა. რაც შეეხება "შარლოტ ბობქეთს", აქ ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა დრაფტზე მეორე ნომრად არჩეული ემეკა ოკაფორი, რომელმაც თავის გუნდს 19 ქულა და 10 მოხსნა შესძინა. ეტყობა, "შარლოტ ბობქეთსს" ჯერ კიდევ სჭირდება დრო იმისთვის, რომ მიეჩვიოს იმ ტემპს, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაშია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ მხოლოდ საკონტროლო მატჩების ჩატარებით და საზაფხულო ლიგებში მონაწილეობით ფონს ვერ გავლენ.

მესამე შეხვედრა, რომელზეც მინდა მოგითხროთ, მაიამიში, "ემერიქან ეარლაინზ არენაზე" შედგა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ადგილობრივი "ჰიტი" და "კლივლენდ კავალიერსი". ჯერ არ მინდოდა, რამე მეთქვა ამ მატჩზე, უფრო სწორად, "მაიამი ჰიტზე", შაკილ ო`ნილის გაბრწყინებას ველოდებოდი, მაგრამ ასე, ლოდინში, შეიძლება მთელი სეზონი გავიდეს, შაკმა კი ვერ გაიბრწყინოს. ამიტომ გადავწყვიტე, სწორედ ახლა ვილაპარაკო ფლორიდულ კლუბზე. ისე, დაპირისპირება, მართლაც, საინტერესო იყო: ერთ გუნდში უკანასკნელი წლების ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი შაკილ ო`ნილი თამაშობს, მეორეში - მომავალი წლების ვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი. სწორედ ამან შესძინა ამ მატჩს დამატებითი ინტრიგა. თუ იმითი ვიმსჯელებთ, ვინ რამდენი ქულა გააკეთა, მაშინ ლებრონ ჯეიმსმა შაკილ ო`ნილს აჯობა, თუმცა, განსხვავება მხოლოდ ოთხი ქულაა. თუ მოხსნებით ვიმსჯელებთ, მაშინ შაკი უფრო შედეგიანი იყო. მოკლედ, ასეა თუ ისე, არც შაკი და არც ჯეიმსი არ დაუსახელებიათ მატჩის საუკეთესო კალათბურთელად. ეს წოდება მიანიჭეს მაიამელ დუეინ უეიდს, რომელმაც, მართლაც, გამორჩეული შეხვედრა ჩაატარა და 28 ქულასთან ერთად 5 შედეგიანი გადაცემა და 6 მოხსნა გააკეთა. "მაიამი ჰიტმა" ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო, რაც იმის მანიშნებელია, რომ გუნდი აშკარად კარგ ფორმაშია. კლივლენდელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო დრიუ გუდენი, რომელმაც 24 ქულა შესძინა კავალერებს.

ამრიგად, დღეისთვის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა კლუბს, "ჩიკაგო ბულზის" გარდა, რეგულარულ სეზონში ჩატარებული აქვთ მატჩები. ჩიკაგოელი ხარები დღეს გამართავენ თავის პირველ შეხვედრას. ვნახოთ, როგორ ითამაშებს ერთ დროს ლეგენდარული "ჩიკაგო ბულზი".

ჭადრაკი

# იხილავს თუ არა მსოფლიო აბსოლუტურ ჩემპიონს?

გამაერთიანებელი ციკლის მატჩი ჭადრაკში გარი კასპაროვსა და რუსტამ კასიმჯანოვს შორის, რომელიც 2005 წლის იანვარში იგეგმებოდა, გაურკვეველი დროით გადაიდო. თუმცა, ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილიუმჟინოვის თანაშემწე ბერიკ ბალგაბაევმა განაცხადა, რომ 15 იანვარს დუბაიში მაინც გაიმართება ამ მატჩის პირველი პარტია.

მატჩის გადადებაზე თვითონ ილიუმჟინოვმაც ისაუბრა. მისი თქმით, მატჩი ერთი კვირით გადაიდება. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში რამდენიმე წლის წინათ პრაღაში შეპირებულ მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს საჭადრაკო სამყარო ვერასოდეს იხილავს.

ადრე კასპაროვი მატჩში მონაწილეობაზე იმ საბაბით ამბობდა უარს, რომ ფიდე ფინანსურ გარანტიებს არ იძლეოდა (ამას არც ფიდე უარყოფდა). ასეთი სამართლიანი ულტიმატუმით კასპაროვი ჯერ კიდევ ოქტომბრის შუა რიცხვებში გამოვიდა. მაშინ რუსმა დიდოსტატმა შეხვედრის გამართვის ადგილად თურქეთის კანდიდატურა წარუდგინა ფიდეს, მაგრამ ილიუმჟინოვს დუბაი უკვე არჩეული ჰქონდა და თავისი გადაწყვეტილების შეცვლა არ სურდა. ამიტომ ფიდეს პრეზიდენტმა დუბაის ვარიანტი დაამტკიცა.

ახალი დაპირისპირება ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული "პრაღის შეთანხმება", რომლის ძალითაც საჭადრაკო სამყაროს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი უნდა ეხილა, ალბათ, არ განხორციელდება.

ყველაფერი კი 2002 წლის გაზაფხულზე დაიწყო. მაშინ პრაღაში მსოფლიოს წამყვანმა მოჭადრაკეებმა და ფიდეს ხელმძღვანელობამ მიაღწიეს შეთანხმებას, რომ დროა, ბოლო მოეღოს ბაქანალიას, როცა ვერავის შეუძლია დაასახელოს მსოფლიოს ჭეშმარიტი ჩემპიონი და უნდა გაიმართოს ტურნირი, რომელიც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობას დაასახელებს.

2000 წელს, როცა ლონდონში ვლადიმირ კრამნიკმა გარი კასპაროვი დაამარცხა, მსოფლიო ჩემპიონად ბევრი სწორედ კრამნიკს მიიჩნევდა. არადა, ის მატჩი ორგანიზებული იყო კომპანია "ბრეინ გეიმზის მიერ, რომელიც "ეინშტეინ გრუპს" მიეკუთვნებოდა და არავითარი ლეგიტიმური უფლება კრამნიკს არ ჰქონდა, საკუთარი პიროვნებისთვის მსოფლიო ჩემპიონი ეწოდებინა. ეს იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც კასპაროვს ფიდესთან ურთიერთობა გაუფუჭდა, ის არავითარ ტიტულს არ ფლობდა. ამ ლოგიკით ნებისმიერ ჩვენს მკითხველს შეეძლო, რომელიმე სუბიექტის ვერსიით მატჩი გაემართა მეზობელთან და საკუთარი თავისთვის მსოფლიო ჩემპიონი ეწოდებინა.

ამავე დროს ფიდე ატარებდა მსოფლიო ჩემპიონატებს ნოკაუტ-სისტემით. ეს კი არც ისე მართებული იყო. მართლაც, ტურნირში არ მონაწილეობდნენ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი და სხვა დიდოსტატები. თანაც, ტურნირის ჩატარების სისტემაც მეტისმეტად ბუნდოვანი იყო. არ არსებობდა არავითარი დროის კლასიკური კონტროლის მექანიზმი. ჩემპიონი კი "სწრაფ პარტიებსა" და ხანგამოშვებით ბლიცებშიც კი ვლინდებოდა.



გარი კასპაროვი შეიძლება რუსტამ კასიმჯანოვს აღარ შეხვდეს.

პრაღაში კი 2002 წელს ასე გადაწყდა: გამაერთიანებელი ციკლი ორი შტოსგან შედგებოდა - კლასიკური და ფიდეს ვერსიებით. ამასთან, კასპაროვმა, რომელსაც ფიდესთან ხშირად ჰქონდა კონფლიქტი, გადაწყვიტა, ამჯერად დახმარებოდა მას. მან თანხმობა განაცხადა, ნახევარფინალში ფიდეს მსოფლიო ჩემპიონს (2002 წელი), უკრაინელ რუსლან პონომარიოვს შეხვედროდა. თუმცა, კასპაროვისა და პონომარიოვის მატჩი ჩაიშალა (ფიდე და პონომარიოვი ამ ჩაშლას დღემდე ერთმანეთს აბრალებენ). კირსან ილიუმჟინოვმა კი ახალი გადაწყვეტილება მიიღო - კასპაროვი ფიდეს ახალ ჩემპიონს შეხვდებოდა. ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით კი ლიბიაში გაიმართებოდა. თუმცა, ეს ჩემპიონატი მსოფლიოს ბევრი მოჭადრაკის მიერ იგნორირებული იყო და მას ფარსი უწოდეს. ლიბიაში გაიმარჯვა უზბეკმა რუსტამ კასიმჯანოვმა, რომელსაც მანამდე მხოლოდ ჭადრაკის სპეციალისტები იცნობდნენ. უზბეკს არც ერთ დიდ ტურნირზე არ უთამაშია.

გამაერთიანებელი ციკლის მეორე შტო, რომელსაც "კლასიკური" ეწოდა, უკეთესად განვითარდა. ვლადიმირ კრამნიკი დორტმუნდში გამართული ტურნირის გამარჯვებულს უნდა შეხვედროდა ჯერ კიდევ 2003 წელს. თუმცა, "ეინშტეინ გრუპის" გაკოტრების შემდეგ ეს მატჩიც გაურკვეველი ვადით გადაიდო და მხოლოდ ამას წინათ გაიმართა. კრამნიკმა უნგრელ დიდოსტატთან პეტერ ლეკოსთან მატჩი ყაიმით დაასრულა და შეინარჩუნა "კლასიკურ ჭადრაკში" მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, რომელიც მას პრაღის მოლაპარაკების შემდეგ მაინც დაუმტკიცეს. თუმცა, კრამნიკმა განაცხადა, რომ არ შეხვდება კასპაროვ-კასიმჯანოვს შორის გამარჯვებულს, რადგან ფიდემ არ შეასრულა "პრაღის შეთანხმებით" ნაკისრი ვალდებულება. ამიტომ ის თავისუფალია ფედერაციასთან ყოველგვარი ვალდებულებისგან.

კრამნიკი ამ მართებული, მაგრამ განუხორციელებელი იდეის (ჭადრაკის გაერთიანების შესახებ) გადარჩენის რეცეპტად ასახელებს ტურნირს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კასპაროვი, კასიმჯანოვი, პონომარიოვი და კიდევ რამდენიმე უძლიერესი მოჭადრაკე. მათ შორის იგულისხმება ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი, რომელსაც, თუ რეიტინგის ნაცვლად ტურნირებზე მიღწეულ შედეგებს გავითვალისწინებთ, შეუძლია საკუთარ თავს თამამად უწოდოს მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკე. ოღონდ კასპაროვი არასოდეს დათანხმდება ასეთ ტურნირში მონაწილეობაზე. მისთვის უმჯობესია პონომარიოვისა და კასიმჯანოვის დონის მოჭადრაკეთა დამარცხება და ამავე დროს დიდი საპრიზო თანხის გამომუშავება, ვიდრე მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებთან ჭიდილი.

ამრიგად, ბოლო მოვლენები საფუძველს გვაძლევს, ერთი დასკვნა გამოვიტანოთ. თანამედროვე ჭადრაკი მხოლოდ მსხვილი ტურნირებით (ლინარესი, ვეიკ-ან-ზეე, დორტმუნდი) ითქვამს სულს. ამას ემატება ოლიმპიადები, რომლებსაც ფიდე კარგ ორგანიზაციას კი უწევს, მაგრამ მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატებმა საკუთარი იმიჯის დისკრედიტაცია მოახდინეს, ამიტომ ამ ტურნირში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები არ მონაწილეობენ. მათი თავმოყრის ერთადერთ შანსად ისევ კომერციული ტურნირები რჩება. თუმცა, ამ მატჩების მიმართ მაყურებლის ინტერესი ერთგვარად თავშეკავებული იქნება, რადგან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული არ გათამაშდება.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

## გულახდილად

# პესიმისტებს კონსერვატორიაში სიარულს ვურჩევდი

თბილისში არსებულ ყველა თეატრსა თუ საკონცერტო დარბაზს თავისი ერთგული მაყურებელი ჰყავს, მაგრამ კონსერვატორია წლების განმავლობაში ერთგული პატრიოტებით ნამდვილად გამოირჩეოდა. კონსერვატორიის დარბაზებში გამართულ კონცერტებს თითქოს ერთი და იგივე ხალხი ესწრება და ყოველ ჯერზე ისეთი გრძნობა გაქვს, რომ მათ უკვე დიდი ხანია, კარგად იცნობ. ისინი ხომ კლასიკური მუსიკის ფანატები არიან, რომლებმაც ყველა ნაწარმოები, ყველა ნიუანსი, ყველა შემსრულებლის მანერა ზეპირად იციან და უმეტესად შეიძლება ბოლო კაპიკი გაიღონ, რათა მათთვის ასეთი აუცილებელი სულიერი საზრდო, სიამოვნება არ მოიკლონ და კონსერვატორია არ მიატოვონ.

ამ კვირაშიც ასე იყო. თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში თამარ გაბარაშვილისა და მარინა იაშვილის კონცერტზე მიმიპატიჟეს. მე მგონი, პირველად ცხოვრებაში, მშობლის უპირატესობა გამოვიყენე და ჩემი ცხრამეტი წლის შვილებიც კონცერტზე წავიყვანე. ძალიან მინდოდა, რომ სწორედ მათ, ფასეულობებარეულ, ცუდ, საგანგაშოდ უგემოვნო მუსიკას მიჩვეულ-შეგუებული თაობის წარმომადგენლებს, კონსერვატორიის განსაკუთრებულად მდიდარი აურა შეეგრძნოთ. კონსერვატორიისთვის ასეთი დამახასიათებელი და, სამწუხაროდ, დღეს ასეთი იშვიათი სპეციფიკური მაყურებელი ენახათ და, მართლაც, ღირებული მუსიკა მოესმინათ.



კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის შემხედვარეს გავიწყდება, რომ დაქცეულ, გაქურდულ, გაძარცვულ, გაპარტახებულ საქართველოში ხარ. ჩემი აზრით, ყველა პესიმისტმა მკურნალობის სახით კონსერვატორიაში უნდა იაროს და მერწმუნეთ, მათი პესიმიზმი ოპტიმიზმით აუცილებლად შეიცვლება. რწმენით იმისა, რომ სურვილის, ცოდნის, ერთგულებისა და სიყვარულის შემთხვევაში ყველაფრის მიღწევა შეიძლება. ეს ყველაფერი ხომ თავისი საქმის მოყვარული, მცოდნე, დაუღალავი, თუ გნებავთ, ჯიუტი ადამიანების ერთი ჯგუფის მიერ არის აღდგენილი, შენარჩუნებული, მოვლილი და გაკეთებული! ისინიც ხომ ქართველები არიან! კონცერტზე დამსწრე საზოგადოებაც ხომ ქართული საზოგადოების ნაწილია? ასეთი რბილი, არააგრესიული, სათნო და სულიერი სახის გამომეტყველება რის ხარჯზე აქვთ შენარჩუნებული? რატომ არ სჭირდება მობილურის მქონე დარბაზის უმცირესობას ტელეფონის გამოსართავად ზედმეტი მითითება? რატომ დგას კონცერტის მსვლელობისას დარბაზში სამარისებური სიჩუმე? შესასვლელი, ფეხზე დასადგომი ბილეთებით კონცერტზე დამსწრე კონსერვატორიის სტუდენტები ასეთი ბედნიერები, სულგანაბულები რატომ ჩანან? თამარ გაბარაშვილი, მარინე იაშვილი, მართლაც, ისეთი ამაღლებულნი არიან, როგორც ეს კონცერტის მსვლელობისას გეჩვენება? ერთმანეთის შესრულება ასე როგორ აღაფრთოვანებთ? ცხოვრების განმავლობაში არაერთხელ შესრულებული ბრამსის, ბეთჰოვენის მუსიკისადმი ემოცია ნუთუ არ უნელდებათ? დირიჟორ რევაზ ტაკიძისადმი მოკრძალება, ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრისადმი პატივისცემა და კონცერტის მსვლელობაზე, მის ხარისხზე ნერვიულობა მართლა ასეთი გულწრფელია? წლების მანძილზე სმენილი ტაშის, "ბრავოს" შეძახილების, ფეხზე ამდგარი დარბაზის ასეთი მადლიერნი ყოველ ჯერზე როგორ არიან? ჩემს შვილებს კლასიკური მუსიკის ფასი ასე იოლად როგორ აგრძნობინეს? ასეთი კმაყოფილები, ჩაფიქრებული და გამდიდრებულები როგორ დატოვეს? ერთი კონცერტით კონსერვატორიის სამომავლო მსმენელად როგორ აქციეს?

ნუთუ ეს ყველაფერი, რაც მე ასე აშკარად ვიგრძენი, დავინახე, მხოლოდ დიდი მუსიკის სიყვარულით, მისადმი ერთგულებითა და ნიჭით აიხსნება? სად არის ზღვარი შინაგან კულტურასა და კლასიკური მუსიკის სიყვარულს, გაგებას შორის? თუ აქ ზღვარი არ არსებობს და ეს ის ერთი მთლიანი ცნებაა, რომელიც კონსერვატორიის ერთგულ თითოეულ მაყურებელს, სტუდენტს, ხელმძღვანელობას და მის სცენაზე მოღვაწე ყველა მუსიკოსს ახასიათებს.







# იპარავდნენ, იპარავენ და ხვალაც მოიპარავენ, თუ...

ისანი-სამგორის ყოფილი გამგებლის, ქალაქის მერის და საქართველოს პრეზიდენტის "საათობრივი" ურთიერთობების, გაცვლა-გამოცვლის გარჩევას არ ვაპირებ. ამას, აი, უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც მთელი ქალაქი ისედაც არჩევს. თქვენი ყურადღება კი იმ ავადხსენებული "საათის" დღის სხვა ფაქტზე მინდა შევაჩერო.

ქალაქის მერის გამოსვლაში მოვისმინე, რომ თბილისის რაიონების გამგებლების ხელფასი, თურმე, 200 ლარს არ აღემატება. არ იფიქროთ, რომ გამგებლების ფინანსური მდგომარეობა მაწუხებს და მათ მატერიალურ ინტერესებს ვლობირებ. უბრალოდ, მაინტერესებს, როგორ წარმოუდგენიათ, რომ გამგებელი, რომელსაც უამრავი საწარმოს, სავაჭრო ობიექტის, ბაზრობების შემცველი რაიონი აბარია, ამ ხელფასის ფონზე კორუფციაში არ გაისვრება? თუ, სრულიად ლოგიკურად, პატრულის თანამშრომლებს ბევრად მეტი ხელფასი დაუნიშნეს, გამგებლები რა, ნაკლებ ცდუნებას ეჯახებიან? სად ერთი-ორი დამრღვევი მძღოლის მიერ "ლევად" მიცემული ათი ლარი და სად გამგებლის ფართე არჩევანი?

როგორ შეიძლება, რომ მოსამართლეს, გამგებელს და ცდუნებასთან ახლოს მყოფ სხვა თანამდებობებზე, ასეთი მიზერული ხელფასი იყოს. გამგეობებში, სასამართლოში, პოლიციაში კორუფციის აღმოფხვრა რის ხარჯზე გვინდა? ნუთუ მხოლოდ ცალკეული გამგებლის პიროვნული თვისებების, მისი მორალისა და შეგნების იმედად ვართ? ეს ხომ უტოპიაა!

მოდით, თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ თავში ჩავიხედოთ და გულწრფელად ვაღიაროთ, რომ "ქერის ორმოში" არსებულ ცდუნებას ორას ლარად მხოლოდ მოქალაქეობრივ-პატრიოტული ერთეულები თუ გაუძლებენ. რა მოხდება, რომ თბილისის გამგებლებს ცოტა ლოგიკურ-რეალური ხელფასები დავუნიშნოთ და არაკორუმპირებულობა საფუძვლიანად უკვე მერე მოვთხოვოთ. საქართველოში გამგებლების უმეტესობა ყოველთვის იპარავდა, დღესაც იპარავს და ხვალაც მოიპარავს, თუ მათი ხელფასი და სამსახურებრივი ცდუნება, პასუხისმგებლობა ლოგიკურ ბალანსში არ იქნება მოყვანილი. ნაწილი, შეიძლება, მერეც მოიპარავს, მაგრამ მათ უკვე, პრეზიდენტის გამოთქმით, თამამად შეგვეძლება "ღორები" ვუწოდოთ.

# გინდათ თუ არა ღირსეული ცხოვრება?

კი ☐ არა ☐

"ჩვენ მიგვაჩნია, რომ განათლების სისტემა მთელი საზოგადოების მოდელია და, შესაბამისად, მოქალაქე მთელი ცხოვრების განმავლობაში მოქმედებს იმ პრინციპებითა და ღირებულებებით, რომელიც მან სკოლაში თუ უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის დროს შეიმეცნა და შეითვისა". "უმაღლესი განათლების არსებული სისტემა ხასიათდება უკიდურესი გაუმჭვირვალობით, მართვის ცენტრალიზებული და კორუფციული მოდელებით, განათლების დაბალი ხარისხით. ჩვენ გვჯერა, რომ განათლების დაბალი ხარისხი აფერხებს საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებას, ზღუდავს ადამიანის პიროვნულ შესაძლებლობებს, ზრდის კორუფციის დონეს და პრაქტიკულად უსპობს ქვეყნის მოქალაქეს ღირსეული ცხოვრების შანსს".

ეს გახლავთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებისადმი მიმართვის ერთი მცირე ნაწილი, რომელიც ამ კვირაში სამინისტროში გამართული პრესკონფერენციის პრესრელიზში ამოვიკითხე. მე, ისევე როგორც ქართული საზოგადოების უმეტესობა, ამ მიმართვას, რეფორმის ჩატარების აუცილებლობასა და ფორმას აბსოლუტურად ვეთანხმები. ისევე როგორც განათლების სამინისტროს, მეც მჯერა, რომ საქართველოს განათლების სისტემაში არსებული საგანგაშო მდგომარეობა სასწრაფო, რადიკალურ ზომებსა და მეთოდებს მოითხოვს. ერთადერთი, რისიც მე, პირადად, არ მჯერა, ისაა, რომ რეფორმის და მინისტრის ოპონენტები ობიექტურები არიან. არ მჯერა, რომ საზოგადოების თუნდაც მცირედი ნაწილი გულის სიღრმეში სხვაგვარად ფიქრობდეს. რეფორმის აუცილებლობა, მისი პრინციპები ხომ ასეთი ელემენტარული და გასაგებია. ოპონენტებსაც შესანიშნავად ესმით, უბრალოდ, არ უნდათ, რომ ესმოდეთ. მათთვის ხელსაყრელი არ არის და მორჩა. ხოლო მათ "ახირებას" რა ეწირება, ეს კი არც ესმით და არც აინტერესებთ. ზოგიერთ მათგანს ეს პირად, პატარა სიმყუდროვეს ურღვევს. ზოგიერთს ელემენტარული პოპულიზმისთვის, სპეკულაციისთვის სჭირდება. ზოგიერთისთვის ახალი ტიპის ქართული აზროვნების შექმნაა მიუღებელი. ზოგიერთს განათლების რეფორმირება ისევე არ სიამოვნებს, როგორც საკუთარი არცთუ ისე სახარბიელო სახის გამოსახულების სარკეში დანახვა. ყველას კი ერთად დიდი შიში აერთიანებს. ფართო, სწორი განათლებამიღებული და სუფთა, წაუბილწავი მორალის მქონე ახალი თაობის შიში!

განათლება მხოლოდ სხვადასხვა საგნის თუნდაც საფუძვლიან შესწავლას რომ არ გულისხმობს, ეს, თითქოს, ყველამ ვიცით. განათლება პროგრესულობას, თანამედროვეობას, გლობალურობას, საზოგადოებრიობას და, რაც მთავარია, მორალურობას გულისხმობს. ანუ ყველაფერ იმას, რისიც ასე ეშინიათ ზოგიერთებს. სადაც მათი ადგილი აღარ არის. ვეღარ იქნება. ეს თვითონაც იციან. შესანიშნავად გრძნობენ და იბრძვიან. გადარჩენისთვის იბრძვიან. ოღონდ, აი, რას ებრძვიან, ეს კი, ეტყობა, არ ესმით. საკუთარი შვილების მომავალს ებრძვიან!

რამდენიც გნებავთ, აუხსენით, მიმართეთ, უღეჭეთ. არ უნდათ და არ მიიღებენ, არ გაიგებენ. ხელს არ აძლევთ! დროში, სივრცეში, პროგრესში და, თუ გნებავთ, რეფორმირებულ განათლებაში დაკარგვის ეშინიათ! ძალიან ეშინიათ! არადა, ვისი? ქრთამების გადაუხდელად, ნაცნობობის გარეშე განათლებამიღებული, ფართო, სწორი ხედვის, მორალის მქონე საკუთარი შვილების?!

# პოლიცია რევოლუციის წლისთავისთვის ემზადება

ამ ბოლო პერიოდში თბილისის ქუჩები უამრავი ახალი, ძვირადღირებული მანქანებით გალამაზდა. ზოგიერთი მათგანი, მართლაც, ისეთი სილამაზისა და დახვეწილობისაა, რომ ყურებით ვერ გაძღები. მაგრამ უცხოური, მართლა ღირებული მანქანების ქალაქში სიუხვის მიუხედავად, მანქანების ქურდები, უცნაურად, ჩემი თვრამეტი წლის სულგამძვრალ მერსედესს არიან გადაკიდებულები და პერმანენტულად მპარავენ. ვერაფრით ვგებულობ: ამ გაუბედურებულ მანქანაში ასე რა მოსწონთ? ეტყობა, უბრალოდ, მერსედესებს ადვილად იპარავენ, ადვილად ასაღებენ და მათი ნაწილებიც ფასობს.

მოკლედ, ამ კვირაში მანქანა ისევ მომპარეს! პირველ რიგში, როგორც წესი და რიგია, ნუცუბიძის პოლიციაში განვაცხადეთ (მანქანა ნუცუბიძის ქუჩაზე მოიპარეს). ადრე ზუსტად ვიცოდით, ვისთვის უნდა მიგვემართა. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, ასეთ შემთხვევებში კრიმინალების, "კანონიერი ქურდების" იმედი უფრო იყო. სხვათა შორის, საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ არცთუ უშედეგო. წინა მოპარვისას ჩემი მანქანა ქურდმა ციხიდან გასაოცარი ოპერატიულობითა და თავაზიანობით მომიძებნა. ამჯერად კი დილემის წინაშე აღმოვჩნდით. "კანონიერ ქურდებს" ახლა ვეღარსად იპოვი. ყველანი ან დაჭერილები, ან გაქცეულები, ან დამალულები არიან. მალალჩინოსან არც ერთ პოლიციელს არ ვიცნობ, რომ მათი ჩარევით მესარგებლა. ჰოდა, როგორც სრულიად რიგით მანქანამოპარულ მოქალაქეს, ისღა დამრჩა, რომ ნუცუბიძის რაიონის პოლიციის იმედი მქონოდა. გულწრფელად გამოგიტყდებით, ეს პერსპექტივა არცთუ ისე სახარბიელოდ, სანუგეშოდ მეჩვენებოდა. როდის იყო, პოლიცია რამეს პოულობდა? მეგობრები მამშვიდებდნენ, ახლა პატრული კარგად მუშაობს და მანქანებს უფრო პოულობენო. ვერ გეტყვით, რომ ეს მოსაზრებაც დამამშვიდებლად მეჩვენებოდა, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ მქონდა. უშედეგო ლოდინში ორი დღე გავიდა. ის იყო, მანქანის პოვნაზე ხელი მინდოდა ჩამექნია, რომ უეცრად სახლში გორის პოლიციიდან ზარი გაისმა - მანქანა მოიძებნაო!

ჩემი ქმარი და ნუცუბიძის პოლიციის თანამშრომლები გორში ჩავიდნენ, სადაც არაგაძარცვული, არადაშლილი მანქანა უნდა გადმოებარებინათ. მოპარვიდან ორ დღეში ჩემს საცოდავ, ბებერ მანქანას კრიმინალური ბიოგრაფიაც კი შეუძენია. გამტაცებლებს ნომრები გამოუცვლიათ, სახურავზე პოლიციური "კანარეიკა" დაუდგამთ და ცხინვალისკენ მიმავალ გზაზე კონტრაბანდის შემოწმების მოტივით ახალთახალი BMW გადაუყენებიათ. მძღოლს იარაღი დაადეს, მანქანა წაართვეს და ახლა უკვე ორი მანქანით ოსეთისკენ წავიდნენ.

ვინ თქვა, რომ ოსეთში მანქანები ვეღარ გადაყავთო? მშვენივრადაც გადაჰყავთ! უბრალოდ, ეს პროცესი ისეთი იოლი აღარ არის, როგორც ადრე იყო. მთავარი გზები გადაკეტილია და თუ ადრე ათი მანქანიდან ათივე ოსეთში უპრობლემოდ გადადიოდა, ახლა, ეტყობა, შედარებით მცირე რაოდენობის მანქანა გადაჰყავთ და ისიც შემოვლითი, პატარ-პატარა და გასაკონტროლებლად რთული გზებით, რომელთა შესახებ, თურმე, გამტაცებლები ბევრად უფრო კარგად არიან ინფორმირებულები, ვიდრე სამართალდამცავები...

ჩემი მანქანის შემთხვევაში კი გამიმართლა. მანქანამ ასაკობრივი სიბრძნე გამოიჩინა და შუა ტყეში ჯორივით გაჩერდა. ქურდებმა ნერვიულად ქოქეს, ქოქეს, აკუმულატორი დაუსვეს და იქვე დააგდეს. ოსეთისკენ გზა კი მხოლოდ ახალგაზრდა BMW-თი გააგრძელეს.

აქედან უკვე ყველაზე მოულოდნელი ნაწილი იწყება. გორის პოლიციელები მანქანის პოვნით ჩვენზე არანაკლებად გახარებულები იყვნენ. ხალისიანად, დაუზარებლად მოგვეხმარნენ მანქანის დაქოქვაში, ბენზინის ჩასხმაში და სრულიად უსასყიდლოდ თბილისისკენ დაგვილოცეს გზა. თვითონ კი გაუსაძლის პირობებში, სიბნელეში (გორის პოლიციაში შუქი არ იყო), სიცივეში, მიზერული ხელფასების ანაბარა, მაგრამ კმაყოფილები, მოვალეობაშესრულებულები და, რაც მთავარია, კორუფციაში გაუსვრელები (ჩემს კონკრეტულ შემთხვევაში) გორში დარჩნენ და იმაზე დაიწყეს ფიქრი, ჩემი მანქანის მეშვეობით აღმოჩენილი ახალი პატარა შემოვლითი ბილიკი-გზა როგორ გააკონტროლონ.

რამდენიმე წლის წინ ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, მანქანას პოლიცია ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე იპოვიდა, ნამდვილად არ დავუჯერებდი. მეტიც, ალბათ, გამეღიმებოდა. ახლა კი, დამიჯერეთ, გულახდილად გეუბნებით, რომ პოლიციამ მანქანა მიპოვა, დამიბრუნა და რაც ყველაზე უცნაურია, ფულიც არ გამომართვა! ესეც შენი რევოლუციის წლისთავი!

# ბოტები თუნდაც მზეში

## ბავშვობიდან ზრდასრულობაში და ისევ უკან

გარეთ წვიმს, მიწაში გუბურები კეთდება, ცაზე ცისარტყელა ჩნდება. ბავშვი გარეთ გასვლის უფლებას ითხოვს და როცა დედისგან თანხმობას იღებს, სახე უნათდება, სასწრაფოდ რეზინის ბოტებს იცმევს, წვიმაში გარბის და გუბურებში ხტუნაობით ირთობს თავს.

ეს ის სცენაა, რომელსაც საბავშვო ეპიზოდების აღსაწერად მხატვრულ ლიტერატურაშიც ხშირად იყენებენ და ანიმაციურ ფილმებშიც. თუმცა, მრავალჯერ გამოყენების მიუხედავად, ის ბანალური მაინც არავისთვის არის. ბოტებით წვიმაში წუწაობა ბავშვობის ისეთი ხალისით სავსე მოგონებაა, რომ არავის აღიზიანებს. მეტიც, არიან ისეთებიც, რომელთაც ამ თავქარიანი მხიარულების განცდა ზრდასრულობის ასაკშიც ენატრებათ. 2004 წლის შემოდგომის სეზონი კი მათთვის მისწრებაა. ახალგაზრდულ და სპორტულ ტანსაცმელზე ორიენტირებული მოდის სახლები დიდი წარმატებით აწარმოებენ და ჰყიდიან სხვადასხვა ფერის რეზინის ბოტებს. განსხვავება ერთია - მათი ჩაცმა წელს არა მარტო წვიმაშია მოდაში, არამედ მზიან ამინდშიც. ჯინსის შარვალს ან ქვედაბოლოს დავუმატოთ მოდური საწვიმარი და ჭყეტელა ფერის "ბოტი" - და იმიჯი მზად იქნება, მერე თუნდაც უზარმაზარი გუბე იყოს გადასალახი, რამ უნდა შეგაშინოთ?

"ბოტები? ბოტები ძალიან პოპულარულია. წელს თითქოს ყველა გაბავშვდა", - აცხადებს "ესრიტ ფუტვეარის" ვიცე-პრეზიდენტი ბრუქ ლენდეუ. ეს თვითონ პოპულარული და მაღალი კლასის ბრენდი ფერად-ფერად საწვიმარ რეზინის ფეხსაცმელებს 40-50 დოლარად ჰყიდის.

"ბოტებს ყველა ყიდულობს. ყველა ასაკის ადამიანი - დედაჩემიც, რომელიც 70 წლისაა და ჩემი 16 წლის გოგონაც" - ამბობს ნიუ იორკელი ჯინა კისინჯერი.

"ესპრიტის" გარდა ახალ მოდას შტატებში ისეთი ცნობილი ამერიკული მაღაზიები ავრცელებენ, როგორიც "ნორდსტრომი", "მეისიზ", "ნაინ უესთი" და "ბანანა რეფაბლიქი" არიან. და, რაც მთავარია, ბავშვობიდან წამოსულ ამ მხიარულ ტალღას მაღალი მოდის სახლებიც უბამენ მხარს. მაგალითად, ემილიო პუჩის ახალ კოლექციას რომ გადახედოთ, ამაში თავადაც დარწმუნდებით. ბავშვობის მოგონებებში სტიუარტ ვაიზმანიც გადავარდა, საწვიმარი "ბოტები" დალმატინელების კოპლებით მოხატა და 198 დოლარი დააფასა; "ბარბერიმ" თავისი კლასიკური კუბოკრული ორნამენტი გადახატა ბოტზე; მარკ ჯეკობსმა კი ბოტს მაღალი და წვრილი ქუსლი მოარგო.



მოკლედ, უიდეობას არავინ უჩივის. დალმატინელები, ცისარტყელას ფერები, კუბოკრული ლოგოები - მოდურ ბოტებს ყველაფერი გაახალისებს. რაც მთავარია, არ იფიქროთ, რომ დიზაინერები იმ ძველ, უფერულ რეზინის ფეხსაცმელებს გვთავაზობდნენ, წვიმით გაჟღენთილ ბრიტანელებს ბავშვობაში რომ ეცვათ ხოლმე. მათ სხვა გზა არ ჰქონდათ - იქ ხომ სულ წვიმს, ამერიკაში კი ამ ტრადიციას არა ფუნქციურ, არამედ მოდურ დანიშნულებას სძენენ. და ამ დანიშნულებას ქალებთან ერთად მოდური ამერიკელი ბიჭებიც სიამოვნებით ასრულებენ.

ანდრე უოკერი მერილენდის უნივერსიტეტში სწავლობს, თეთრ მაისურსა და ჯინსის შარვალს საწვიმარ ბოტებს უხამებს და აცხადებს: "ეს ფეხსაცმელი ძალიან მოდური და მხიარულია. თან იმდენ ფერში გამოდის, რომ ერთ გართობად ღირს. მათი ჩაცმა მზიან ამინდშიც სახალისოა, საყვარელია და ყველაფერს უხდება". უოკერი გაზეთ "ბალტიმორ სანის" ჟურნალისტს იმაშიც უტყდება, რომ რამდენიმე წყვილი ბოტი აქვს. ერთი ჭრელი - ემილიო პუჩისგან, მეორე - სულ ყვითელი წყვილი და მესამე - ნარინჯისფერი, დიდი მრგვალი კოპლებით.

როგორც ჩანს, ამერიკელებს უდარდელი ბავშვობა მოენატრათ. თანაც, ფერადი ბოტების მორგებით იმასაც აფიქსირებენ, რომ მხიარულები, ორიგინალურები, თავისუფლები და უცნაურები არიან. ამას მოდის ექსპერტი და ინტერნეტ-გამოცემა "სთაილ დაიარის" დამფუძნებელი ფეთი ჰენდშიგელიც აღნიშნავს და ბოტების მოდაში მასობრივად შემოსვლის მიზეზად ფილმს "13-დან 30 წლამდეს" ასახელებს. ამ ჰოლივუდურ კომედიაში მსახიობი ჯენიფერ გარნერი Tamara Henrique-ს წარმოების ბოტებში ისე კარგად გრძნობდა თავს, რომ მას მთელმა თინეიჯერობამ მიბაძა.

ამაში უცნაური არაფერია. შარშან ხომ ამერიკელებმა კიდევ ერთი უცნაური ტრადიცია აღადგინეს და დაამკვიდრეს მასობრივ მოდაში. ვგულისხმობთ ე.წ. Ugg Boots-ს, ესკიმოსების მსგავს, თბილი ბეწვის, მაღალყელიან და უქუსლო ფეხსაცმელს, წესით, მხოლოდ საშინელ ყინვაში რომ უნდა ჩაიცვა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ სილამაზე, არამედ მოდურობაც მოითხოვს მსხვერპლს და მზიან კალიფორნიაშიც, სადაც იშვიათად ცივა ასე, ქალებსაც და კაცებსაც მასობრივად ეცვათ ბეწვიანი ბოტები.

კენი მაქკალისტერი ნიუ იორკულ სამარკეტინგო კომპანია AMPdi-ში მოდის ტენდენციებს სწავლობს და ბოტების ამ ორწლიან ექსპანსიას იმით ხსნის, რომ მოდური ადამიანები მუდამ ახლის ძიებაში არიან. ასე მოიმიზეზეს შარშან ორიგინალობას აყოლილმა ამერიკელებმა, რომ ფეხის თითებს ვერაფრით ითბობდნენ და ბეწვიანი ბოტების კერვა დაიწყეს ისტერიკულად. წელს კი მორიგი სიახლის გამოგონების დრო დადგა. და რადგანაც სასურველი იყო ბოტების ოჯახში დარჩენა, ლოგიკურად გაჩნდა საწვიმარი ბოტების იდეა.

ასე რომ, ეს, ალბათ, მხოლოდ დასაწყისია. როცა ზამთრის სეზონი ძალაში შევა, მერე უკვე რეზინის ბოტებს, ალბათ, ველარავის გახდიან. მათ მომარაგებაზე კი მოდის ისეთი დიდი სახელებიც იზრუნებენ, როგორიც იგივე მარკ ჯეკობსი, "ბარბერი" და ემილიო პუჩია.

## TV პროგრამა

*6 ნოემბერი*

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "ბურგუნდიის სასახლის კარის საიდუმლოება" **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **17.00** სერიალი "მარკო პოლო" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი "ოსკარი" **22.00** "ფსიქო"- "გოგონების ღამე". რეჟ. ნიკ ჰარანი (18). **01.20** მხ. ფილმი "ჩაძირულთა მდინარე".

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "მოლანდება" (გ) **09.20** იმღერე რამე **09.50** ამბები ჩვენზე **10.15** საცირკო სანახაობა **11.00** დოკ. სერიალი "ექსცენტრიკოსები" **11.15** მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპი ბ.რ. ჭიდაობაში **15.15** მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპი ბ.რ. ჭიდაობაში **19.15** "იმღერე რამე" **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** მუს. ოქტაგონი **21.25** დოკ. ფილმი "ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო" **22.15** საღამოს საუბარი **23.00** სპექტაკლი "ღალატი" **00.45** მხ. ფილმი "ლოლიტა" (გ)

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.30(შვეიცარია), 02.25(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ყავა ან ჩაი. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" 12.15. მონასტრის მხ. ფილმი. რეჟისორი ჟან-დანიელ ვერეჰი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **23.00** არაბული მუსიკის კორიფეები. დოკ. ფილმი. **24.30** პრინცესა მარია. ტელესერიალი. **04.25** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### მზე

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **10.00** საბ. სერიალი "ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "საქმრო ლაურასთვის" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "ფარული კამერა" **17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **18.50** მუსიკა მზეზე **19.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **20.30** სერიალი "კარაბინერები" **21.30** კრიმ. დრამა "ტაქსის მძღოლი" **22.30** მხ. ფილმი "მილიონზე მონადირენი" (გ) (რიჩარდ ტომასი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის გული" **19.50** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **20.40** საქართველო არის ესე -ზომლეთი **21.10** "იმღერე რამე" **21.30** დრო და ადამიანები **21.45** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **22.00** ასე ვცხოვრობთ **22.25** მხ. ფილმი "ფრაგმეტები ქალაქის ცხოვრებიდან" (გ)

### იმედი

**09.00** ანიმაციური ფილმი "მეფის ახალი ტანსაცმელი" 1-26. **09.50** მხ. ფილმი "ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა" (გ) **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 02.30** ტვ-მარკეტი **13.00, 15.45, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **13.15** "ერთხელ ჰოლივუდში" **13.30, 03.00** იმედის მელოდიები **13.40** ქართ. ფილმი "როცა აყვავდა ნუში" (გ) **15.15** "უცნობი საქართველო" **15.40** "წუთისოფელში"- გუდაური **16.30** პირველი ნახევარი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.00** მხ. ფილმი "ოქროს ხანა" (12) (პ. კრუსი) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.20** საბავშვო კომედია "სტიუარტ ლიტლი" 1 ნაწ. **10.40** მუსიკა **11.00** მელოდრამა "მამის მონატრება" **12.40** "მსოფლიოს საოცრებანი" **12.50** ვესთერნი "რაზმი" **14.30, 17.30, 20.30, 23.30** საინფორმაციო გამოშვება **14.45** ბოევიკი "მოუხელთებელი" **16.05** "სამყარო მშვენიერია" ბავშვთა გალერეა **16.15** მულტფილმი **17.45** მუსიკალური დრამა "მედოლე" **19.45** დოკ. ფილმი **21.00** კომედია "გაიძვერობა" **22.40** დოკ. ფილმი **00.00** დრამა "ზეციური ქმნილებები"

### OPT

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости**. 06.10** Динозавры в фильме "Земля до начала времен"**. 06.30** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря**. 09.10** Здоровье**. 10.20** "Смак" **10.30** "Пожилой мальчик Витя Сухоруков". Фильм из цикла "Интересное кино"**. 11.30** "Шутка за шуткой"**. 12.10** Алексей Баталов в фильме **"ДЕЛО РУМЯНЦЕВА" 14.10** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда"**. 14.40** БЕНЕФИС ЕФИМА ШИФРИНА **17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России**. 18.10** Криминальная Россия. "Опасные праздники"**. 1**-я с. **18.40** "Новые песни о главном"**. 20.00** Звезды юмора в программе "Кто хочет стать миллионером?"**. 21.00** Время**. 21.20** "Последний герой". Суперигра**. 22.30** "Золотой граммофон"**. 23.30** Стивен Сигал в боевике **"ПОМЕЧЕННЫЙ СМЕРТЬЮ". 01.30** Ким Бейсингер в фильме **"Я МЕЧТАЛА ОБ АФРИКЕ". 03.30** Сэм Беренс в фильме **"БЕРМУДСКИЙ ТРЕУГОЛЬНИК"**

## სკანვორდი












# 21 მილიონი - ერთი... ორი... სამი... გაყიდულია



*პიკასო. მუშკეტერი შიშველ ქალთან.*

ხუთშაბათს ნიუ იორკში გამართული "სოტბის" აუქციონი თავიდან კვირის მოვლენად შეაფასეს, თუმცა მალევე დააზუსტეს, რომ იმდღევანდელი ვაჭრობა გაცილებით უფრო გრანდიოზული იყო. ეს იმიტომ, რომ იმპრესიონისტების და მოდერნისტული მხატვრობის აუქციონი მსგავსი გაყიდვის მაჩვენებლით 1990 წლის შემდეგ არ დასრულებულა.

61 ლოტიდან 48 ტილო და სკულპტურა გაიყიდა, რის შედეგადაც "სოტბის" საკომისიოების ჩათვლით, 194.289.600 დოლარი დაგროვდა - პირველად ასეთი დიდი თანხა 1990 წლის შემდეგ.

სხვა მხრივ, სიურპრიზები არ მომხდარა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე დიდი ყურადღება გოგენის 1899 წლის ტილომ Maternite (II) დაიმსახურა. მისმა ფასმა 39.208.99 დოლარს მიაღწია. ეს გოგენის მორიგი რეკორდი აღმოჩნდა (წინა მაჩვენებელი 24.2 მილიონი იყო), თუმცა ექსპერტების მოლოდინი მაინც ვერ გაამართლა - ამ ტილოს 40 მილიონ დოლარად გაყიდვას მაინც უწინასწარმეტყველებდნენ.

მოდილიანის წინა რეკორდი (26.887.500 დოლარი) მოხსნა მისი საყვარელისა და მუზის მონუმენტურმა პორტრეტმაც - Jeanne Hebuterne (devant une porte) და ის 31.368.00 დოლარად გაიყიდა. ამ ნაწარმოების სავარაუდო ფასად 20-30 მილიონ დოლარს ასახელებდნენ.

რეკორდების მაჩვენებელმა მკვეთრად აიწია მონდრიანისთვის. მისი მოდერნისტული ნამუშევარი "ნიუ იორკი 1941/ბუგი ვუგი" 21.008.000 დოლარად გაიყიდა, რითაც ექსპერტების მოლოდინსაც გადააჭარბა (ისინი მხოლოდ 20 მილიონ დოლარს "იმეტებდნენ" ამ ნამუშევრისთვის) და მონდრიანის ძველი მაჩვენებელიც - 9.625.000 დოლარი, თითქმის ორჯერ გაზარდა.

აუქციონის ყველაზე დიდი იმედგაცრუება კი კანდინსკის ტილო Sketch for deluge II აღმოჩნდა. მისი სავარაუდო ფასიც 20-30 მილიონ დოლარს შორის მერყეობდა, მაგრამ როცა თანხამ 16.5 მილიონ დოლარს მიუკაკუნა, მისი ყიდვის სურვილი აღარავინ გამოთქვა.

თუმცა, ვნებათაღელვებით სავსე აუქციონი დამთავრდა და, საბოლოო ჯამში, "სოტბიც" მხიარულ განწყობაზე დარჩა.

ყველაფერი კარგად დასრულდა ცნობილი სკულპტურებისთვისაც. მაშინ, როცა ჰენრი მურის მასშტაბური ზომის ნაწარმოებს Three-Piece Reclining Figure: Draped 6 მილიონ დოლარად გაყიდვას უწინასწარმეტყველებდნენ, საბოლოოდ 8.408.000 დოლარად შეიძინა კოლექციონერმა. თითქმის 9 მილიონ დოლარად გაიყიდა ბრანკუზის ცნობილი სკულპტურაც "კოცნა". ის საღამოს მეოთხე ყველაზე ძვირადღირებული ნაწარმოებიც გახდა. 5-5 მილიონ დოლარად გაიყიდა წყვილი პიკასოც - L'Aubade და Femme nue assise dans un fauteuil.

"სოტბი" და "კრისტი" არც მომავალ კვირას მოაწყენენ აუქციონებით დაინტერესებულ პუბლიკას. მათი საშემოდგომო ვაჭრობის სეზონი სამშაბათსა და ოთხშაბათს გაგრძელდება. ამჯერად უკვე თანამედროვე და ომის შემდგომი თემატიკით. როგორც მოსალოდნელია, ამ აუქციონების გმირი უორჰოლი იქნება, თავისი სერიით Death and Disaster. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ სერიაში გაერთიანებული ნამუშევრები უორჰოლს ახალ რეკორდს მოუტანს.

**ახლად შექმნილ კომპანიას ესაჭიროება ფარმაცევტი. გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე:**
421 192 421 191

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.